

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№ 8(308) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა

უდიტი

ა

ღრიცხვა

ფ

ინანსები



ინფო კონსულტანტი

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – თემურ იობაშვილი:
ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების
განაკვეთი კვლავ არ შეამცირა

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: აგვისტო-2025 3

გიორგი ცერცვაძე

მსს ფასს-ის კომენტარები: მე-10 განყოფილება „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ 7

თემურ იობაშვილი

ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი კვლავ არ შეამცირა 16

მაკა ხარაზიშვილი

ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები იზრდება 19

ლევან ნატროშვილი

თბილისში 10 ათასამდე ავარიული შენობაა და მათი ნახევარი ახლავე ჩასანაცვლებელია 22

თემურ იობაშვილი

მცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც და რეინვესტიციაც 25

კითხვა-პასუხი

33

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

43

ფრიდონ კერვალიშვილი

კასპიის ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და ეკონომიკური პოტენციალი 45

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), მაკა ხარაზიშვილი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge

ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდლოდ, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

**12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

**დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.**

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.09.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენო.

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსები: აგვისტო-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 04.08.2025-ში მიღებული №207 ბრძანების თანახმად 2025 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ავანსის ანგარიშ-ფაქტურის განაშთვის ახალი წესი.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში ცვლილების მიხედვით, ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის განაშთვის პროცესი განხორციელდება არა დღე-ის ყოველთვიურ დეკლარაციაში, არამედ საბოლოო მიწოდების საფუნაფუნაში, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღე-ის თანხის შემცირება. შესაბამისად, ელექტრონულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დაემატა ახალი ველი და ჩამოყალიბდა ახალი დანართის სახით (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დანართი №III-05² და ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დანართი №III-09¹), რომელშიც შესაბამისი ველების/სტრიქონების გამოყენებით მოხდება წინასწარ მიღებულ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) მონაცემების ასახვა და დღე-ის თანხის განაშთვა (შემცირება).

ინსტრუქციის 48¹ მუხლს დაემატა 18¹ მკაალითი:

შპს „X“ და ავეჯის მწარმოებელი საწარმო 2025 წლის სექტემბრის თვეში შეთანხმდნენ 118 000 ლარის (დღე-ის ჩათვლით) ღირებულების წინასწარ განსაზღვრული დასახელებისა და ოდენობის საქონლის შესყიდვის თაობაზე. შეთანხმების თანახმად, მისაწოდებელ საქონელზე წინასწარ გადახდილ იქნა მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი: სექტემბრის თვეში 59 000 ლარის ოდენობით, ოქტომბრის თვეში – 11 800 ლარი.

ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ ჩარიცხულ თანხებზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. ამასთან, სექტემბრის თვის დღე-ის დეკლარაციით დაადეკლარირა და ბიუჯეტში გადაიხადა დღე 59 000 ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 9000 ლარი და ოქტომბრის თვის დღე-ის დეკლარაციით 11 800

ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 1 800 ლარი.

შეთანხმებით გათვალისწინებული 118 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განხორციელდა 2025 წლის ნოემბრის თვეში. საქონლის მიწოდებისას ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გამოწერა სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის სრულ საკომპენსაციო თანხაზე. თვის ბოლოს კი აღნიშნული ზედნადების საფუძველზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:

ავეჯის მწარმოებელი საწარმო ნოემბრის თვეში განხორციელებულ საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ასახავს ამავე საქონლის საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილ ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღე-ის თანხას, აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დასარიცხი დღე-ის თანხა შეადგენს 7 200 ლარს (18 000 – 9 000 – 1 800)“.

ელექტრონული საფ-ის (დანართი №III-05²-ის) გამოწერისას:

მე-9 სტრიქონში მიეთითება საფ-ის ცხრილში ასახული საქონლის მიწოდებამდე, მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საფ-ის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღე-ის თანხა, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ის მიხედვით დარიცხული დღე-ის შემცირება.

9.1 სტრიქონში აისახება საფ-ის ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღე-ის თანხის და მე-9 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებული დღე-ის თანხის სხვაობა. 9.1 სტრიქონში მონაცემების ასახვის შემთხვევაში 9.2 სტრიქონი არ ივსება.

9.2 სტრიქონი ივსება საფ-ის კორექტირებისას, თუ ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღე-ის თანხა ნაკლებია მე-9 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებულ დღე-ის თანხაზე. 9.2 სტრიქონში აისახება ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღე-ის თანხის და მე-9

სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებული დღე-ის თანხის სხვაობა. ამ შემთხვევაში არ ივსება 9.1 სტრიქონი.

მე-9; 9.1 და 9.2 სტრიქონები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მისაწოდებელი საქონლის/გასაწვევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდა განხორციელდა 2025 წლის 1 სექტემბრის შემდეგ.

დანართი №III-09 ფორმის ნსაფ-ი გამოიწერება მატერიალურად ოთხ ეგზემპლარად. ოთხივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, დანართი №III-09¹ ფორმის ნსაფ კი გამოიწერება ელექტრონულად.

ელექტრონული ნსაფ-ის (დანართი №III-09¹) გამოწერისას ასევე, 9.1 სტრიქონში მიეთითება ნსაფ-ის ცხრილში ასახული საქონლის მიწოდებამდე მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღე-ის თანხა, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი ნსაფ-ის მიხედვით დარიცხულ დღე-ის შემცირება.

ცვლილებები გავრცელდება 2025 წლის 1 სექტემბრის შემდეგ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2025 წლის 1 სექტემბრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე კი იმოქმედებს ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის განაშთვის დღეს მოქმედი წესი, რომლის თანახმად, ავანსის ანგარიშ-ფაქტურების და საბოლოო მიწოდების საფ/ნსაფ-ის განაშთვის პროცესი გადასახადის გადამხდელის მიერ ხორციელდება დღე-ის ყოველთვიურ დეკლარაციაში.

ცვლილება

„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესში“

– შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ 26.08.2025-ში მიღებული №19043 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდურ მითითებაში.

შედეგად, მითითების მე-4 მუხლს დაემატა 7¹ პუნქტი, რომლის თანახმად დღე-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე პირის მიმართ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის აღიარების შემდეგ, საქმიანობის იმავე პერიოდზე განხორციელებული დღე-ით დასაბეგრი ოპერაციების დაზუსტების შემთხვევაში, თუ დაზუსტებით მცირდება დღე-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხა, ძირითად ბარათზე დარიცხული ჯარიმა ექვემდებარება შემცირებას ავტომატურ რეჟიმში, შესაბამისი სხვაობის თანხის სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოდენობით, საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის გარეშე.

ცვლილება მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში

– მთავრობის მიერ 12.08.2025-ში მიღებული №345 დადგენილებით ცვლილება შევიდა „მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“.

ცვლილების მიხედვით, სააგენტო, სამინისტროსთან შეთანხმებით, უფლებამოსილია, ეკონომიკის გარკვეულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან რეგიონში სესხების მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება, კონკრეტულ სექტორში ან კონკრეტულ რეგიონში პროგრამის ფარგლებში სესხის გაცემის შეწყვეტის შესახებ. ეს არ გამოიწვევს პროგრამის ფარგლებში უკვე გაცემულ სესხებზე მხარდაჭერის შეწყვეტას.

ამასთან, სააგენტოს უფლება აქვს რისკების (როგორებიცაა: ბანკის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება ანდა პროგრამის პირობების დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება) შეფასების საფუძველზე, შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კონკრეტულ ბანკს პროგრამაში მონაწილეობის უფლება, რის შესახებაც მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე უნდა აცნობოს მას.

ამავე დადგენილების საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში სესხის რეფინანსირების შემთხვევაში არ უნდა იზრდებოდეს სესხზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 5 წელზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ სესხზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.

საფინანსო სფეროში შეტანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 05.08.2025-ში მიღებული №190/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესში.

ამ ბრძანების მოქმედება ვრცელდება აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის ან აღიარების მიზნით მის ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზეც.

ცვლილების თანახმად დაკორექტირდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და ლიცენზიის მაძიებელმა აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს წერილობით და თან უნდა დაურთოს შესაბამისი განაცხადის ფორმა (დანართი №1), ასევე შემდეგი დოკუმენტაცია:

„გ) ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია/დოკუმენტაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელების, შუალედური მფლობელებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, რომელიც უნდა ადასტურებდეს

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- გ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:
 - გ.ა.ა) ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად შევსებულ დეკლარაციასა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
 - გ.ა.ბ) ინფორმაციას მოქალაქეობის და რეზიდენტობის შესახებ;
 - გ.ა.გ) ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად შევსებულ პირად რეზიუმეს;
 - გ.ა.დ) ცნობას ნასამართლობის შესახებ თითოეული იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტსაც/მოქალაქესაც წარმოადგენდა პირი ბოლო 10 წლის მანძილზე;
 - გ.ა.ე) მონაცემებს ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროსა და ამ შემოსავლის წარმომავლობის შესახებ, რომელიც, მათ შორის, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - გ.ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
 - გ.ბ.ა) სარეგისტრაციო დოკუმენტებს;
 - გ.ბ.ბ) ბოლო ფინანსური წლის აუდიტირებულ

ფინანსურ ანგარიშგებას; იმ შემთხვევაში, თუ ბოლო აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან ეროვნული ბანკისთვის წერილობითი მიმართვის წარდგენის თარიღამდე 6 თვეზე მეტია გასული, ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას (არსებობის შემთხვევაში აუდიტირებულს);

- გ.ბ.გ) ცნობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;
- დ) ლიცენზიის მძიებლის მმართველი ორგანოს ყველა წევრის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ადასტურებდეს ამ წესის მე-5 მუხლის მე-2-მე-5 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:
 - დ.ა) ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად შევსებულ დეკლარაციასა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
 - დ.ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლსა და ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად შევსებულ პირად რეზიუმეს;
 - დ.გ) რეკომენდატორების ვინაობას, მათ საკონტაქტო ინფორმაციას და, სულ მცირე, ორ სარეკომენდაციო წერილს;

დ.დ) ცნობას ნასამართლობის შესახებ თითოეული იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტსაც/მოქალაქესაც წარმოადგენდა პირი ბოლო 10 წლის მანძილზე;

დ.ე) ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად ლიცენზიის მძიებლის წერილობით დასტურს, რომ მის მიერ შემოწმებულია მმართველი ორგანოს წევრის შესახებ ინფორმაცია, რომ ის აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და რომ ეს ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია;

დ.ვ) აღმასრულებელი ფუნქციების მქონე მმართველი ორგანოს წევრის შემთხვევაში, სამუშაოს აღწერილობასა და ინფორმაციას მისთვის დაკისრებული ფუნქციონირების შესახებ;

დ.ზ) ამ წესის დანართი №4-ის შესაბამისად ყველა იმ გარემოების აღწერას, რომლებიც შესაძლოა გავლენა იქონიერებდეს კონფლიქტის საფუძველი და საფრთხე შეუქმნას მმართველი ორგანოს წევრის დამოუკიდებლობას, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, აგრეთვე ინფორმაციას პარალელურად დაკავებული პოზიციების შესახებ“;

ამავე ბრძანების მიხედვით, აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ყოველ ეტაპზე აქტივების მმართველის მმართველი ორგანოს წევრები და მნიშვნელოვანი წილის მფლობელები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს და არ უნდა ექცეოდნენ ამ მუხლით განსაზღვრული რომელიმე აკრძალვის ქვეშ.

აქტივების მმართველის მმართველი ორგანოს თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი მიმართულებით/სპეციალიზაციით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, სამართალმცოდნეობა ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც საჭიროა მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

პირს ეკრძალება იყოს აქტივების მმართველის

მმართველი ორგანოს წევრი ან აქტივების მმართველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ:

ა) აქტივების მმართველის მმართველი ორგანოს წევრის შემთხვევაში, მას ჩამორთმეული აქვს მმართველი ორგანოში მონაწილეობის უფლება;

ბ) ნასამართლევაა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი საფინანსო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის;

დ) აქტივების მმართველის მმართველი ორგანოს წევრის შემთხვევაში, სასამართლომ იგი ცნო მხარდაჭერის მიმღებად.

იხილეთ ასევე:

– 12.08.2025-ის მთავრობის №348 დადგენილება, „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და ღრობებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 12.08.2025-ის მთავრობის №343 დადგენილება, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამავე პირის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 07.08.2025-ის მთავრობის №335 დადგენილება, „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარიამ აფრასიძე

ქართულ ბანკებში განთავსებულმა დეპოზიტებმა 62 მილიარდ ლარს მიაღწია

კომერციული ბანკების მიერ სებ-ისთვის წარდგენილი მონაცემების თანახმად, ივლისში დეპოზიტების მოცულობამ 1.2 მილიარდი ლარით იმატა და 62 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც ერთი თვის ჭრილში 2%-ით გაზრდილი მაჩვენებელია, წლიურად კი დეპოზიტების მოცულობა 11%-ით არის გაზრდილი.

ივლისში ასევე გაიზარდა დეპოზიტების ლარიზაცია და მან 50.3% შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებლის ანალოგიურია, თუმცა გაცვლითი ეფექტის კურსის გარეშე ლარიზაციის მაჩვენებელი 0.24 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

„ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები გაიზარდა 552.94 მილიონი ლარით, ანუ 1.92%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 2.29% -ით გაიზარდა), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 637.65 მილიონი ლარით, ანუ 1.99%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე გაიზარდა 2.57%-ით).

ივლისში ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შენონილმა საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა 6.78% შეადგინა. მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 9.55%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.59%.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 79.23%, ხოლო ევროს წილმა 18.97% შეადგინა“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

რუბრიკის სპონსორი -



სპეციალისტის კომენტარი

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სახელების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

რუბრიკას უძღვება შპს აუდიტური კონსერნი „ბოლნისა“-ს გენერალური დირექტორი, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარი რედაქტორი, ფინანს-მართვაშეცდომების მეცნიერებათა კანდიდატი ვიორგი ცერცვაძე.

მსს ფასს-ის კომენტარები: მე-10 განყოფილება „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“

წინამდებარე სტატიაში, ჩვენ განვიხილავთ მსს ფასს-ის მე-10 განყოფილებას, რომელშიც, როგორც ეს მისი სათაურიდანაც ჩანს, განხილულია რამდენიმე სააღრიცხვო საკითხი. კერძოდ, ეს განყოფილება განსაზღვრავს: სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და მისი შეცვლის კრიტერიუმებს; იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სააღრიცხვო მიდგომებისა და განმარტებითი შენიშვნების შერჩევასა სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების დროს; და წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოქმედების სფერო

„10.1. ამ განყოფილებაში მოცემულია მითითებები სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენების შესახებ, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას; მითითებები ასევე ეხება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შეცდომების გასწორებას“.

მსს ფასს სადღეისოდ მოიცავს 35 განყოფილებას, რომელთაგან თითოეული არეგულირებს კონკრეტულ სააღრიცხვო/საანგარიშგებო საკითხს. როგორც წესი, მათი უმეტესობა უშვებს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე (და არა ერთადერთ) მეთოდს. თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს არჩეული კონკრეტული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისათვის, ამას წყვეტს თავად საწარმოს ხელმძღვანელობა. სხვადასხვა სააღრიცხვო/საანგარიშგებო საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობას ეწოდება სწორედ სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მსს ფასს-ის 10.2 მუხლში განმარტებულია შემდეგნაირად:

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

„10.2. სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა

და წარდგენის დროს“.

წესით, სააღრიცხვო პოლიტიკა გაფორმებული და დამტკიცებული უნდა იქნეს წერილობით, საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით.

საწარმოს ხელმძღვანელობამ ისე უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს მსს ფასს-ის ყველა მოთხოვნას. თუ რომელიმე სააღრიცხვო საკითხი დარეგულირებულია მსს ფასს-ის ერთ ერთი განყოფილებით, მაშინ სააღრიცხვო პოლიტიკა ამ საკითხთან მიმართებით უნდა იყოს სათანადო განყოფილების დებულებების შესაბამისი, ხოლო თუ ასეთი განყოფილება არ არსებობს, მაშინ საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს მსს ფასს-ის კონცეფციებითა და ძირითადი პრინციპებით. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ სააღრიცხვო საკითხთან დაკავშირებით მსს ფასს-ის მიხედვით რამე სპეციფიკური მოთხოვნა არ არის განსაზღვრული, მაშინ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ სააღრიცხვო პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მსგავს საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და განმარტებები, აგრეთვე, არსებული პრაქტიკული გამოცდილება ანუ აღრიცხვა-ანგარიშგების პრაქტიკული მეთოდები, ასევე ფასს-ების სრული ვერსიის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მსს ფასს-ის „კონცეფციებსა და ძირითად პრინციპებს“. ნებისმიერ შემთხვევაში, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა ისე უნდა იქნეს შემუშავებული, რომ იგი, ერთი მხრივ, ეფუძნებოდეს ფუნდამენტურ პრინციპებს – დარიცხვის მეთოდსა და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას, მეორე მხრივ კი შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს, ანუ ამ სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია

მსს ფასს-ის მე-2 განყოფილებაში „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“.

მსს ფასს-ის უმეტეს განყოფილებებში (ისევე როგორც სრულ ფასს-ებში) ნებადართულია ამა თუ იმ სააღრიცხვო საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა. მოვიყვანოთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

1) მე-5 განყოფილება – „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“ უშვებს, რომ საწარმოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოგება-ზარალში აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია შეუძლია მოახდინოს; ან ხარჯების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ან ხარჯების კლასიფიკაციით ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;

2) მე-13 განყოფილება – „მარაგები“ უშვებს, რომ მარაგის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების) ჩამოწერა უნდა ხდებოდეს ან ინდივიდუალურ დანახარჯთა სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით, ან თუ ამ მეთოდის გამოყენება არ ხდება, მაშინ ერთ-ერთი შემდეგი მეთოდით: ა) მეთოდით „ფიფო“; ბ) საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;

3) მე-7 განყოფილება – „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ უშვებს, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება შედგეს: ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი მეთოდით;

4) მე-17 განყოფილების – „ძირითადი საშუალებები“ – მიხედვით, ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების შერჩეულმა მეთოდმა უნდა ასახოს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებელი. ამ მიზნით პრაქტიკაში დამკვიდრებულია ცვეთის დარიცხვის სამი სხვადასხვა მეთოდი: ა) წრფივი; ბ) კლებადი (შემცირებადი) ნაშთის; გ) წარმოებულ ერთეულთა (მწარმოებლობის პროპორციული ცვეთის) მეთოდი;

5) მე-17 განყოფილების – „ძირითადი საშუალებები“ – საწარმოს შეუძლია აირჩიოს ძირითადი საშუალებების ასახვის თვითღირებულების მოდელი, ან გადაფასების მოდელი, როგორც საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც გამოიყენებს ძირითადი საშუალებების მთელი ჯგუფის მიმართ;

6) მე-9 განყოფილება – „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ უშვებს, რომ:

„9.26. როდესაც მშობელი საწარმო, მეკავშირე საწარმოს ინვესტორი ან სრულყოფილებიანი მონაწილე, რომელსაც წილი გააჩნია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში, ამზადებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და აცხადებს, რომ იგი შეესაბამება მსს ფასს-ს, ეს ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტის ყველა მოთხოვნას, შემდეგის გარდა. საწარმომ შეიღობილ, მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვისთვის უნდა აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი პოლიტიკა:

(ა) თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის

გამოკლებით;

(ბ) რეალური ღირებულება, რეალური ღირებულების ცვლილების მოგებაში ან ზარალში ასახვით; ან

(გ) წილობრივი მეთოდის გამოყენება 14.8 პუნქტში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.

საწარმომ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ერთი კლასის ინვესტიციებისათვის (შეიღობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო), მაგრამ შეუძლია განსხვავებული პოლიტიკის არჩევა განსხვავებული კლასის ინვესტიციებისთვის“.

თუ ჩამოთვლილი ალტერნატიული მეთოდებიდან და ხერხებიდან რომელია შერჩეული საწარმოს მიერ კონკრეტული სააღრიცხვო საკითხის გადაწყვეტისათვის, სწორედ ეს უნდა აისახოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ბრძანებაში და გახსნილი იქნეს ფინანსური ანგარიშგების თანდართულ განმარტებით შენიშვნებში. ამის შესახებ უშუალო მითითებას შეიცავს მსს ფასს-ის თითოეულ განყოფილებაში შემავალი ცალკე ნაწილი „განმარტებითი შენიშვნები“.

„10.3. თუ მსს ფასს სპეციალურად ეხება რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, საწარმომ უნდა გამოიყენოს ეს სტანდარტი. თუმცა, საწარმო ვალდებული არ არის, გამოიყენოს მსს ფასს-ის ესა თუ ის მოთხოვნა, თუ ამის გაკეთებას არ ექნება არსებითი გავლენა“.

მაგალითი 1. საწარმოს, რომლის საქმიანობის სფეროა პროდუქციის წარმოება და ყოველ წელს წლიური ამონაგები 3-4 მილიონ ლარს შეადგენს, ერთ-ერთ თანამშრომელზე 2 წლის ვადით გაცემული აქვს 15000 ლარი სესხი, წლიური 10% საპროცენტო სარგებლის დარიცხვით. სხვა გაცემული სესხები არ აქვს. საწარმო არ ახდენს ამ სესხის დისკონტირებას მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების შესაბამისად და დარიცხულ პროცენტებს აღრიცხავს წრფივად, რადგან მიიჩნევს, რომ სესხის დისკონტირების შემთხვევაში თანხის ცვლილება იქნება არაარსებითი, რაც ვერ მოახდენს ზეგავლენას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე.

ამ შემთხვევაში საწარმოს მიერ ასეთი სააღრიცხვო მიდგომა გამართლებულია.

„10.4. თუ წინამდებარე სტანდარტი სპეციალურად არ ეხება რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია იქნება:

(ა) შესაბამისი მომხმარებელთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების; და

(ბ) საიმედო, იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება:

(i) სამართლიანად წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;

(ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა მათ სამართლებრივ ფორმას;

(iii) იქნება ნეიტრალური, ე.ი. არ იქნება მიკერძოებული;

(iv) წინდახედული; და

(v) სრული ყველა არსებით ასპექტში.

10.5. 10.4 პუნქტში აღნიშნული მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს შემდეგ წყაროებს და გაითვალისწინოს მათი გამოყენების შესაძლებლობა შემდეგი თანმიმდევრობით:

(ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და

(ბ) აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები, შეფასების კონცეფციები და სხვა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განხილულია მე-2 განყოფილებაში – „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“.

10.6. 10.4 პუნქტში აღწერილი მსჯელობის დროს ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია ფასს სტანდარტების სრული ვერსიის მოთხოვნებისა და მითითებების გათვალისწინება, რომლებიც ეხება მსგავს და მონათესავე საკითხებს“.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს საწარმომ არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და როდის შეუძლია (ან შეუძლია თუ არა) მისი შეცვლა. ამ საკითხზე პასუხს იძლევა ქვემოთ მოყვანილი მსს ფასს-ის 10.7 მუხლი.

სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა

„10.7. საწარმომ უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს იგი მსგავსი სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებებისათვის, თუ წინამდებარე სტანდარტი სპეციალურად არ მოითხოვს, ან საწარმოს უფლებას არ აძლევს, მუხლები დაეყოს ისეთ კატეგორიებად, რომელთათვისაც სხვადასხვა პოლიტიკის გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს. თუ წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, ან უფლებას იძლევა, რომ მუხლები დაეყოს ამგვარ კატეგორიებად, საწარმომ უნდა შეარჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს თითოეული კატეგორიის მიმართ“.

მაგალითად, მსს ფასს 13.18 მუხლის თანახმად, „განსხვავებული ბუნების ან გამოყენების მარაგისათვის შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება“. ამავე დროს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განსხვავებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (ასევე შესაბამისი საგადასახადო წესების განსხვავებულობა) არ არის საკმარისი მარაგების ღირებულების შეფასების სხვადასხვა ფორმულის გასამართლებლად.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

„10.8. საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა, თუ ცვლილება:

(ა) მოითხოვება წინამდებარე სტანდარტით; ან

(ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე“.

მაგალითი 2. საწარმო ეწევა ტაქსით მომსახურებას. მისი ძირითადი საშუალებების უდიდეს უმრავლესობას შეადგენს საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. საწარმო მათი ცვეთისათვის, არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკით, წლების მანძილზე იყენებდა წრფივ მეთოდს, თუმცა მისი ავტომანქანები სხვადასხვა ინტენსივობით იყენებენ დატვირთული. 2024 წელს შეიცვალა საწარმოს მენეჯმენტი. ახალმა ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უძობესი იქნებოდა მისი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთა განხორციელებულიყო წარმოებულ ერთეულთა მეთოდით (ავტომანქანების განარბენის კილომეტრაჟიდან გამომდინარე) და შეიტანა შესაბამისი ცვლილება თავის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ამ შემთხვევაში საწარმოს მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მოხდა მსს ფასს-ის 10.8 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: ამ მაგალითში გაკეთებულია დაშვება, რომ საწარმო ამ ცვლილებას განიხილავს სწორედ სააღრიცხვო პოლიტიკის და არა სააღრიცხვო შეფასების ცვლილებად.

მართალია, საწარმოს მიერ არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა რეკომენდებული არ არის, მისი შეცვლა მაინც დასაშვებია, თუ საწარმო ასაბუთებს, რომ ეს ხელს შეუწყობს მისი ფინანსური ანგარიშგების უფრო უზრუნველყოფას და სამართლიანად წარდგენას.

ამგვარად, 10.8 მუხლში აღწერილი შემთხვევების გარდა, საწარმოს მიერ ერთხელ არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის თანმიმდევრული და ყველა პერიოდში უცვლელი გამოყენება მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს შეადარონ ამ საწარმოს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები, რაც მოითხოვება შესადარისობის პრინციპის თანახმად.

10.9 მუხლი კი განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას არ წარმოადგენს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ისეთი სამეურნეო ოპერაციებისათვის ან მოვლენებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან ეკონომიკური შინაარსით მანამდე

მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენებისაგან, ან რომლებსაც წარსულში ადგილი არ ჰქონიათ ან არაარსებითი ხასიათის იყვნენ.

„10.9. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ წარმოადგენს:

(ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ისეთი სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებებისათვის, რომელთა ეკონომიკური შინაარსი განსხვავდება ადრე მომხდარისგან;

(ბ) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ისეთი სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებებისათვის, რომლებიც აქამდე არ მომხდარა, ან არსებითი არ იყო; ან

(გ) თვითღირებულების მოდელზე გადასვლა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი აღარ არის იმ აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, რომლის რეალური ღირებულებით შეფასება სხვა შემთხვევაში მოთხოვნილი ან ნებადართული იქნებოდა წინამდებარე სტანდარტით (ან პირიქით)“.

მაგალითი 3. საწარმოს არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკით 2024 წლამდე არ ჰქონდა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მოეხდინა შვილობილ საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვა იმ მიზეზით, რომ მას შვილობილი საწარმოები არ გააჩნდა. 2023 წელს საწარმომ სხვა პარტნიორებთან ერთად დააფუძნა შვილობილი ფირმა მის კაპიტალში 75%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ამ ახლადწარმოშობილი გარემოების გამო, საწარმომ არჩეულ სააღრიცხვო პოლიტიკაში შეიტანა ცვლილება, კერძოდ, მასში ჩაამატა მუხლი, რომლითაც განსაზღვრა, რომ შვილობილ საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ასახვას ინდივიდუალურ (არაკონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოახდენს ამ ინვესტიციების თვითღირებულებით.

ამ შემთხვევაში საწარმოს მიერ აღნიშნული მუხლის დამატება არ წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას მის ფასს-ის 10.9 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

„10.10. თუ წინამდებარე სტანდარტით დაშვებულია სააღრიცხვო მიდგომის (მათ შორის, შეფასების საფუძვლის) არჩევის შესაძლებლობა გარკვეული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებებისთვის და საწარმო ცვლის წინა პერიოდებში არჩეულ მიდგომას, ეს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებაა“.

უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტის 10.10ა მუხლის თანახმად, აქტივების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება მე-17 განყოფილების „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ისეთ ცვლილებად, რომლის აღრიცხვა უნდა მოხდეს მე-17 განყოფილების და არა მე-10 განყოფილების მიხედვით:

„10.10ა. აქტივების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება მე-17 განყოფილების – „ძირითადი საშუალებები“ – შესაბამისად განიხილება, როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რაც უნდა აისახოს როგორც გადაფასება მე-17 განყოფილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების რომელიმე კლასისთვის თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელზე გადასვლა უნდა აისახოს პერსპექტიულად და არა 10.11-10.12 პუნქტების შესაბამისად“.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გამოყენება

„10.11. საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უნდა ასახოს შემდეგნაირად:

(ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა ასახოს ამ ცვლილებების გარდამავალი დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი არსებობს;

(ბ) როდესაც საწარმო ირჩევს ბასს 39-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ – გამოყენებას, წინამდებარე სტანდარტის მე-11 განყოფილების – „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ და მე-12 განყოფილების – „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“ – ნაცვლად, როგორც ეს დაშვებულია 11.2 პუნქტით და ბასს 39-ის მოთხოვნები იცვლება, საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ამგვარი ცვლილებები უნდა ასახოს განახლებული ბასს 39-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი არსებობს; და

(გ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი სხვა ცვლილება რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს (იხ. პუნქტი 10.12)“.

რეტროსპექტიულად გამოყენება

„10.12. როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები რეტროსპექტიულად გამოიყენება 10.11 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა, წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის მიმართ, უნდა გამოიყენოს ყველაზე ადრეული თარიღიდან, რომლისთვისაც ამის გაკეთება შესაძლებელია. ამასთან, ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმგვარად, თითქოს ყოველთვის მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა. როდესაც შეუძლებელია განისაზღვროს, კონკრეტულ პერიოდზე მისაკუთვნილები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა წინა ერთი ან რამდენიმე წარდგენილი პერიოდის შესადარისი ინფორმაციაზე, მაშინ საწარმომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მიმართ, რომელიც მათ ჰქონდათ საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულის დასაწყისისათვის, რომლისთვისაც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების რეტროსპექტიულად გამოყენება შესაძლებელია, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდიც იყოს. ამასთან, შესაბამისი კორექტირებები უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული პერიოდის საკუთარი კაპიტალის ყველა იმ კომპონენტის საწყის ნაშთში,

რომელზეც ეს ცვლილება ახდენს გავლენას“.

რას ნიშნავს რეტროსპექტულად გამოყენება და გადაანგარიშება და რით განსხვავდება ის პერსპექტიულად გამოყენებისაგან? ეს კარგად არის განმარტებული ფასს-ების სრულ ვერსიაში, კერძოდ კი ბასს 8-ის მე-5 მუხლში:

„რეტროსპექტულად გამოყენება არის ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის იმდგვარი გამოყენება ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ, თითქოს ეს პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა.

რეტროსპექტულად გადაანგარიშება არის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების თანხების აღიარების, შეფასებისა და განმარტებების გასწორება იმგვარად, თითქოს წინა პერიოდში შეცდომა არასოდეს დაშვებულა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების პერსპექტიულად გამოყენება და სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილებების ეფექტის აღიარება, შესაბამისად, წარმოადგენს:

ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ იმ თარიღის შემდეგ, როცა სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა; და

ბ) სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების ეფექტის აღიარებას მიმდინარე და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებიც ამ ცვლილების გავლენას განიცდიან“.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები

„10.13. როდესაც წინამდებარე სტანდარტის ცვლილება გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან რომელიმე წინა საანგარიშგებო პერიოდზე, ან შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;

(ბ) კორექტირების თანხა ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის, რომელზეც ცვლილება ახდენს გავლენას – მიმდინარე პერიოდისა და თითოეული წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

(გ) კორექტირების თანხა წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია; და

(დ) თუ შეუძლებელია იმ თანხების განსაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებულია (ბ) ან (გ) ქვეპუნქტით, მაშინ ამის მიზეზის ახსნა.

ამ ინფორმაციის გამეორება საჭირო არ არის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

10.14. როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან რომელიმე წინა საანგარიშგებო პერიოდზე, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;

(ბ) მიზეზები, რომელთა გამოც ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას უზრუნველყოფს;

(გ) შესაძლებლობის ფარგლებში კორექტირების თანხა ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის, რომელზეც გავლენა მოახდინა სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლამ, ცალ-ცალკე:

(i) მიმდინარე პერიოდისათვის;

(ii) თითოეული წინა წარდგენილი პერიოდისთვის; და

(iii) აგრეგირებულად, წარდგენილი პერიოდების წინა საანგარიშგებო პერიოდებისათვის;

(დ) თუ შეუძლებელია (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების განსაზღვრა, მაშინ ამის მიზეზის ახსნა.

ამ ინფორმაციის გამეორება საჭირო არ არის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში“.

თითოეული საწარმოს საქმიანობას ახასიათებს თავისი ინდივიდუალური, სხვა საწარმოსაგან განსხვავებული სპეციფიკა. სხვადასხვა საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანებიც, ამიტომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ისეთი რეკომენდაციის მოცემა ჩვენი მხრიდან, რომელიც ყველა საწარმოს (ან თუნდაც მათ უმეტესობას) დააკმაყოფილებს, პრაქტიკულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნევთ რამდენიმე რეკომენდაციის გამოთქმას, თუმცა, ისინი ღოგმატურად არ უნდა იქნეს მიღებული:

– სრული შემოსავლის/მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგება-ზარალი უმჯობესია წარდგენილი იქნეს ზარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით;

– ფულადი ნაკადების ანგარიშგება უმჯობესია შედგეს პირდაპირი მეთოდით;

– მარაგების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების) თვითღირებულების განსაზღვრისათვის უფრო მოსახერხებელია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა;

– ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისათვის უმეტეს შემთხვევაში უმჯობესია წრფივი მეთოდის გამოყენება;

– 1 წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნები, გარდა უზრუნველყოფილი სავაჭრო მოთხოვნებისა, უნდა აღიარდეს სავაჭრო ვალეზად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, არ არის აუცილებელი, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ბრძანებაში გახსნილი იქნეს დამოკიდებულება ისეთი სააღრიცხვო საკითხებისადმი, რომელთაგანაც შეხება რეალურად კონკრეტულ საწარმოს არ აქვს ანდა რომლებიც მისთვის არაარსებითი ხასიათის არიან. მაგალითად, თუ საწარმოს სავალუტო ოპერაციები საერთოდ არ აქვს, მაშინ არ არის აუცილებელი მის სააღრიცხვო პოლიტიკაში აისახოს 30-ე განყოფილებით „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“ დარეგულირებული საკითხები.

ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

„10.15. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხის კორექტირება, რომელიც გამოდინარეობს აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე სტატუსის შეფასებიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და ვალდებულებების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებას იწვევს ახალი ინფორმაცია ან ახალი მოვლენები და, შესაბამისად, ეს არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას. იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ამგვარი ცვლილება მიიჩნევა სააღრიცხვო შეფასების ცვლილებად“.

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში (არ ავურიოთ სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებზე!). სააღრიცხვო შეფასებები გამოწვეულია იმით, რომ სამეწარმეო საქმიანობას მუდამ ახასიათებს გარკვეული განუსაზღვრელობა და ცვალებადობა, ამიტომ ფინანსური ანგარიშგების ბევრი მუხლის ზუსტი გაანგარიშება შეუძლებელია და მათი წარდგენა ხდება პროფესიული განსჯით მიღებული მიახლოებითი შეფასების გზით. მაგალითად, შესაძლოა საჭირო გახდეს შეფასდეს:

- ა) საექვო და უიმედო ვალები;
- ბ) მოძველებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- გ) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური (სამართლიანი) ღირებულება;
- დ) ცვეთადი აქტივების სასარგებლო სამსახურის ვადა ან შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღების სქემა, ასევე ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება;
- ე) ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი;
- ვ) საგარანტიო ვალდებულებები და სხვა.

შეფასების პროცესი გულისხმობს უახლეს ხელმისაწვდომ და საიმედო ინფორმაციაზე დაფუძნებულ მსჯელობას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. რაციონალური სააღრიცხვო შეფასების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და მის სანდობას არ ამცირებს. ამიტომ თუ შეიცვლება ის ინფორმაცია ან სხვა გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შეფასება, ან გამოვლინდება საკითხთან დაკავშირებული ახალი გარემოებანი (ახალი ინფორმაციის მოპოვება, დამატებითი გამოცდილების შექმნა და სხვ.), უნდა მოხდეს შეფასების გადასინჯვა. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება (გადასინჯვა), რომელიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, არ უკავშირდება წინა საანგარიშგებო პერიოდებს და თავისი არსით არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.

მაგალითი 4. გასულ წლებში საწარმომ უიმედოდ მიიჩნია ერთ-ერთი სახელმწიფო საწარმოს

დებიტორული დაფალიანება და ეს ვალი ჩამოწერა ზარალზე დადგენილი წესით. საანგარიშო წელს მიღებული იქნა ინფორმაცია აღნიშნული სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციის შესახებ, რომლის ახალმა მენეჯერებმა ვალდებულება აიღო, რომ დაფარავს ყველა ძველ დაფალიანებას. ახალი მენეჯერის იმიჯი საკმარისად მაღალია, ამიტომ საწარმო ვარაუდობს, რომ ის მართლაც მოახდენს ძველი ვალების დაფარვას.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე საწარმომ შეცვალა ადრე მიღებული გადაწყვეტილება დებიტორული დაფალიანების უიმედოდ ცნობის შესახებ და აღადგინა ეს ვალი საწარმოს ბალანსზე. გასულ წლებში აღიარებული ზარალის გაუქმებამ გამოიწვია საანგარიშო წლის შემოსავლის აღიარება.

„10.16. სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილების შედეგი, გარდა ისეთის, რომელსაც 10.17 პუნქტი ეხება, აისახება მოგებაში ან ზარალში პერსპექტიულად:

- (ა) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდზე; ან
- (ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებშიც, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს გავლენას“.

შეფასების საფუძვლების შეცვლა არის ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და არა ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილებამ შეიძლება იმოქმედოს აქტივის, ვალდებულების ან საკუთარი კაპიტალის მუხლზე, აგრეთვე, საანგარიშგებო პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე. თუ სააღრიცხვო შეფასების ცვლილება ზემოქმედებს მოგებაზე ან ზარალზე, მაშინ მისი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში მის ფასს-ის 10.16 მუხლის მიხედვით ხდება პერსპექტიულად. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების პერსპექტიული აღიარება ნიშნავს, რომ ის შეეხება მხოლოდ შეფასების ცვლილების შემდგომი (და არა უფრო ადრინდელი) პერიოდის სამეურნეო ოპერაციებსა და მოვლენებს. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს:

- 1) მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალზე. ამის მაგალითად გამოდგება ცვლილებები უიმედო ვალების შეფასებებში (იხ. მაგალითი ზემოთ);
- 2) როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალზე. ასეთი ცვლილების მაგალითია ძირითადი საშუალებების სასარგებლო სამსახურის ვადის შეფასებაში ცვლილებები, რადგან ისინი გავლენას მოახდენს არა მხოლოდ მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯებზე, არამედ მომავალი წლების ცვეთის ხარჯებზეც. ანუ, საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ასეთი ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში

ავრძელებს ზემოქმედებას მომავალი საანგარიშგებო პერიოდების მოგება-ზარალზეც.

მაგალითი 5. საწარმოს ბალანსზე ირიცხება 10000 ლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილი, რომლის სასარგებლო სამსახურის ვადა განსაზღვრული იყო 5 წლით, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება კი - 0 ლარით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შესაბამისად წლიური ცვეთის თანხა შეადგენს 2000 ლარს. პირველი 2 წლის მანძილზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 4000 ლარი. მესამე საანგარიშო წელს საწარმომ, ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩათვალა მისი მომსახურების ვადის გადასინჯვა და გაზარდა ის კიდევ 3 წლით, ანუ 8 წლამდე, რომლიდანაც დარჩენილია კიდევ 6 წელი. წლიური ცვეთის თანხა, რომელიც უნდა ყოფილიყო 2000 ლარი, შეიცვალა და შეადგინა (10000-4000)/6=1000 ლარი. ამან გამოიწვია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯების შემცირება და შესაბამისად მოგების გაზარდა 1000 ლარით.

ეს ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში იმოქმედებს მომდევნო პერიოდების მოგება-ზარალზე კიდევ ხუთი საანგარიშო წლის განმავლობაში, მათ შორის: მეოთხე საანგარიშო წელს შეამცირებს - 2000-1000=1000 ლარით, მეხუთე საანგარიშო წელს - 2000-1000=1000 ლარით, მეექვსე, მეშვიდე და მერვე საანგარიშო წელს კი გაზარდის ხარჯებს 1000-1000 ლარით (ვინაიდან ამ წლებში, სააღრიცხვო შეფასება რომ არ შეცვლილიყო, ავტომობილზე დარიცხული ცვეთა ტოლი იქნებოდა 0 ლარის).

„10.17. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აღიარდება შესაბამისი აქტივის, ვალდებულების ან საკუთარი კაპიტალის მუხლის საბალანსო ღირებულებაში იმ ოდენობით, რა სიდიდის ცვლილებასაც იწვევს აქტივებსა და ვალდებულებებში, ან ზემოქმედებს საკუთარი კაპიტალის მუხლზე იმ პერიოდში, როდესაც ცვლილება მოხდა“.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები

„10.18. საწარმომ უნდა განმარტოს სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შინაარსი და ამ ცვლილების გავლენა მიმდინარე პერიოდის აქტივებზე, ვალდებულებებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე. თუ შესაძლებელია, რომ საწარმომ რაოდენობრივად შეაფასოს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენა ერთ ან მეტ მომავალ საანგარიშგებო პერიოდზე, საწარმომ ამ შეფასებების შესახებაც უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია“.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე, გარდა სააღრიცხვო შეფასებებისა, გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილი იმ

შეცდომების გასწორება, რომლებიც გასულ საანგარიშგებო პერიოდში (პერიოდებში) იქნა დაშვებული.

„10.19. წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ გამოიყენეს, ან არასწორად გამოიყენეს საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- (ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტიდან, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და
- (ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოდიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

10.20. ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევები“.

მაგალითი 6. საწარმოს კრედიტორული დაგაღიანების (გაწეული მომსახურების საფასურის) გადაუხდელობის გამო უზიგლა ერთ-ერთმა მიმწოდებელმა. გადასანდელი თანხა შეადგენს 25000 ლარს, მაგრამ საწარმო არ ეთანხმება ამ ვალს და არ ცნობს მას (არ აქვს აღიარებული თავის აღრიცხვაში), რადგან მიიჩნევს, რომ მომსახურება მიმწოდებლის მიერ არ განხორციელდა სათანადო ხარისხით. საწარმომ მოიგო ეს დაგა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო სასამართლოში და 2022 წელს დაგამ გადაინაცვლა უზენაეს სასამართლოში. საწარმო დარწმუნებული იყო საბოლოო გამარჯვებაში და ამ დაგის გამო ანარიცხი არ უღიარებია 2022 წლის თავის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც ხელი მოეწერა და გასაჯაროვდა 2023 წლის 5 თებერვალს.

უზენაესმა სასამართლომ განიხილა დაგა მხარეთა დასწრების გარეშე და საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა 2022 წლის 20 დეკემბერს, რომლის ძალითაც, მომჩივნის მოთხოვნა სამართლიანად იქნა ცნობილი და საწარმოს დაეკისრა ზემოაღნიშნული 25000 ლარისა და ასევე პირგასამტენლოს გადახდა მომჩივანი მხარისთვის. საწარმოს შეეძლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ სცოდნოდა, მაგრამ არ მოუკითხავს შესაბამისი ინფორმაცია და ეს მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2 თვის შემდეგ, როცა ფოსტით მიიღო უზენაესი სასამართლოსაგან წერილი თანდართული გადაწყვეტილებით. იმ დროისთვის, მას 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა.

მოცემულ შემთხვევაში, 25000 ლარი აღიარებული უნდა ყოფილიყო საწარმოს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც ვალდებულება. რადგან ეს

არ მოხდა, ადგილი აქვს გასული წლის შეცდომის გამოვლენის ფაქტს.

„10.21. შესაძლებლობის ფარგლებში, საწარმოო რეტროსპექტულად უნდა შეასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომა მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, შემდეგნაირად:

(ა) იმ წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ) ის შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

(ბ) თუ შეცდომა დაშვებული იყო წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდამდე, ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით“.

შეცდომები შეიძლება დაშვებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, მისი ცალკეული ელემენტის აღიარებისას, შეფასებისას ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის თანდართვის დროს. თეორიულად, ზემოთ ნახსენებ შეცდომებს შეიძლება არც ჰქონდეთ ადგილი, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველ საანგარიშო წელს გამოვლინდება გასულ წლებში დაშვებული შეცდომების ფაქტები, რომლებიც შეიძლება იყოს:

- 1) არითმეტიკული ხასიათის (არასწორად იქნა რამე დათვლილი);
- 2) მსს ფასს-ის არცოდნით ან დაუდევრობით (ოპერაცია არასწორად არის ბუღალტრულად გატარებული);
- 3) დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის უგულებელყოფით ან მისი არასწორი ინტერპრეტაციით;
- 4) სამეურნეო ოპერაციის გამორჩენით (დაგვიანებით იქნა მიღებული რამე საბუღალტრო საბუთი ან გაირკვა, რომ ფაქტობრივად მომხდარ სამეურნეო ოპერაციაზე საბუღალტრო საბუთი არ იყო შედგენილი);
- 5) თაღლითობით (ანუ როცა ოპერაცია შეგნებულად არის არასწორად ასახული ან თავად ოპერაცია არის „გამოგონილი“). უკანასკნელი სახის ფაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი სხვადასხვა მიზეზებით: გადასახადების შემცირება, ფინანსური ანგარიშგების ხელოვნურად „შელამაზება“, მატერიალური ფასეულობების მიტაცების მიჩქმალვა და სხვ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახის შეცდომის გასწორება (თუ ეს არ მოხდა ან ვერ მოესწრო შეცდომის დაშვების წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე), უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, რომელ წელსაც იქნა აღმოჩენილი შეცდომის ფაქტი.

განასხვავებენ არსებით და არაარსებით შეცდომებს. აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობა არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა

დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე ან რაოდენობრივ მნიშვნელობაზე, ან ორივე ფაქტორზე ერთად. საწარმო აფასებს, ესა თუ ის ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, არსებითია თუ არა მთლიანად მისი ფინანსური ანგარიშგების ჭრილში. გასული საანგარიშგებო პერიოდების არსებითი შეცდომების შესწორება მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის ახლებურ ფორმულირებას ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენას.

თუ შეცდომა, რომელიც უნდა გასწორდეს, ზემოთ მოყვანილ ნიშან-თვისებას არ აკმაყოფილებს, მაშინ ის არაარსებითი შეცდომაა და და ასახვას პოვებს მხოლოდ მიმდინარე საანგარიშო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არაარსებითი შეცდომების ჯამურ გავლენას (ერთობლიობას) არსებით შეცდომამდე მივყავართ.

მაგალითი 7. მიმდინარე საანგარიშო წელს საწარმომ შეამჩნია, რომ გასული წლიდან გადმოყოლილი ერთ-ერთი ვალდებულება მიმწოდებლის წინაშე 35 ლარის ოდენობით სინამდვილეს არ შეესაბამება. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ეს თანხა საწარმომ არ გადაუხადა მიმწოდებელს იმის გამო, რომ მან ერთხელ დაუგვიანა საწარმოს ნედლეულის მიწოდება რამდენიმე დღით და ამ დაგვიანების გამო მას დაერიცხა საურაფი, რომლის სამართლიანობაც გასულ წელსვე აღიარა ამ მიმწოდებელმა. გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ეს საჯარიმო თანხა საწარმოს შემოსავლებში არ აისახა, რადგან ინფორმაცია ამის შესახებ ბუღალტერს დროულად არ მიეწოდა.

ეს შეცდომა, საწარმოს საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით, წარმოადგენს არაარსებითს. საწარმო მიმდინარე წლის ბალანსიდან მოხსნის აღნიშნულ არარეალურ კრედიტორულ დაგალიანებას და ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის ასახავს ამ 35 ლარს როგორც „სხვა გაუთვალისწინებელ შემოსავალს“. შესადარისი ინფორმაციის კორექტირება ან რამე დამატებითი ინფორმაციის წარდგენა არ ხდება.

მაგალითი 8. მიმდინარე საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გაირკვა, რომ წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს მაშინდელი დირექტორის მოთხოვნით შემოსავლად (მნიშვნელოვანი სიდიდის თანხით) აღიარებული იქნა ერთ-ერთი კონტრაქტის მინეღვით შესრულებული სამუშაო, რომელიც სინამდვილეში არ იყო დამთავრებული იმ დროისათვის. დამკვეთმა მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოაწერა მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში, ამასთან, უფრო მცირე თანხაზე, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო კონტრაქტით ნაგარაუდები. გასული წლის

ამონაგების ხელოვნურად გაზრდამ ასევე გამოიწვია თანამშრომელთა პრემიების ხელოვნური ზრდაც, რადგანაც ისინი ყოველწლიურად განისაზღვრება ამონაგების სიდიდიდან X% -ის ოდენობით. ასევე, აქციონერებისათვის მოგების განაწილება დივიდენდების სახით მოხდა გაზრდილი ოდენობიდან.

გამოვლენილი შეცდომების ერთობლიობა წარმოადგენს არსებითს, ამიტომ გასული წლის ფინანსური ანგარიშგება აღარ ჩაითვლება საიმედოდ. საწარმომ მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წინა წლების შესადარისი ინფორმაციის ასახვისას უნდა გაითვალისწინოს ამ არსებითი შეცდომის გასწორების შედეგები მის ფასს-ის 10.21 და 10.22 მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

„10.22. როდესაც შეუძლებელია შეცდომის გავლენის განსაზღვრა ერთი ან მეტი წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთები, რომლისთვისაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშების განხორციელება (რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდში იყოს)“.

მაგალითი 9. 2019 წელს საწარმომ დაიწყო მრავალსახეობიანი პროდუქციის წარმოება, რომელიც შეწყდა 2021 წელს (გადაერთო სხვა სახის პროდუქციის წარმოებაზე). 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოვლინდა, რომ თურმე, საწარმო 2019 წელში არასწორად ითვლიდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, 2020 და 2021 წლებში კი - სწორად.

შეცდომის გასწორება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში რთულია, რადგან წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნების გამო, საჭიროა მათზე გამოვლენილი განსხვავებების გადანაწილება და შემდეგ - გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების გადათვლა (საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით, გამოყენებულია საშუალო ფასთა მეთოდი), რისი ავტომატურად გაკეთების საშუალებასაც ვერ იძლევა არსებული სააღრიცხვო კომპიუტერული პროგრამა, ხელით გადათვლა კი ძალიან შრომატევადია.

იმავედროულად, დანამდვილებით ცნობილია, რომ 2019 წელს წარმოებული პროდუქცია სრულად იყო განაშთული 2020 წლის ბოლოს, რადგან მისი შენახვის ვადა - 1 წელია.

ამ შემთხვევაში 2019 წელს დაშვებული შეცდომის ჯამური (2019 და 2020 წლების) გავლენა ფინანსურ შედეგებზე იოლი დასადგენია და 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება გადაანგარიშდება, 2019 წელზე კი ჩაითვლება, რომ მისი გასწორება

შეუძლებელი იყო შრომატევადობის გამო (ანუ, ჩაითვალა ეკონომიკურად მიზანშეუწონლად).

წინა პერიოდის შეცდომებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები

„10.23. წინა პერიოდის შეცდომებთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) წინა პერიოდის შეცდომის ხასიათი;
- (ბ) თითოეული წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის - შესწორების თანხა ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის, რომელიც შესასწორებელი იყო, შესაძლებლობის ფარგლებში;
- (გ) შესაძლებლობის ფარგლებში, შესწორების თანხა ყველაზე ადრეული წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის; და
- (დ) თუ შეუძლებელია (ბ) ან (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების განსაზღვრა, მაშინ ამის მიზეზის ახსნა.

ამ ინფორმაციის გამოვლენა საჭირო არ არის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში“.

„შეუძლებელის“ განმარტება მოყვანილია მის ფასს-ის „ბ“ დანართში „ტერმინების ლექსიკონი“:

„შეუძლებელი - ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია, თუ საწარმოს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება ყველა მართლზომიერი მცდელობის მიუხედავად“.

მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის შეუძლებელია კონკრეტული წინა პერიოდისათვის სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების გამოყენება რეტროსპექტულად, ან შეცდომის გასასწორებლად რეტროსპექტული გადაანგარიშება, თუ:

- ა) რეტროსპექტულად გამოყენება ან რეტროსპექტულად გადაანგარიშება ითხოვს დაშვების გაკეთებას იმის შესახებ, თუ როგორი იყო მოცემულ პერიოდში ხელმძღვანელობის განზრახვა; ან
- ბ) რეტროსპექტულად გამოყენება ან რეტროსპექტულად გადაანგარიშება ითხოვს თანხების მნიშვნელოვან შეფასებებს და შეუძლებელია სხვა ინფორმაციიდან ობიექტურად განვასხვაოთ ამ შეფასებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებებს გარემოებათა შესახებ, რომლებიც არსებობდა იმ თარიღისათვის (თარიღებისათვის), როცა ეს თანხები შეფასებული და აღიარებული იყო ფინანსურ ანგარიშგებაში და ხელმისაწვდომი იყო მისი საჯარო გამოქვეყნების მომენტისთვის.

შეცდომების გასწორება თავისი არსით განსხვავდება ცვლილებებისაგან სააღრიცხვო შეფასებებში, რადგან სააღრიცხვო შეფასებები თავისი ბუნებით მიახლოებითი მნიშვნელობებია, რომელთა გადასინჯვა შეიძლება მოხდეს ახალი ინფორმაციის მიღების ან ახალი გარემოებების დადგომის გამო. შეცდომების გასწორება კი მოითხოვება უპირობოდ.

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

პროგნოზი ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი კვლავ არ შეამცირა

ზედიზედ მე-12 შემთხვევა, როცა განაკვეთი 8%-ზეა გაჩერებული

10 სექტემბერს, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი კვლავ უცვლელად, 8%-ის ნიშნულზე დატოვა. აღსანიშნავია, რომ კომიტეტმა 8%-იანი განაკვეთი უკვე მეთორმეტედ დაამტკიცა და 2024 წლის 22 მაისის შემდეგ აღარ შეუცვლია.

გაცხადებული მიზეზი – ინფლაციის მატებაა. ინფლაცია მიზნობრივ, 3%-იან მაჩვენებელს ბოლო მონაცემებით 1,6%-ით აჭარბებს. აგვისტოს მდგომარეობით, წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა. რაც შეეხება თვიურ ინფლაციას, აგვისტოში სამომხმარებლო ფასები 0.3%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით. ამიტომ, ექსპერტთა უმეტესობას არც ჰქონდა მოლოდინი, რომ სებ-ი რეფინანსირების განაკვეთს შეამცირებდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მაღალ ნიშნულზეა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, მით უფრო ძვირდება სესხის საპროცენტო განაკვეთი და შესაბამისად, გაძვირებული ფულადი რესურსი უფრო მეტად უშლის ხელს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ტემპის მატებას.

მსსპრტთა ნაწილის პროგნოზი გამართლდა

ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში, ანალიტიკოსმა დავით მაისურაძემ BM.GE-ს განუცხადა, რომ ეროვნულ ბანკს უახლოეს მომავალში რეფინანსირების განაკვეთის შემცირების საშუალება არ ექნება, ამიტომ, არც იყო მოსალოდნელი, რომ განაკვეთი დაიკლებდა.

„საქმე ისაა, რომ აგვისტოში ინფლაციის ტემპი დაჩქარდა და წლიური ინფლაცია 4.6%-მდე გაიზარდა. ეს ბოლო ორი წლის განმავლობაში ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია“, – თქვა მაისურაძემ.

ამიტომ, დავით მაისურაძის განცხადებით, დაჩქარებული ინფლაციის ფონზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეროვნულმა ბანკმა წლის ბოლომდე მონეტარული პოლიტიკა შეარბილოს. მისივე შეფასებით, ინფლაციის დაჩქარებული მაჩვენებელი კიდევ ერთი ინდიკატორია, რომ ქვეყანაში სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესებულია.

„ცალკე აღებული ინფლაციის 4.6%-იანი მაჩვენებელი არაა კრიტიკული ნიშნული, თუმცა თუკი ჯამურად ავიღებთ იმას, რომ სხვა რიგი ეკონომიკური

მაჩვენებლებიც გაუარესებულია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყურადღებო მაჩვენებელია. ჯამურად ეკონომიკური ტენდენცია გაუარესებულია, ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირებულია და ამ ზრდის ტემპის შემცირების კვალდაკვალ იზრდება ინფლაცია.

არ ველოდები, რომ ეროვნული ბანკი ინფლაციის ამ მაჩვენებელზე რაიმე ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, ალბათ დაელოდებიან როგორ განვითარდება მოვლენები, რა ნიშნულს მიღწევს ინფლაციის მაჩვენებელი და იმის მიხედვით იმოქმედებენ. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ვერც რეფინანსირების განაკვეთს შეამცირებენ. სავარაუდოდ უცვლელს დატოვებენ და დაელოდებიან ინფლაციის მაჩვენებლის ტრაექტორიას“, – განაცხადა დავით მაისურაძემ.

სებ-ი რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს არ შეამცირებდა, ასეთივე მოლოდინი ჰქონდა საინვესტიციო ბანკის – Galt & Taggart-ის ეკონომისტ ლაშა ქავთარაძეს.

მისი თქმით, პროგნოზია, რომ საშუალოწლიური ინფლაცია 3.7%-ის ფარგლებში იქნება, რის ფონზეც რეფინანსირების განაკვეთის შეცვლა მოსალოდნელი არ არის. თუმცა, უკვე მომდევნო, 2026 წლის მეორე ნახევარში, ქავთარაძის პროგნოზით, განაკვეთი შესაძლოა 0.25-0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდეს.

„ფასების დონე ავლენს ზრდის ტემპს თვიდან თვემდე. აგვისტოში წინა თვესთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსი და წლიურ ჭრილში მივიღეთ 4.6%-იანი ინფლაცია. ეს ინფლაცია ძირითადად განპირობებულია სურსათის და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიაში ფასების 10%-იანი ზრდით, შემდეგ მოსდევს ჯანდაცვა, განათლების ჯგუფი, უალკოჰოლო სასმელები, თამბაქო – აი ეს კატეგორიებია, რომელიც იწვევენ ინფლაციას. ასევე არის კატეგორიები, რომლებიც წლიურ ჭრილში კლების ტენდენციებს ავლენენ. ესაა ტრანსპორტის კატეგორია – იმის მიუხედავად, რომ ბოლო თვეებში, თვიდან თვემდე მზარდი ტენდენცია გვაქვს, წლიურად მაინც შემცირებულია, ასეთია ასევე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და სახლის მოვლა. ჩვენი პროგნოზია, რომ საშუალოწლიური ინფლაცია 3.7%-ის ფარგლებში იქნება მიმდინარე წელს, სამიზნე მაჩვენებელს ოდნავ ზემოთ. ეს არის ის მაჩვენებელი, რომლითაც ეროვნული

ბანკი სავარაუდოდ თავს შეიკავებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებისგან“, – განაცხადა ქავთარაძემ მონეტარული პოლიტიკის სხდომის გამართვის წინა დღეს. მისი თქმით, შემცირების მოლოდინები ნაკლებია, განაკვეთი წლის ბოლომდე შენარჩუნდება 8%-ის დონეზე, თუმცა, Galt & Taggart-ის პროგნოზებით ვლინდება, რომ მომავალ, 2026 წელს ინფლაცია შესაძლოა მიზნობრივ დონეზე დაბალი დაფიქსირდეს და მაგ შემთხვევაში, უკვე გაჩნდება ალბათობა, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.25-0.5 პროცენტული პუნქტით იყოს შემცირებული.

ეროვნული ბანკის პოზიციის – რატომ დატოვა განაკვეთი უცვლელი

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განაკვეთის უცვლელად დატოვების შემდეგ საკუთარი გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოაქვეყნა. საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური სცენარის მიხედვით, ინფლაცია 2025 წელს დროებით მიზნობრივი 3%-იანი დონიდან მაღლა დარჩება და სავარაუდოდ 3.8%-ს მიაღწევს.

„2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში ფასების საერთო დონე წლიურად 4.6 პროცენტით გაიზარდა. მიზნობრივ, 3 პროცენტიან, მაჩვენებელთან შედარებით ინფლაციის ზომიერ ზრდას ძირითადად სურსათის ინფლაცია განაპირობებს, რომელიც მაღალი მერყეობით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლებისა და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მიზნობრივ 3 პროცენტთან დონეზე დაბლა ნარჩუნდება და აგვისტოს მდგომარეობით 2.8 პროცენტი შეადგინა. გარდა საბაზო ინფლაციისა, სხვა შედარებით ხისტი ფასების საზომები ზომიერად გაზრდილია, რაც ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს საყურადღებოს ტოვებს. კერძოდ, მომსახურების სექტორის ინფლაციამ აგვისტოში 4.2 პროცენტი შეადგინა. პარალელურად, იმპორტირებული პროდუქტების ფასები კვლავ დეფლაციურია, მეტწილად საწვავის ფასების წლიურად შემცირების ხარჯზე.

სებ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, როგორც, მოსალოდნელი იყო, ინფლაცია დროებით მიზნობრივ დონეზე მაღლა ნარჩუნდება და 2025 წელს 3.8 პროცენტის ფარგლებში იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის არსებული დინამიკა ძირითადად მიწოდების დროებითი ფაქტორებიდან მომდინარეობს, სებ-ი მაინც ირჩევს ფრთხილ მიდგომას, რათა ფასების მიმდინარე ზრდა გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებში არ აისახოს. შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია 3 პროცენტის გარშემო დასტაბილურდება. ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, ეკონომიკური აქტივობა მის გრძელვადიან ტრენდთან ნელი დაახლოების ნიშნებს ავლენს, რაც ფასებზე მოთხოვნის მხრიდან წნეხს

არბილებს. კერძოდ, ივლისში ეკონომიკურმა ზრდამ 6.5 პროცენტი შეადგინა. ერთობლივი მოთხოვნის მის გრძელვადიან ტრენდთან დაახლოებას დამატებით ხელს უწყობს ფინანსურ ბაზარზე გამკაცრებული ფინანსური პირობები. ეს უკანასკნელი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დინამიკაში აისახება“, – წერია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

როგორც სებ-ში ამბობენ, გლობალურად მაღალი გაურკვევლობის გათვალისწინებით, ინფლაციაზე, როგორც ზრდის, ასევე შემცირების, მიმართულებით მოქმედი რისკები კვლავ საგულისხმოა. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა როგორც მაღალი ინფლაციური, ისე დაბალი ინფლაციური რისკების სცენარები.

„ერთი მხრივ, აშშ-ის სატარიფო პოლიტიკა ცვალებადია და მისი საბოლოო ფორმირება არაერთხელ გადაიხედა. მსგავსი ვითარება აძლიერებს გლობალური ეკონომიკის ფრაგმენტაციას. შედეგად, შესაძლოა წარმოიშვას მიწოდების ჯაჭვების შეფერხებები, რაც სტაგფლაციური გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური სიტუაციის ხელახალი ესკალაცია ინფლაციურ რისკებს წარმოშობს, ვინაიდან მნიშვნელოვან წნეხს ახდენს ნავთობის გლობალურ ბაზარზე.

მაღალი ინფლაციური სცენარის განხილვისას საყურადღებოა ადგილობრივ ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებიც. კერძოდ, ფასების საერთო დონის მიზნობრივზე ზომიერად მაღალი ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, დროებითი იქნება, რადგან მისი ზრდა მეტწილად საბაზო ეფექტსა და სურსათის ინფლაციაში ერთჯერად კორექტირებას უკავშირდება. თუმცა, თუ მიზნობრივზე მაღალი ინფლაცია ხანგრძლივად შენარჩუნდება, ეს შესაძლოა ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს წარმოშობდეს. ამ რისკების რეალიზება კი, ცენტრალურ სცენართან შედარებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო მაღალ ტრაექტორიას მოითხოვს.

მეორე მხრივ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა დაბალი ინფლაციური რისკების სცენარი, რომლის რეალიზების შემთხვევაში ფუნდამენტური პროცესები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო დაბალ ტრაექტორიას მოითხოვს, ვიდრე ცენტრალური სცენარი. სურსათის საერთაშორისო ბაზარზე ნედლეული პროდუქტების ფასები მაღალი მერყეობით ხასიათდება, თუმცა, თუ ფასები მოსალოდნელზე სწრაფად ნორმალიზდება, ეს გავლენა ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა. ამავდროულად, დოლარის ინდექსი გლობალურად შესუსტებულ პოზიციაზე ნარჩუნდება. ამ ტენდენციების მოსალოდნელზე ხანგრძლივად შენარჩუნების შემთხვევაში, გამყარებული გაცვლითი კურსი და სურსათის საერთაშორისო ფასების დაბალი ტრენდი, იმპორტირებული პროდუქტების დაბალი ინფლაციის გზით, მთლიან ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და არსებული რისკების შეფასების შედეგად, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ოპტიმალურად მიიჩნია ზომიერად გამაკაცრებელი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, უცვლელად, 8 პროცენტზე დატოვა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება განახლებულ მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარებსა და რისკების ანალიზზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება“, – წერს ეროვნული ბანკი.

**„საშ-ი ამ განაკვეთითი ზღვრას
მოწოდებურ ზრდას“ – მიხეილ კუპავა**

Stemscale-ის მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი მიხეილ კუპავა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის 8%-ზე დატოვებას ნეგატიურად აფასებს და აცხადებს, რომ ამით ის ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს.

როგორც კუპავამ „საქმიანი დილის“ ეთერში განმარტა, 8%-იანი რეფინანსირების განაკვეთის პირობებში ბიზნესისთვის შეწონილი განაკვეთი 14%-ია, რაც მათ განვითარების საშუალებას არ აძლევს.

„ნამდვილად არასწორი იყო ეს გადაწყვეტილება. ჩვენ ვნახეთ 2 თვის წინ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კი მოუწოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს განაკვეთის შემცირებისკენ. არ მახსოვს, ეს მანამდე როდის გააკეთა.

ჩვენი ამჟამინდელი განაკვეთი ეკონომიკურ ზრდას ზღუდავს, ნეიტრალური განაკვეთია 7%. არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს 7% არც ასტიმულირებს და არც ზღუდავს ამ ზრდას, 8% კი უკვე ზღუდავს.

8%-იანი განაკვეთის პირობებში საშუალო შეწონილი კომერციული განაკვეთი 14%-ია, ამით სესხის აღება ბევრი ბიზნესისთვის იმდენად მძიმე ტვირთია, რომ ათასგვარ საშუალებას ვეძებთ, კომპანიაში რომ იაფად მოვაზიდვინოთ კაპიტალი. ამ განაკვეთით პირდაპირ არ ვაძლევთ უფლებას აიღონ სესხი და ეს ეროვნულმა ბანკმა კარგად უნდა გაიგოს.

რატომ არ აპროტესტებს ამას ბიზნესი? ამაზე მახსენდება თავშესაფარში გაზრდილი ბავშვი, რომელმაც არ იცის სითბო და სიყვარული. წლების განმავლობაში, როგორც ის ბავშვი მიეჩვია თავშესაფარში ცხოვრებას, ისე მიეჩვია ბიზნესი ამ დამსჯელი საპროცენტო განაკვეთებით არსებობას.

რადგან სებ-ს არ მოეთხოვება ეკონომიკურ ზრდაზე ზრუნვა და მისი ერთადერთი მისიაა ფასების სტაბილიზაცია, ამას უნდა შევწიროთ განვითარება და ეკონომიკური ზრდა? ეს ზრდა რაც გვქონდა, იყო ერთჯერადი ფაქტორებით გამოწვეული და კმაყოფილები ვართ, მაგრამ არ ვფიქრობთ მერე რას ვაკეთებთ? რომ

გვჭირდება იგივე განაკვეთის შემცირება, ამის გაკეთება შეუძლო და აღნიშნავს თავადაც რომ ეს შესაძლებელი იყო. ამის ნაცვლად დეკლარირებულად არა, თუმცა გადაწყვეტილებებით ფაქტობრივად ამბობს, რომ მას არ აინტერესებს ეკონომიკური ზრდა“, – განაცხადა კუპავამ.

რეფინანსირების განაკვეთი რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის ზრდისთვის და სამუშაო ადგილების შექმნაში, ამას ორიოდე თვის წინანდელი, ამერიკის პრეზიდენტის მკვეთრი განცხადებებიც ადასტურებს. დონალდ ტრამპი უკმაყოფილებას ვერ მალავდა და ღიად აკრიტიკებდა ფედერალური რეზერვის თავმჯდომარე ჯერომ პაუელს. ტრამპი დაჟინებით ითხოვდა განაკვეთის 1%-მდე შემცირებას, როცა ფედერალური რეზერვის განაკვეთი 4.25-4.5% შუალედში იყო განსაზღვრული. დონალდ ტრამპი მიიჩნევდა, რომ აშშ-ში ისტორიულად გაძვირებული კაპიტალით, ამერიკელები ასობით მილიარდ დოლარს კარგავენ და ეს, მისი თქმით, სწორედ ჯერომ პაუელის დამსახურებაა. იანვრის შემდეგ, განაკვეთი უცვლელია და სწორედ სექტემბერში მოელიან, რომ პაუელის უწყება განაკვეთს შეამცირებს.

ისევ საქართველოს რომ დაეუბრუნდეთ, ეკონომიკის ზრდის ტემპი წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია. თუ გადავხედავთ, თვეების მიხედვით ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი ასეთი იყო:

- იანვარი – 11,1%;
- თებერვალი – 7,7%;
- მარტი – 9%;
- აპრილი – 7,5%;
- მაისი – 7,5%;
- ივნისი – 6,3%;
- ივლისი – 6,5%.

კარგად ჩანს, ეკონომიკის ზრდის ტემპი წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია და ლოგიკურად ჩნდება სურვილი, რომ ეკონომიკის ხელშესაწყობად ქვეყანაში სესხი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ამიტომ, ერთ მხარეს რეფინანსირების განაკვეთის შემცირების სურვილი არსებობს, რადგან რაც უფრო ძვირია სესხი, მით უფრო მეტია ზეწოლა ბიზნესისთვისაც და ცალკეული ადამიანებისთვისაც, მეორე მხრივ კი, განაკვეთის შემცირება, როცა ინფლაცია ისედაც მზარდია, კიდევ მეტად წაახალისებს სამომხმარებლო ფასების ზრდას. როგორც მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებიდან ჩანს, ეროვნული ბანკი მოცემულ მომენტში ინფლაციის მოთოკვაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობაზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 5 ნოემბერს ჩატარდება და მაშინ გახდება ცნობილი, ეროვნული ბანკი შეცვლის არსებულ 8%-იან რეფინანსირების განაკვეთს თუ მეცამეტედაც უცვლელს დატოვებს.

თემურ იობაშვილი

ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები იზრდება

ვისთვის ეკონომიკური ანომალია, ვისთვის ეკონომიკის განვითარების მზარდი ტემპები

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობამ 5 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს არ არის ის მაქსიმუმი, რაც ქვეყანას ჰქონია, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ეკონომისტთა ნაწილის მიერ, 2024 წლის ბოლოს გავრცელებული პროგნოზების საპირისპიროდ, წელს ეროვნული ბანკი, თითქმის ყოველ თვეს, უცხოურ ვალუტას ყიდულობს და რეზერვებს ავსებს. შიდა პოლიტიკური დაძაბულობისა და განვითარებულ ქვეყნებთან გართულებული ურთიერთობის ფონზე, ჩნდება კითხვა, როგორ ახერხებს ეროვნული ბანკი რეზერვების მობილიზებას.

ეროვნული ბანკის აგვისტოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5.2 მილიარდი დოლარია. აქედან 786.9 მილიონი დოლარი ოქროს აქტივია. 2025 წლის დასაწყისიდან რეზერვების მოცულობა 1,3 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ეროვნულ ბანკში აღნიშნავენ, რომ ეს რეზერვების დაგროვების ისტორიული მაჩვენებელია, თუმცა ამ მოცულობას ჯერ „ისტორიულ“ ნიშნულამდე არ მიუღწევია. ქვეყანას რეკორდული რაოდენობის სავალუტო რეზერვი ზუსტად ორი წლის წინ, 2023 წლის აგვისტოში ჰქონდა და მისი მოცულობა 5.4 მილიარდ დოლარს შეადგენდა. შარშან საარჩევნო პერიოდში დოლარის მიმართ ლარის მკვეთრი მერყეობა დაფიქსირდა და ეროვნულ ბანკს ამ პროცესის დასტაბილურებისთვის საერთაშორისო რეზერვებიდან ასეულობით მილიონი დოლარის გაყიდვა დასჭირდა. ამის შედეგად, 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით რეზერვები 4.1 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. მაშინ ამ პროცესს პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში საგანგაშოს უწოდებდნენ, კეთდებოდა პროგნოზები, რომ დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე ეკონომიკური ზრდის ვარდნა, შესაბამისად ლარის გაუფასურება და რეზერვების კიდევ უფრო შემცირება გარდაუვალი იყო. მაგრამ, წინა საარჩევნო პერიოდებისგან განსხვავებით, წელს ლარი მყარად გამოიყურება. შესაბამისად ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცა სავალუტო ბაზრიდან უცხოური ვალუტა ამოიღოს და რეზერვებში გადაამისამართოს. ეროვნული ბანკი უცხოურ ვალუტას, ძირითადად, Bloomberg-ის Bmatch პლატფორმის მეშვეობით ყიდულობს.

უფრო დეტალურად, 2025 წლის სექტემბრის მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციები ასე გამოიყურება: იანვარ-თებერვალი – Bmatch-ით წმინდა შესყიდვა არ განხორციელებულა, მარტი – Bmatch-ით წმინდა შესყიდვა – 101.7 მილიონი დოლარი, აპრილი – 266.4 მილიონი დოლარი, მაისი – 245.4 მილიონი

დოლარი, ივნისი – 266.0 მილიონი დოლარი, ივლისი – 416.9 მილიონი დოლარი.

რაც შეეხება ოქროში განთავსებულ რეზერვებს, ეროვნულმა ბანკმა რეზერვების ამ ფორმით დივერსიფიცირების გადაწყვეტილება 2024 წლის დასაწყისში მიიღო და იმავე წლის მარტში, ლონდონის ოქროს ზოდების ბაზარზე 500 მილიონ დოლარად 999.9 სინჯის 7 ტონა ოქრო შეიძინა. ოქროს ფასის ცვლილების შედეგად, მონეტარული ოქროს ღირებულება, მისი შეძენის მომენტიდან, 286.9 მლნ დოლარით გაიზარდა.

„ჩვენი ინტერვენციების ისტორიაში წელს მაქსიმუმს მივაღწევთ, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი გვექნება სავალუტო შესყიდვებისა და რეზერვების შევსების თვალსაზრისით. ამის საფუძველი არის ჩვენი მზარდი ეკონომიკა. უცხოური ვალუტა ჩვენს ბაზარზე ექსპორტისა და ტურიზმის არხებით შემოდის, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. ასევე მუდმივად იზრდება სავალუტო შემოდინებების ეს არხი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დღესაც ვაგრძელებთ შესყიდვას“, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ.

რეზერვების შივსების „მთავარი არხები“

რეზერვების დაგროვების „მთავარი არხები“, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უწოდებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ასე გამოიყურება:

2025 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11.9 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.8 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3.2 მილიარდი დოლარი იყო (გაიზარდა 13.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 8.7 მილიარდი დოლარი (გაიზარდა 12.4 პროცენტით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2025 წლის ორ კვარტალში 5.5 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 45.8 პროცენტია.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოს ამ ორი კვარტლის მონაცემებით, სამი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა ჰყავს: ყირგიზეთი (681.3 მილიონი დოლარი), ყაზახეთი (414.0 მილიონი დოლარი) და აზერბაიჯანი (341.8 მილიონი დოლარი). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეყნებში, ძირითადად, ავტომობილების რექსპორტი გვაქვს. ადგილობრივი ექსპორტი არც თუ ისე დიდია.

საექსპორტო ათეულში პირველ ადგილს მსუბუქი

ავტომობილები იკავებს 1.2 მილიარდი დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 37.6 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები – 174.6 მილიონი დოლარით (მთლიანი ექსპორტის 5.4 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე სპირტიანი სასმელები – 123.2 მილიონი დოლარით (3.8 პროცენტი).

აქვე საინტერესოა, ამ ყველაფერში რა ადგილი უჭირავს ადგილობრივ ექსპორტს, ანუ იმ პროდუქტს, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს ან მადნის სახით მოიპოვებს.

საქსტატის ორი კვარტლის მონაცემებით, ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 45.6 პროცენტს შეადგენს, მთლიანობაში 1.5 მილიარდი დოლარია (6.4 პროცენტით მეტი წინა წლის ორ კვარტალთან). ქვეყნის მთავარი საექსპორტო პროდუქტი ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატებია – 174.6 მილიონი დოლარი, მეორე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები – 121.0 მილიონი დოლარი, ხოლო მესამე ადგილს იკავებს სპირტიანი სასმელები – 101.9 მილიონი დოლარი. ადგილობრივი პროდუქტის მთავარი საექსპორტო ქვეყნებია: რუსეთი (310.6 მილიონი დოლარი), ჩინეთი (162.3 მილიონი დოლარი) და თურქეთი (150.4 მილიონი დოლარი).

რაც შეეხება მთავარ საიმპორტო ქვეყნებს, ეს სტატისტიკა ასე გამოიყურება: თურქეთი (1.3 მილიარდი დოლარი), აშშ (1.3 მილიარდი) და რუსეთი (950.5 მილიონი დოლარი). საიმპორტო პროდუქტში, ბუნებრივია, პირველ ადგილს ავტომობილები იკავებს – 1.7 მილიარდი დოლარი, მეორე ადგილზეა – ნავთობი და ნავთობპროდუქტები 601.9 მილიონი დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა სურათები, ნახატები და პასტელები (ხელით შესრულებული) – 481.2 მილიონი დოლარი. სურათების იმპორტის ასეთი მაღალი მაჩვენებელი პირველად დაფიქსირდა და როგორც ჩანს, ის ერთჯერადი ხასიათის იყო.

რაც შეეხება ტურიზმს, ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, იანვარ-ივნისში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 მილიარდ დოლარამდე შეადგინა, რაც 3.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტიური იყო მეორე კვარტალი. ოფიციალური მონაცემებით, ასეთი მატება ევროკავშირიდან, ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან და აზიური ბაზრებიდან ტურისტული შემოსავლების ზრდას უკავშირდებოდა. საინვესტიციო ბანკის „გალტ & თაგარტის“ პროგნოზით, 2025 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.5 მილიარდ დოლარს მიაღწევს, თუმცა მე-2 კვარტლის დინამიკის გაგრძელების შემთხვევაში, პროგნოზი 4.6 მილიარდი დოლარია.

ამ სექტორების აღმავალი სტატისტიკის ფონზე, მკვეთრად მცირდება უცხოური ინვესტიციების მოცულობა. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ორ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 140.3 მილიონი დოლარით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა, მთლიანობაში 763.7

მილიონი დოლარი (წინა წლის ორ კვარტალში 904 მილიონი დოლარი). საქსტატში განმარტავენ, რომ კლება განპირობებულია რეინვესტიციისა და სავალო ვალდებულებების შემცირებით.

საინფორმაციო პორტალ BM.GE-სთან ინტერვიუში ეკონომისტი გიორგი ხიშტოვანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსების პოლიტიკას დადებითად აფასებს, მაგრამ არ იზიარებს სებ-ის პრეზიდენტ ნათია თურნავას იმ განცხადებას, რომლის თანახმად, რეზერვების შევსების პროცესში ძირითად როლს „მზარდი ეკონომიკა“ და „ვალუტის შემომტანი“ დარგები ასრულებს. მისი განცხადებით, საბანკო სექტორში ჭარბმა დოლარმა შექმნა იდეალური შტორმი. ხიშტოვანის ვარაუდით, „ჭარბი დოლარის“ შექმნას ეროვნული ბანკის იმ გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ვალუტაში დაკრედიტების ზღვარი 750 ათას ლარამდე გაიზარდა.


„რეზერვების შევსება, ჩემი აზრით, პირველ რიგში, საბანკო სექტორში ჭარბი დოლარის გაჩენის, დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელების და რეგულატორული ცვლილებების შედეგებია. მაგალითად, საბანკო დეპოზიტები დოლარში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დოლარში დაკრედიტება. შესაბამისად, ამ ჭარბ დოლარს ყიდულობს ახლა ეროვნული ბანკი. ეკონომიკურ აღმავლობასთან ამას საერთო არაფერი არ აქვს“, – ამბობს გიორგი ხიშტოვანი.

„გალტ ენდ თაგარტის“ მთავარი ეკონომისტის ლაშა ქავთარაძის შეფასებით, თებერვლიდან მოყოლებული ლარი მყარდება და ბოლო პერიოდში, ეს გამყარება უფრო გლობალური ფაქტორით არის განპირობებული, ანუ დოლარი არის დასუსტებული.

„ამ ფონზე ეროვნულ ბანკს საშუალება მიეცა, რომ რეზერვების შევსება აქტიური ყოფილიყო, განსაკუთრებით მეორე კვარტალიდან მოყოლებული. ბოლოს, ივლისში საკმაოდ სოლიდური თანხები იყო შესყიდული, 417 მილიონი დოლარი. არ არის გამორიცხული, რომ 300 მილიონ დოლარზე მეტი შესაძლოა აგვისტოში იყოს. 1.3 მილიარდი დოლარი არის უკვე მარტივ-ივლისის მონაცემი და აგვისტოშიც თუ 300 მილიონს ჩავთვლით, მინიმუმ 1.6 მილიარდი დოლარი უკვე შესყიდულია. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს იმას, რომ თუ რაიმე მოკლევადიანი შოკი იქნება, ვთქვათ, ერთჯერადი შეტევა გაცვლით კურსზე, ამის რესურსი არსებობს“, – განმარტავს ლაშა ქავთარაძე.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა სწორედ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვაა, რომელიც მისი ბალანსის ყველაზე მსხვილ აქტივს წარმოადგენს. საერთაშორისო სარეზერვო აქტივების დასაშვები შემადგენლობა განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთაშორისო სარეზერვო აქტივების გაანგარიშდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით და ქვეყნდება თვის დამთავრებიდან მე-7 დღეს, ეროვნული ბანკის საიტზე.

საერთაშორისო რეზერვების მართვის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიებს ამტკიცებს ეროვნული



მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ მიერ შერჩეულ იქნა ზრდის ჰაბების პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების მიმწოდებლად. აუდიტორული კომპანია „ცოდნისა“, სააგენტოსთან „ანარმოე საქართველოში“ პარტნიორობით მცირე და საშუალო მენარმეებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობას ბიზნესის განსავითარებლად. სააგენტო „ანარმოე საქართველოში“-ს საკონსულტაციო ცენტრების (ზრდის ჰაბების) პროექტის ფარგლებში გთავაზობთ 10,000 ლარამდე დაფინანსებას ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე შემდეგი მიმართულებით:

**ფინანსები და ბუღალტერია;
გადასახადები.**

თანადაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ ბიზნესს, რომელსაც:

- აქვს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- უფიქსირდება წლიური ბრუნვა მინიმუმ 30,000 ლარი და მაქსიმუმ 10,000,000 ლარი;
- არ აქვს საგადასახადო დავალიანება.

რაც მოიცავს აღნიშნული საკონსულტაციო სერვისები?

- ფინანსები და ბუღალტერია;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- ფინანსური ანალიზი;
- ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება;
- ბიზნესისთვის დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება.

გადასახადები:

- საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: 595 59 02 75; 579 30 71 71.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მე-4 სართული.

ბანკის საბჭო. ძირითადი პრინციპებია პირველ რიგში უსაფრთხოება, შემდეგ ლიკვიდურობა და ბოლოს შემოსავლიანობა. შესაბამისად საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სახელმწიფო და მულტინაციონალურ ფასიან ქაღალდებსა და ბანკების დეპოზიტებზე.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მოიცავს უცხოურ ვალუტას, ოქროს, სარეზერვო პოზიციას საერთაშორისო სავალუტო ფონდში და სესხების სპეციალურ უფლებებს (SDR). სესხების სპეციალური უფლებები არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ნაწილი, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით. ჩამოთვლილი ოთხი აქტივიდან ქვეყნის რეზერვების უმეტესი წილი უცხოურ ვალუტასა და ოქროზე მოდის.

რეზერვების დაგროვების მიზანი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობაა. რეზერვები იხარჯება, როდესაც ქვეყანა საგარეო შოკს განიცდის, თუმცა ჩვენი

გამოცდილებით, საშინაო შოკების დროსაც არ გვაკლია რეზერვების ხარჯვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მაგალითი იყო 2024 წლის საარჩევნო პერიოდი და პოლიტიკური დაძაბულობა, ასევე რეზერვები იხარჯება მთავრობის საგარეო ვალდებულებების მომსახურების დროს.

ზოგადად, უცხოური ვალუტის რეზერვების მაღალი დონით, ძირითადად, ის ქვეყნები გამოირჩევიან, რომლებსაც დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვთ – ექსპორტის მოცულობა იმპორტის მოცულობას აჭარბებს. საქართველო 45-პროცენტზე მეტად უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ფონზე რეზერვების შეგებას რომ ახერხებს, კარგია. იმედია, ეს პროცესი მომავალ თვეებშიც გაგრძელდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების შესახებ განახლებულ მონაცემებს 2025 წლის 7 ოქტომბერს გამოაქვეყნებს.

მაკა ხარაზიშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შედეგებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

თბილისში 10 ათასამდე ავარიული შენობაა და მათი ნახევარი ახლავს ჩასანაცვლებელია

„15-20 წელიწადში შეიძლება სულ ჩამოიშალოს ეს შენობები“

თბილისში ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამა იწყება. მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას 2026 წლიდან გეგმავს. ჯერჯერობით ცვლილება დედაქალაქის ისტორიულ უბნებს შეეხება. შემდგომ ეტაპზე რამდენად გაფართოვდება მასშტაბი, ამ ეტაპზე საუბარი არ არის. არადა, თბილისში 10 000-ზე მეტი ავარიული შენობაა და მათი გამაგრება ან დემონტაჟი საჩქაროა. მოსახლეობა საფრთხის ქვეშაა, რაც სადგურის მოედანზე დატრიალებულმა ტრაველიამაც დაადასტურა. სპეციალისტების შეფასებით, თუკი ვითარება დროულად არ გამოსწორდება, მსგავსი სავალალო შემთხვევები უფრო განხორციელდება.

თბილისის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი სრულად გამოისყიდის კერძო მესაკუთრეებისგან ისტორიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებას. რეალურად სხვა გამოსავალი არ არსებობს, რაზეც ურბანისტებიც უკვე ღიად აცხადებენ, ვინაიდან ავარიული, საცხოვრებლად სახიფათო შენობების მდგომარეობა წლიდან წლამდე მხოლოდ მძიმდება, რადგან ექსპლუატაციის ვადა ზოგ შემთხვევაში ორჯერ და სამჯერ ამოწურულია.

საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ივლისის თვეში თბილისში შენობის ფასადი ჩამოინგრა, რასაც ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა. კერძოდ, 14 ივლისს სადგურის მოედანზე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ფრაგმენტი მოწყდა, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევიდან მალევე ადგილზე მივიდა ქალაქის მერი, კახა კალაძე, რომლის განცხადებითაც, შენობა ავარიული იყო და არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას, კორპუსის დემონტაჟს კი მოსახლეობის 100%-იანი თანხმობა სჭირდებოდა, რაც მერიას არ ჰქონდა.

მალევე სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ გავრცელდა 2024 წლის მარტში გადაღებული ვიდეო, სადაც ჩანდა, რომ საცხოვრებელ კორპუსს ბზარი ჯერ კიდევ 1 წლის წინ ჰქონდა. ადგილობრივების თქმით, ბზარების შესახებ თბილისის მერიას რამდენიმეჯერ შეატყობინეს.

მსგავსი შემთხვევები, სავარაუდოდ, კიდევ განხორციელდება. პრობლემას აღიარებს ბიზნესიც და მოსახლეობაც, თუმცა გამოსავალზე ურთიერთშეთანხმების მიღწევა

აქამდე ფაქტობრივად ვერ ხერხდებოდა. მერიის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამის მიხედვით კი, მერია მოსახლეობის სრული, 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, სრულად გამოისყიდის კერძო მესაკუთრეებისგან ისტორიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებას.

როგორც მერმა, კახა კალაძემ განმარტა, ეს არის არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ თბილისის იდენტობის, ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხიცაა. აღსანიშნავია, რომ გამოსასყიდი ქონება შეფასდება საბაზრო ღირებულებით, რაც უზრუნველყოფს სამართლიან გამოსყიდვას და მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

„ჩვენი ოთხი წლის წინანდელი დაპირებისამებრ დაიწყეთ ავარიული მრავალბინიანი შენობების ჩანაცვლების მასშტაბური პროგრამა. პროექტი დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ის იქცა ნათელ მაგალითად იმისა, როგორ შეიძლება სახელმწიფომ და მოქალაქეებმა ერთად, პარტნიორობითა და ნდობით მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგებს. სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვიწყებთ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს. კერძოდ, ეს არის ავარიული შენობების ჩანაცვლება ისტორიულ თბილისში. თბილისის ისტორიულ ნაწილში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობები უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს.

ახალი პროგრამა 2026 წლიდან ამოქმედდება და რომელიც თავიდან ბოლომდე დაფუძნებულია სამართლიანობაზე და მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე. აღნიშნული წესის მიხედვით, მუნიციპალიტეტი მოსახლეობის სრული, 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, სრულად გამოისყიდის კერძო მესაკუთრეებისგან ისტორიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებას.

გათავისუფლებული არეალები მომზადდება საინვესტიციო მიზნებისთვის ისე, რომ ქალაქის ისტორიული იდენტობა შენარჩუნდეს, მაგრამ პარალელურად გაჩნდეს განვითარების ახალი შესაძლებლობები. ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა. დარწმუნებული ვარ, წარმატებით განხორციელდება და ამ შესაძლებლობას უამრავი ადამიანი გამოიყენებს“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

გარდა თბილისის ისტორიული უბნებისა, ავარიული სახლების პრობლემა მასობრივია სხვა ტერიტორიებზეც, კერძოდ, დიდუბე-ჩუღურეთში, მთაწმინდაზე და ყველგან,

სადაც ე.წ. იტალიური ეზოები და „საბჭოური“ შენობებია. რა უნდა ეშველოს ასეთი ტიპის ნაგებობებს, რომლებსაც ექსპლუატაციის ვადა კარგა ხანია გასული აქვს?

არსებული მონაცემით, თბილისის მასშტაბით, 10 ათასზე მეტი ავარიული შენობაა და საკითხის გადაჭრისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება აქამდე არ არსებობდა. მერიის პროგრამით ავარიული კორპუსების ჩანაცვლების ტემპი მინიმალურ დონესაც ვერ აკმაყოფილებს, კერძო ინვესტორები კი იშვიათად ინტერესდებიან ძველი შენობების ჩანაცვლებით, რადგან მოსახლეობასთან შეთანხმება, როგორც წესი, ვერ ხერხდება.

თბილისის მერიის ბიუჯეტის მიხედვით, 2025 წელს ავარიული სახლების გასამარებლად 10 148 100 ლარია გათვალისწინებული, შარშან ამავე მიზნით, 7 409 300 ლარი იყო გამოყოფილი, 2023 წელს კი პროგრამის მოცულობამ 8 106 000 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ბიუჯეტის 2023 წელს ამ მხრივ ბიუჯეტში 4 178 900 ლარი იყო გაწერილი, 2024 წლის ბიუჯეტში – 14 800 000 ლარი, ხოლო პროგრამის მიმდინარე წლის ბიუჯეტის გეგმა 24 550 499 ლარით განისაზღვრა.

რაც დრო გადის, მეტი შენობა გამოდის მწყობრიდან და პრობლემა უფრო მძიმდება. როგორც ინჟინერ-მშენებელმა გიორგი დავითაშვილმა განაცხადა, ავარიული შენობების ნგრევა გარდაუვალი აუცილებლობაა, რადგან მათი უმეტესობა უკვე რეაბილიტაციასაც ვერ ექვემდებარება.

„ავარიული შენობები მასშტაბური პრობლემაა თბილისისთვის, რისი დანახვაც ნებისმიერი მოქალაქისთვის არის შესაძლებელი, დიდუბე-ჩუღურეთში, მთაწმინდაზე და ყველგან, სადაც იტალიური ეზოები და „საბჭოური“ შენობებია. ყველგან მასობრივად არის პრობლემა. განაზღვრება ვერ ხერხდება, რადგან ხშირად ბინაში ბევრი მობინადრეა ჩაწერილი, როცა ინვესტორი შედის და ცდილობს საცხოვრებელი კორპუსის ჩანაცვლებას, აღმოჩნდება, რომ ყველა მეწილეს თავისი პრეტენზია აქვს. ბიზნესისთვის ეს წამებებიანია, რადგან მისი მოვება მცირდება. ამასობაში ქალაქის განვითარება შეუქცევადად გრძელდება, ჯერ სივანეში მატულობს თბილისი, მერე უკვე სიმაღლეში გაზრდა იწყება ანუ რაც დაბალი შენობებია, ხდება მათი აღება და მრავალსართულიანი შენობების ჩანაცვლება. გარდა ამისა, ე.წ. „ხრუშჩოვები“ და სხვა საბჭოური შენობები ჩასანაცვლებელია, მათი ექსპლუატაციის ვადა გასულია და განაზღვრებას ან ნგრევას საჭიროებენ. ესეც უკვე პრობლემაა“, – განაცხადა გიორგი დავითაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

მისივე შეფასებით, პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომ დროულად იქნან მოქალაქეები ავარიული შენობებიდან გამოსახლებული, დათმობაზე წავიდნენ ან აიძულონ, რადგან მათი გაჩერება ავარიულ სახლებში უკვე ძალიან საშიშია.

„განსაკუთრებით პრობლემაა იქ, სადაც იტალიური ეზოებია. გარე ფასადებია ვაკეთებული და იქმნება ილუზია, რომ ყველაფერი მწყობრშია, მაგრამ რეალურად ასეთ სახლებში ცხოვრება სარისკოა. მობინადრეების საკითხი

უნდა გადაწყდეს პირველ რიგში და სახელმწიფოსთან მოხდეს შეთანხმება. ინვესტორი იქნება თუ ადგილობრივი სამშენებლო კომპანია, სახელმწიფოც დაეხმაროს, ხალხიც დათმობაზე წავიდეს ან აიძულონ. ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამით, გარდა იმისა, რომ ცხოვრება უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდება, რეკრეაციული სივრცეებიც მოეწება. შესაბამისად, ავარიული შენობებიც ჩანაცვლება, სადაც დღესდღეობით ცხოვრება სახიფათოა“, – განაცხადა გიორგი დავითაშვილმა.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ კერძო სექტორი ამ პრობლემის მოგვარებელი არ არის. ამიტომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მუნიციპალიტეტების მხრიდან უნდა დაჩქარდეს და პროცესი დროულად დაიწყოს. ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის თქმით, უნდა ჩატარდეს აუდიტი და საფუძვლიანი მოკვლევა შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით.

„ათეული წელია, თბილისის ბევრ უბანში სახლები ნგრევისკენ მიდის და მათი რესტავრაცია ვერ ხერხდება. ზოგი სიძველის, ზოგი კი მიწისძვრის გამო დაზიანდა და მას შემდეგ დიდად არაფერი შეცვლილა. ბევრია ისეთი, რომელსაც დანგრევის გარდა აღარაფერი ეშველება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ ხალხი ცხოვრობს. ყველაფერი ძველდება და კვდება ბუნებაში, ასე ემართება შენობებსაც. საბჭოთა კავშირის დროს იყო როგორც კაპიტალური მიმდინარე რემონტი, ასევე ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ხორციელდებოდა. აღწერილი იყო შენობის მდგომარეობა და სხვა მახასიათებლები, ახლა არ არის ასე, განსაკუთრებით ძველი თბილისის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, საჭიროა ხელშეწყობა შესაძლებლობების ფარგლებში.

ზომებს თუ არ მივიღებთ, 15-20 წელიწადში შეიძლება სულ ჩამოიშალოს ეს შენობები, რადგან ყველგან მაღალი რისკია. აუცილებელია, ჩატარდეს აუდიტი და საფუძვლიანი მოკვლევა შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ერთია და მეორე მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი თვითმმართველობები. მერიამ უნდა განახორციელოს ისე, რომ ბიზნესის ინტერესიც რაღაც დონეზე იქნას გათვალისწინებული და პრობლემასაც ეშველოს, ისე რომ ქალაქის იერსახე არ დამახინჯდეს“, – აღნიშნა ლადო ვარდოსანიძემ.

ურბანისტები აცხადებენ იმასაც, რომ აქამდე არასწორი მიდგომა იყო, რაც პრობლემის მოგვარებას ხელს უშლიდა. შესაბამისად, დადებითად ფასდება მერიის გადაწყვეტილება, რომელიც საკითხის მუნიციპალური დონეზე გადაწყვეტას გულისხმობს. ურბანისტ გუკა ცეცხლაძის ინფორმაციით, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს სცადეს, რომ პრობლემა კერძო სექტორის აქტიური ჩართვით მოეგვარებინათ, მაგრამ მიდგომამ ვერ გაამართლა.

„ათეული წლებია, ავარიული შენობების საკითხი დვას ქვეყანაში და დღემდე ვერ გადაწყდა. როცა ვამბობთ, რომ 10 ათასამდე ავარიული შენობაა თბილისში, მათი ნახევარი მთლიანად ჩასანაცვლებელია. ეს უნდა მოხდეს ეტაპობრივად. ხელის ერთი მოსმით და მარტივად

პრობლემა ვერ მოგვარდება. პროექტი ისტორიული უბნების შექმნა, ალბათ, თბილისის სხვა რაიონებზეც გავრცელდება. დედაქალაქი ამდენს ვერ გასწვდება, ბიზნესს თავისი ინტერესები აქვს, მოსახლეობასაც – თავისი, ყველა მხარის პოზიცია უნდა შევჯერდეს და რაღაც შუალედი გამოინახოს.

რეალურად უსაფრთხოების დიდი პრობლემაა დედაქალაქში, შენობები იმდენად ავარიულია, რომ ზოგან კედელი ინგრევა, ზოგან – იატაკი, ერთი პატარა მიწისძვრა და ყველა ასეთი შენობა მთლიანად ჩამოიშლება. წარმოდგენაც არ შეიძლება, რა საფრთხის წინაშეა მოსახლეობა, ამიტომ სასწრაფოდ არის ზომები მისაღები, რომ მოხდეს შენობების ჩანაცვლება ან გამაგრება, სად რა საჭიროებასაც დაინახვენ, კომპლექსურად შესასწავლი საკითხია“, – აღნიშნა ურბანისტმა.

ამასთან, სპეციალისტები თბილისის მერიას დიდი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, ვინაიდან ისტორიულ უბნებში განაშენიანების პარამეტრები მკაცრად შეზღუდული, ამ არეალებში წესიდან გამონაკლისია დადგენილი. ის მიდგომები, რაც სხვადასხვა უბნებზე ვრცელდება, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

მაგალითისთვის, ავარიული მდგომარეობის გამო სერიოზულ საფრთხეშია თბილისში, აღმაშენებლის გამზირი №177-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 20-მდე მობინადრე. ჯერჯერობით სახლის მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება მოხდა და შენობას დაზიანების მეორე კატეგორია მიენიჭა. იმისთვის, რომ ჩანაცვლების პროგრამით ისარგებლონ, მესამე კატეგორიაში უნდა გადაინაცვლოს. როგორც ერთ-ერთი მობინადრე თორნიკე ჩახუნაშვილი ამბობს, ამისთვის სახლი საფუძვლიან შემოწმებას საჭიროებს, რაზეც ადგილობრივი გამგეობის მხრიდან უარი ეთქვა. უწყება შენობის ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლა.

მობინადრე ირწმუნება, რომ ავარიულობის სიმძიმეიდან გამომდინარე სახლში ცხოვრება გარკვეულ საფრთხეს შეიცავს და ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

„პრობლემა საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. ძველი, მეცხრამეტე საუკუნეში აშენებული სახლია და საფუძვლიანი რეაბილიტაცია არ ჩასტარებია. ვიზუალური დათვალიერება მოახდინეს და მეორე კატეგორიად შეფასდა. აღმოჩნდა, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში, თბილისში მომხდარი მიწისძვრისას შენობა სერიოზულად დაზიანდა. იმ პერიოდშივე გაკეთდა სეისმოლოგიური კვლევა და დოკუმენტში ჩაიწერა, რომ შენობა სრულად ამორტიზებულია, თუმცა მხოლოდ ბზარები ამოავსეს, რამაც უფრო გაართულა მდგომარეობა, ვინაიდან ვიზუალური დათვალიერებით დაზიანების მასშტაბი ზუსტად ვერ დგინდება. გადავწყვიტეთ, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მივმართოთ. საკუთარი ხარჯებით ვვებავთ ექსპერტიზის გავლას, რაც საშუალებას მოგვცემს, შეიცვალოს კატეგორია და პრობლემის მოგვარებაში დავეხმარონ.

პირველ სართულზე ვცხოვრობ, გარკვეული სამუშაო დამჭირდა და აგურებმა მცირე შეხებისას დაშლა დაიწყეს.

ერთ მეზობელს იატაკი ჩაენვრა, რის გამოც მერიამ ფართი უქირავა. საფრთხე კი ყველასთვისაა. ალბათ, სამომავლოდ შესაბამის პროგრამაში მოგვახვედრებენ, მაგრამ აქაც შეიძლება პრობლემამ იჩინოს თავი, რადგან ერთ-ერთი კედელი სხვა შენობასთან არის გადაბმული. არ ვიცი, გამოიჯვნა როგორ მოხდება“, – აღნიშნა თორნიკე ჩახუნაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში დასრულებული და მიმდინარე პროექტების ნუსხა ძალიან მწირია და ასე გამოიყურება: ვარკეთილის დასახლება, კვარტალი 7, კორპუს 12-ში მშენებლობა დასრულდა და გარემონტებული ბინა გადაეცა 36 მესაკუთრეს; ვარკეთილის დასახლება, კალოუნიის ქუჩა №18-ში მიმდინარეობს სამუშაოები და გარემონტებული ბინა გადაეცემა 29 მესაკუთრეს; საბურთალოს რაიონში, დავით გამრეკელის I შესახვევის №6-ში მიმდინარეობს პროგრამა, რომლის შედეგად გარემონტებული ბინა გადაეცემა 19 მესაკუთრეს; ვარკეთილის დასახლება, კვარტალი 4, კორპუს 6-შიც მიმდინარეობს სამუშაოები და გარემონტებული ბინა 36 მესაკუთრეს, კომერციული ფართი კი ერთ მესაკუთრეს გადაეცემა.

თბილისის ვიცე-მერის გიორგი ტყემალაძის ინფორმაციით, ჩანაცვლების სამუშაოები ამჟამად ოთხ ობიექტზე მიმდინარეობს და დაკმაყოფილდება 120 ოჯახი; 20 მისამართზე საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება და დაკმაყოფილდება 1 100 ოჯახი.

„ჩვენ მოსახლეობამდე კიდევ უფრო მეტად უნდა მივიტანოთ ინფორმაცია, რადგან 100-პროცენტიანი თანხმობა საჭირო პროგრამის განსახორციელებლად. ნდობა უკვე არსებობს მოსახლეობაში, იციან, რომ რეალურად ვახორციელებთ თანამედროვე, ევროპული ტიპის კორპუსების მშენებლობას“, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

რაც შეეხება ავარიულობის კრიტერიუმს, ასეთია: I-II კატეგორია – ნაკლებად სახიფათო მდგომარეობა; III კატეგორია – მნიშვნელოვანი დაზიანება; IV კატეგორია – აღარ ექვემდებარება გამაგრებას; V კატეგორია – ფაქტობრივად დანგრეული მდგომარეობა.

კატეგორიზაცია ხორციელდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელია შენობა მიეკუთვნებოდეს III, IV ან V კატეგორიას.

ამდენად, თბილისის ისტორიულ ნაწილში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობები უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. მთავარია, რომ საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა, თუმცა როგორი იქნება ბინათმესაკუთრეების აქტიურობა, ეს დროთა განმავლობაში გამოჩნდება. ურბანისტების რეკომენდაციაა, ავარიული შენობების პრობლემა მოგვარდეს ისე, რომ ისტორიული ნაწილი შენარჩუნდეს, რადგან ეს არის თბილისის დიდი ფასეულობა და ღირებულება.

ლევან ნატროშვილი

მცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და რეინვესტიციას

ქვეყანაში ახალი კაპიტალის შემოსვლა უკიდურესად არის შემცირებული

2025 წლის 8 სექტემბერს, სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა მორიგი ინფორმაცია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) განხორციელების შესახებ. როგორც საქსტატის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2025 წლის II კვარტალში 580.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2024 წლის II კვარტლის დაზუსტებულ მონაცემებზე 12%-ით ნაკლებია.

FDI რომ პირველ კვარტალშიც შემცირებული იყო წინა წელთან შედარებით, „ააფის“ 306-ე ნომერში დაეწერეთ და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Ratings-ის შვილობილი Fitch Solutions Group Limited-ის მორიგ ანგარიშსაც შევეხეთ. როგორც ანგარიშში იყო აღნიშნული, საქართველო საინვესტიციო მიზიდველობას კარგავს. „საქართველო სავაჭრო და საინვესტიციო რისკის ინდექსში 8 პოზიციით ჩამოქვეითდა“, – აღნიშნულია ანგარიშში. ამჯერად კი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებასთან ერთად ყურადღებას გავამახვილებთ რეინვესტიციის მაღალ მაჩვენებელზე. მარტივად რომ ვთქვათ, რა ახალი ინვესტიციების მოცულობაც ჩანს, იმ მაჩვენებელში უდიდესი ნაწილი რეინვესტიციაა და ქვეყანაში ახალი კაპიტალი მხოლოდ მცირე მოცულობით თუ შემოდის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კარდნა ბრძოლა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2025 წლის II კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 580.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12%-ით ნაკლებია.

FDI შემცირდა პირველ კვარტალშიც, შესაბამისად 2025 წლის პირველ ნახევარში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 15.5%-ით, 763.7 მლნ დოლარამდე შემცირდა.

II კვარტალში სტრუქტურულად, სააქციო კაპიტალის ფორმით განხორციელებულმა ინვესტიციებმა 123.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (FDI-ის 21.3%), ხოლო რეინვესტიციამ – 466.6 მლნ აშშ დოლარი (80.4%).

ინვესტორ ქვეყნებს შორის ლიდერია გაერთიანებული სამეფო – \$242.7 მლნ, რაც FDI-ის 41.8%-ია. მეორე ადგილზეა თურქეთი – \$54 მლნ (9.3%), ხოლო მესამეზე ჩეხეთი – \$38.3 მლნ (6.6%). სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილი საერთო მოცულობის 57.7%-ს უდრის.

სექტორების ჭრილში, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში ჩაიღო – \$327.2 მლნ (FDI-ის 56.4%).

მეორე ადგილზეა უძრავი ქონების სექტორი – \$66.4 მლნ (11.4%), ხოლო მესამეზე ენერჯეტიკა – \$54.4 (9.4%). სამმა უმსხვილესმა სექტორმა ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 77.2% მოიზიდა.

აქვე შეგვიძლია საქართველოს აწ უკვე ყოფილი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, აშშ-ის მხრიდან ინვესტიციების კლების მაჩვენებელიც ვნახოთ.

2025 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ამერიკული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 6.7%-ით \$48.6 მლნ-მდე შემცირდა. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, უცხოური ინვესტიციის სახით აშშ-იდან ყველაზე დიდი თანხები უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში ჩაიღო. საინფორმაციო პორტალმა BM.GE-მ გამოითხოვა სექტორული განაწილება, სადაც აშშ-ის FDI-ის წილი ასე გამოიყურება:

1. უძრავი ქონება – \$22.5 მლნ;
2. ინფორმაცია და კომუნიკაცია – \$16.5 მლნ;
3. განათლება – \$3.6 მლნ;
4. ენერჯეტიკა – [მონაცემი კონფიდენციალურია];
5. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – \$2.1 მლნ;
6. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები – \$903 ათასი;
7. მშენებლობა – \$843 ათასი;
8. სხვა სახის მომსახურება – \$766 ათასი;
9. ტრანსპორტი და დასაწყობება – \$652 ათასი;
10. სტუმარმასპინძლობა – \$131 ათასი.

საქსტატში BM.GE-ს განუმარტეს, რომ ენერჯეტიკაში აშშ-იდან ჩადებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა კონფიდენციალურია, ამიტომ ზუსტი მაჩვენებელი უცნობი დარჩა.

წილს, მთლიან FDI-ში რეინვესტიციის წილი 80.4%-ია

ჯერ განვმარტოთ, რა არის რეინვესტიცია – რეინვესტიცია არის ინვესტირებიდან მიღებული შემოსავლის ხელშეწყობით ინვესტირება. როდესაც კომპანია ახორციელებს ინვესტიციებს და ამ ინვესტიციებზე ნახულობს მოგებას, კომპანიის მფლობელებს შეუძლიათ, მოგება დივიდენდის ან პროცენტის სახით გაინაწილონ, ან ისევ ბიზნესში დატოვონ/ჩააბრუნონ – კომპანიის აქტივები გაზარდონ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2025 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი რეინვესტიციაზე მოდის და \$466.6 მლნ დოლარს უდრის, რაც ინვესტიციების ჯამური მოცულობის

80.4%-ია.

რეინვესტიციის მოცულობა წლების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

- 2023: II კვარტალი – \$772 მლნ;
- 2024: II კვარტალი – \$720.7;
- 2025 (წინასწარი მონაცემები): II კვარტალი – \$619.7 მლნ.

მონაცემები აჩვენებს, რომ ინვესტიციების კლებასთან ერთად შემცირებულია რეინვესტირების მაჩვენებელიც. 2025 წლის ორ კვარტალში 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კლება 19.7%-ია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით – 14%.

2025 წლის II კვარტალში სააქციო კაპიტალმა \$160.1 მლნ შეადგინა, რაც 2024 წლის მაჩვენებელზე 23.6%-ით ნაკლებია, 2023 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებთან შედარებით კი კლება 172.7%-ია.

FDI-ის კლება გრძელვადიან ეკონომიკურ შემდგომად მოქმედებს – ლემსო ალექსიშვილი

PMCG-ის დამფუძნებელი, ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი ლემსო ალექსიშვილი FDI-ის ტენდენციებს აფასებს და ამბობს, რომ ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობისთვის სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

„სტაბილურობა არის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ინვესტიციების დაბანდების ქვეყანაში და განსაკუთრებით, როდესაც საუბარია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. როგორც ვუყურებთ რიცხვებს, ფაქტია, რომ მაჩვენებელი კლებულობს. ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ ზემოქმედებს გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებზე. რაც შეეხება, ამას რა განაპირობებს, ერთ-ერთი თემა ცალსახად სტაბილურობა. ინტერესი, რომელიც ამ ქვეყანაში ინვესტიციებს უზრუნველყოფს არის სტაბილურობა, გეოგრაფიული მდებარეობა და ურთიერთობები გარე სამყაროსთან – ევროპასთან, სამეზობლოსთან, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და თუკი ამ მიმართულებით კითხვის ნიშნები წარმოიშობა, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის საკითხი, ბუნებრივია ეს არის ძალიან ცუდი ფაქტორი სამომავლო ინვესტიციებისთვის. რაც ყველაზე მეტად არ მომწონს ამ მთავრობის საქმიანობაში, ეს არის დიპლომატიური ენის დაკარგვა, რამაც საბოლოო ჯამში მოშალა ურთიერთობები ჩვენს პარტნიორებთან. ჩვენი მთავარი მიზიდველობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თანაბრად კარგად შეგვიძლია საუბარი ყველა დიდ ბაზართან. ეს ფაქტორი მაქსიმალურად თუ არ შენარჩუნდება, ძალიან ცუდი იქნება. ხვალ თუ შეიძლება აქ სიტუაცია აფეთქდეს და ამან ჩემი ბიზნესი დაანგრის, ბუნებრივია არავის არ მოუვა აზრად, რომ ინვესტიციები განათავსოს“, – თქვა ლემსო ალექსიშვილმა.

ხელისუფლების პოზიცია – მდგომარეობა 2-3 წელიწადში გამოსწორდება

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე ამბობს, რომ ინვესტიციები ორ-სამ წლიან პერიოდში დაუბრუნდება დაახლოებით 27-28%-ს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით.

ინვესტიციების კლებაზე დასმული კითხვის საპასუხოდ, კაკაურიძემ თქვა, რომ კოვიდის პერიოდის ჩავარდნამ ინვესტიციები მშპ-სთან მიმართებით შეამცირა.

მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ზოგადად ინვესტიციები და არა მხოლოდ FDI-ზე დაკვირვება.

„პირდაპირ უცხოური ინვესტიციები პირველ კვარტალში 7%-ით ნაკლები იყო, ნაკლებია მეორე კვარტალშიც, დაზუსტებული მონაცემები რაც გამოქვეყნდა შარშანდელთან შედარებით. რიგ სექტორებში გაზრდილია, მაგალითად, პირველ კვარტალში ენერჯეტიკის სექტორში გაზრდილი იყო, თუმცა ზოგადად ჩვენ მხოლოდ FDI-ს არ ვუყურებთ, ანუ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად ინვესტიციების მოცულობა და ინვესტიციების მოცულობა ეტაპობრივად ყოველწლიურად იზრდება. ანუ, კოვიდის პერიოდის ჩავარდნამ, რომელიც საკმაოდ დიდი იყო მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ინვესტიციების მოცულობა საკმაოდ შეამცირა, მაგრამ ეტაპობრივად, ყოველწლიურად მზარდია და ჩვენ მოლოდინი გვაქვს, რომ ორ-სამ წლიან პერიოდში დაუბრუნდება დაახლოებით 27-28%-ს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. კონკრეტულად ეს FDI-ით იქნება და თუ იქნება ადგილობრივი ინვესტიციებიც, ამისი პროგნოზირება ძალიან რთულია. აი ეს არის რასაც ვუყურებთ, დღეის მდგომარეობით მზარდი არის, თუმცა ჯერჯერობით მაინც იმაზე უფრო ნაკლებია ჯამური ინვესტიციები, ვიდრე ეს იყო კოვიდამდე პერიოდში“, – თქვა გიორგი კაკაურიძემ.

რომან გოცირიძის კომენტარი და „ვაქტ-მეტრის“ დასკვნა

მას შემდეგ, რაც საქსტატმა გასულ თვეში გასული წლის დაზუსტებული მონაცემები გამოაქვეყნა, გაირკვა რომ 2024 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მლრდ 569 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18.6%-ით ნაკლებია, ხოლო 2024 წლის წინასწარ მონაცემებს 17.7%-ით (\$235.5 მილიონით) აღემატება.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი მონაცემებით, 2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლის ჭრილში 29.9%-ით, 1 მილიარდ 333 მლნ დოლარამდე იყო შემცირებული.

წინასწარ და დაზუსტებულ მონაცემებს შორის სხვაობის მიზეზად საქსტატს დასახელებული აქვს რამდენიმე საწარმოს მიერ რეინვესტიციის მაჩვენებლის

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“ გთავაზობთ ფინანსურ სერვისებს თქვენი ბიზნესისთვის!

ჩვენი სერვისებია:

ფინანსური მენეჯერის/დირექტორის (CFO) აუტოსორსინგი

- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- ფინანსური მოდელირება და სცენარების ანალიზი;
- წლიური, კვარტალური და ყოველთვიური ბიუჯეტირება და გადახრების ანალიზი;
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში და რესურსების მოზიდვაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები.



ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ფინანსური მართვის სისტემების გამოვლენა;
- ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების ანალიზი;
- ბიზნესის ფინანსური შეფასება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ეფექტიანობის, გადახდისუნარიანობის მიმართულებით;
- კომპანიის ზუსტი ფინანსური დიაგნოსტიკა და სტრატეგიის დაგეგმა მენეჯმენტთან ერთად.

ფინანსური მართვის პროცესების სრული მონესრიგება

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების მონესრიგება და რეპორტირების სისტემის გამართვა/ჩამოყალიბება;
- ფინანსური მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა და კონტროლი;
- საოპერაციო ხარჯების მართვა და ოპტიმიზაცია;
- ფინანსური დეპარტამენტის მართვის პროცესების და KPI სისტემების დანერგვა;
- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები;
- კომპანიის ლიკვიდურობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დაგვიკავშირდით: მობ.: 579 30 71 71 // 598 55 53 15
info@levco.ge

და სესხის მოცულობის დაზუსტება.

აღნიშნული მონაცემების გამოქვეყნებას გამოეხმაურა ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი, პარლამენტის ყოფილი წევრი რომან გოცირიძე. მისი თქმით, 2024 წელს ქვეყნის გარედან კაპიტალი თითქმის არ შემოსულა და ინვესტიციების მაჩვენებელში ის რიცხვები აღმოჩნდა, რაც ადგილობრივმა კომპანიებმა საკუთარი მოგება ინვესტიციის სახით ჩააბრუნეს კომპანიებში.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაზუსტებული მონაცემების მიხედვით 2024 წელს გარედან კაპიტალი ფაქტობრივად არ შემოსულა. ინვესტიციების 86

პროცენტი რეინვესტირება იყო, ანუ ადგილობრივი კომპანიების მიერ მოგების უკან ჩაბრუნება. მთლიანი ინვესტიციების მოცულობა 2023 წელთან შედარებით 18 პროცენტით შემცირდა.

2025 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო იქნება. ამ ხელისუფლების მმართველობაში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენის შემთხვევაში თუ რა მოხდება, ძნელი მისახვედრი არ არის. საერთაშორისო იზოლაცია არა მხოლოდ ინვესტიციებზე, არამედ ბევრ სხვა რამეზე მოახდენს გავლენას“, – დაწერა სოციალურ ქსელში რომან გოცირიძემ.

გოცირიძის მოსაზრება შეაფასა საქართველოს

რეფორმების ასოციაციის მედიაპროექტმა „ფაქტ-მეტრმა“ (FactCheck.ge).

როგორც გამოცემა დაწერა, კომპონენტების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამ ნაწილად იყოფა: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები. 2017 წელს საქართველო მოგების გადასახადის დაბეგვის ესტონურ მოდელზე გადავიდა, რაც რეინვესტირებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას გულისხმობდა.

„2017-2019 წლებში რეინვესტირების წილმა საშუალოდ 37% შეადგინა – 2013-2016 წლებთან შედარებით, ორჯერ მეტი. 2020 წლიდან რეინვესტირების მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მკვეთრად გაიზარდა და ბოლო 5 წელიწადში 3-ჯერ 80%-ს და უშუალოდ 2024 წელს 85%-საც გადააჭარბა.

ის ფაქტი, რომ ინვესტორი მოგებას კომპანიაში ტოვებს (რეინვესტირება), მისასაღებელია, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ახალი ინვესტიციებია. 2023-2024 წლებში ახალი ინვესტიციები სავალო ვალდებულებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა, რის შემდეგაც ახალი ინვესტიციების წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ჯერ 17%-მდე და შემდეგ 14%-მდე შემცირდა. უკეთესი ვითარება არც 2025 წლის პირველ კვარტალშია. იანვარ-მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 25%-ით (245-დან 184 მლნ დოლარამდე) შემცირდა და მასში რეინვესტირების წილი 84%-ია“, – აღნიშნა „ფაქტ-მეტრმა“.

გამოცემა ასევე წერს, რომ „ფაქტ-მეტრი“ ვარდნის მიზეზებზე მტკიცებით ფორმაში ვერ ისაუბრებს და როგორც წარსული პერიოდი აჩვენებს, პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების მოცულობა ხშირად ცალკეული პროექტების აქტიური ინვესტირების ფაზის დასრულებას უკავშირდებოდა. მათ შორის არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, სამხრეთის, იგივე შაჰ-დენიზის გაზსადენი და შემდგომში ამ გაზსადენის გაფართოება, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.

„რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ვარდნა, ფაქტია, რომ 2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც თანხობრივად, ასევე მშპ-სთან მიმართებით, შემცირდა. კიდევ უფრო მეტად შემცირდა მთლიან ინვესტიციებში ახალი ინვესტიციების წილი. ინვესტიციებმა კლება 2023 წლიდან დაიწყო და მდგომარეობა უკეთესობისკენ არც 2025 წლის პირველ კვარტალში შეცვლილა. ფაქტობრივი სიზუსტისა და მიმდინარე ტენდენციის გათვალისწინებით, „ფაქტ-მეტრმა“ რომან გოცირიძის განცხადება შეაფასა როგორც სიმართლე“, – აღნიშნავს გამოცემა.

როგორც სტატიის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, წლებანდელი ორი კვარტლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელში, რეინვესტირების წილი 80%-ს აჭარბებს. შარშანდელ ორ კვარტალთან შედარებით, შემცირებულია როგორც მთლიანი FDI, ასევე თვითონ რეინვესტიციის მოცულობაც. მთლიანი წლის მაჩვენებელი კიდევ უფრო ნათელ სურათს შექმნის, თუმცა, რაც აშკარაა, უცხოური ინვესტიციების მოცულობაში ახალი კაპიტალის შემოსვლა თითქმის აღარ იგულისხმება. მთლიანობაში, ინვესტიციების მოცულობის კლება და ასევე, ახალი კაპიტალის შემოვლის მინიმუმამდე ვარდნა, საგანგაშო თუ არა, დასაფიქრებელი ნამდვილად არის.

თემურ იობაშვილი

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან 68.2 მილიონი ისესხა

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) 68.2 მლნ ლარის ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხი მიიღო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ქვეყანას პროფესიული განათლების გაძლიერებაში დაეხმარება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა სუვერენული სესხი ლარში გამოყო.

„პროფესიული განათლების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით, აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების („თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – ქვეპროგრამა 2“) ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკის მხრიდან განხორციელდა ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული პირველი სუვერენული სესხის ჩამორიცხვა – 68.2 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს.

გასათვალისწინებელია, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ საქართველოსთვის სუვერენული სესხის გამოყოფა განხორციელდა ეროვნულ ვალუტაში, რაც, კიდევ ერთხელ, უსვამს ხაზს ADB-ის და საქართველოს მთავრობის წარმატებულ თანამშრომლობას, არა მხოლოდ, საინვესტიციო პროექტების დაფინანსების, არამედ ასევე, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერისა და საჯარო ფინანსების მდგრადი მართვის მიმართულებით“, – აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

სამინისტროს მიერ გავრცელებული რელიზის მიხედვით, სესხის ეროვნულ ვალუტაში აღება თანხვედრაშია საქართველოს ვალის მართვის სტრატეგიასთან, რომლის მიზანია სახელმწიფო ვალში უცხოური და ეროვნული ვალუტის ჯანსაღი პროპორციული განაწილების მიღწევა, რაც აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას საგარეო შოკების მიმართ და თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ვალის მართვის მდგრადობას.

„შინაარსობრივად, პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, პროფესიული განათლების სისტემის

ხელმისაწვდომობის, ინკლუზიურობის გაზრდისა და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებაში“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის შესაბამისი სასესიო შეთანხმებას ხელი გასული წლის დეკემბერში მოეწერა. დაფინანსება საქართველოში მიმდინარე ADB-ის პროგრამის – თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის – მეორე ქვეპროგრამაა. ADB-ის თანახმად, 2020 წელს დამტკიცებული პირველი ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე წვდომა.

ესკო-ში პრემიების 81% დასაბუთების გარეშე გაიცა – აუდიტის ანგარიში

ესკო (სს „ელექტრონერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) პრემიების გაცემის პრაქტიკა გამჭვირვალობის ნაკლოვანებით ხასიათდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების მიხედვით, 2022-2023 წლებში, უწყების თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს სახით 1,968,631 ლარი გაიცა, საიდანაც 1,595,837 ლარი, ანუ ჯამური პრემიის 81% შესაბამისი დასაბუთების გარეშეა.

აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრემიები გაცემული იყო ძირითადად კვარტალური და სადღესასწაულო ჯილდოების სახით, თუმცა დოკუმენტებში არ არის მითითებული კონკრეტული თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები და მათი ნახალისების საფუძვლები.

ცხრილის მიხედვით, ესკო-ში შრომის ანაზღაურება ასე გადანაწილდა:

- 2022 წელს ხელფასი – 2,668,440 ლარი, პრემია – 837,301 ლარი;
- 2023 წელს ხელფასი – 3,126,195 ლარი, პრემია – 1,131,330 ლარი.

ჯამში, ორი წლის განმავლობაში ხელფასის სახით 5,794,635 ლარი, ხოლო პრემიის სახით – თითქმის 2 მლნ ლარი გაიცა.

აუდიტორების შეფასებით, ეს პრაქტიკა არღვევს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რადგან ნახალისების სისტემა არ ემყარება თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს.

„ესკო-მ თანამშრომელთა ნახალისების სისტემის გამჭვირვალობის მიზნით უნდა დანერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა და შრომის ანაზღაურების შინაგანანგეში განეროს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გაიცემა ფულადი ჯილდო დასაქმებულ პირებზე“, – ნათქვამია აუდიტის რეკომენდაციაში.

აუდიტი ასევე აღნიშნავს, რომ ესკო-მ 2023 წელს 513.8 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2022 წელთან შედარებით 175.5 მლნ ლარით ნაკლებია. კომპანიის წმინდა მოგება 2023 წელს 6.56 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2022 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1.7 მლნ ლარი იყო.

ამასთან, აუდიტის მოკვლევით, 2022-2023 წლებში ესკომ სამორიგეო ავტომობილებზე ჯამურად 67,455 ლარი დახარჯა. მიუხედავად ამისა, ავტომობილების გამოყოფა არ ხდებოდა კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რაც სამსახურებრივი მანქანების პირადი მიზნებით გამოყენების რისკს ქმნის.

აუდიტის მიხედვით, 2022-2023 წლებში ესკოს საზღვარგარეთ მივლინების ხარჯები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ ნორმას 18,279 ლარით აღემატებოდა. გადახდილი თანხების დასაბუთებისთვის არ არსებობს გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება ან სხვა სახის დოკუმენტი..

წლის ბოლომდე სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ველოდებით – საბანკო ასოციაცია

საბანკო ასოციაციაში ელიან, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდება. როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძნელაძემ განაცხადა, გასულ პერიოდში სესხების გაძვირება მათ შორის იმ ფაქტორით იყო გამოწვეული, რომ ლარში სადებოზიტო პორტფელი შედარებით ნაკლები ტემპით იზრდებოდა.

მისივე განმარტებით, ბოლო პერიოდში ბაზარზე დამატებითი ლარის რესურსი გაჩნდა, ამასთან, ევროპაში მონეტარული პოლიტიკის შერბილება გრძელდება, შესაბამისად, მოლოდინია, რომ წლის ბოლომდე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთები უნდა შემცირდეს.

„ჯერ კიდევ 2024 წელს ვსაუბრობდით, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდა იყო მოსალოდნელი და ახლა ეს ტენდენცია გვაქვს. ლარში საპროცენტო განაკვეთების ზრდა უპირველეს ყოვლისა მონეტარულ პოლიტიკაზე დამოკიდებულია. ასევე წლის დასაწყისში არაერთხელ ვსაუბრეთ, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდა აჭარბებდა სადებოზიტო პორტფელის ზრდას, რამაც ასევე კიდევ ერთი მატება გამოიწვია საპროცენტო განაკვეთებში.“

წლის ბოლომდე რომ შევხედოთ, ლარშიც და უცხოურ ვალუტაშიც ველოდებით საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. უშუალოდ საკრედიტო პორტფელზე შესაძლებელია, რომ წლის ბოლოსვე უკვე აისახოს ეს ტენდენცია. თუმცა უფრო მეტად მომავალი წლიდან იქნება ეს ტენდენცია შენარჩუნებული“, – განაცხადა ალექსანდრე ძნელაძემ.

ცნობისთვის, საქართველოში სესხების გაძვირების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე წლის ივლისში საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 13.5% შეადგინა, ეს მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 12.9%-ს შეადგენდა. უფრო მკვეთრად, 1.2 პროცენტული პუნქტითაა გაძვირებული ლარის სესხები, რომელთა საშუალო საპროცენტო განაკვეთმა ივლისში 15.7%-ს მიაღწია.

ქართულ ბანკებში ჩინური იუანის დეპოზიტები იზრდება

2025 წლის ივლისში ივნისთან შედარებით ქართულ ბანკებში ჩინური იუანის დეპოზიტები მკვეთრად – 56%-ით გაიზარდა და 95 მილიონ იუანს, ანუ 36 მილიონ ლარს მიაღწია. შედარებისთვის, მიმდინარე წლის იანვარში ჩინური იუანის ნაშთი ქართულ ბანკებში მხოლოდ 15 მილიონ ლარს შეადგენდა.

ასევე, ქართულ ბანკებში ივნისთან შედარებით, ივლისში მკვეთრად – 97%-ით გაიზარდა არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამის დეპოზიტები და ის 14.8 მილიონ ლარს შეადგენს. 4%-ით შემცირდა რუსული რუბლის დანაზოგები, რაც ამჟამად 66.5 მილიონ ლარს შეადგენს. 9%-ით გაიზარდა დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგში არსებული დანაზოგები, რაც 366 მილიონ ლარს აღწევს, იაპონური იენის დეპოზიტები კი 3%-ით, 3.2 მილიონ ლარამდე შემცირდა.

ვალუტების მიხედვით, ქართულ ბანკებში დეპოზიტების განაწილება 2025 წლის ივლისის მდგომარეობით: (წარმოდგენილია ვალუტები, რომლებშიც დეპოზიტები 1 მილიონ ლარს აჭარბებს).

ვალუტა	მოცულობა – ნაშთი	სხვაობა წინა თვესთან შედარებით
ეროვნული	31,186,589,114 ლარი;	2%
აშშ დოლარი	24,383,428,138 ლარი;	2%
ევრო	5,839,299,609 ლარი;	0%
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	365,911,557 ლარი;	9%
რუსული რუბლი	66,452,740 ლარი;	-4%
შვეიცარიული ფრანკი	59,843,008 ლარი;	-1%
ჩინური იუანი	35,975,570 ლარი;	56%
არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	14,780,592 ლარი;	97%
იაპონური იენი	3,244,931 ლარი;	-3%
კანადური დოლარი	2,188,894 ლარი;	3%

მიკროსაფინანსო სექტორის მოგება გაიზარდა

2025 წლის პირველი ნახევარი მიკროსაფინანსო სექტორმა მოგებიანობის ზრდით დაასრულა. 6 თვის შედეგებით, ბაზარზე წარმოდგენილმა 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ წლის პირველი 6 თვე 70.6 მილიონის წმინდა მოგებით დახურა, რაც 3.7 მილიონით, ანუ 5.5%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

მიუხედავად იმისა, რომ სექტორი წელს 2-მა მსხვილმა მოთამაშემ დატოვა და მიკრობანკების ლიცენზიით გააგრძელა ოპერირება, მისო-ებმა მოგებიანობის ზრდა შეძლეს, თუმცა „ემბისის“ და „კრისტალის“ მისო-ების სექტორიდან გასვლის გამო, მისო-ების საკრედიტო პორტფელი დაახლოებით 212 მლნ ლარით 1.68 მილიარდ ლარამდე შემცირდა და სალომბარდე სესხების წილი კიდევ უფრო გაიზარდა.

ბაზრის მოთამაშეების ნაწილი ამბობს, რომ ისინი როგორც აქამდე, არსებული ბიზნეს მოდელით გააგრძელებენ ოპერირებას. „ლაზიკა კაპიტალის“ ხელმძღვანელის შეფასებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით ბაზარზე ფაქტობრივად ისინი რჩებიან, რადგან დანარჩენი ორგანიზაციები შერეული ბიზნეს მოდელით ოპერირებენ და მათ პორტფელში წამყვანი სალომბარდე სესხებია.

„მართალი გითხრათ, ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით მხოლოდ „ლაზიკა კაპიტალი“ დარჩა, რომელიც ამ სეგმენტზეა. ჩვენ ვაფინანსებთ სოფლად თვითდასაქმებულებს, წვრილ მენარმეებს, რომლებიც დიდ ქალაქებში არიან წარმოდგენილები. სხვა ამ ტიპის ორგანიზაცია სექტორში უკვე აღარ არსებობს. დანარჩენი ორგანიზაციები ძირითადად ლომბარდებზე მუშაობენ, ან შეიძლება შერეული მოდელი ჰქონდეთ და რაღაც ბიზნეს-სესხებსაც გასცემდნენ. სამი ორგანიზაცია ვიყავით, ვინც ძირითადად ბიზნეს დაკრედიტებით ვიყავით დაკავებული“, – აცხადებს ბესიკ შენგელია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეორე ნაწილი ბაზრის ორი მსხვილი მოთამაშის საბანკო სფეროში გადანაცვლებით, მისო-ების ბაზარზე უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელის. ევროკრედიტში განმარტავენ, რომ ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებს „ემბისის“ და „კრისტალის“ მიკრობანკად გარდაქმნის შედეგად გამოთავისუფლებული ნიშნის გარკვეულწილად შევსების შესაძლებლობა გაუჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოგებიანობის ზრდის პარალელურად იზრდება სესხის გამცემი სუბიექტების, ანუ მცირე კრედიტორების მიერ გაცემული დაფინანსება, რამაც მისოების პორტფელს უკვე

გადააჭარბა. წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, მცირე კრედიტორების მიერ გაცემული სესხების ზომა 229.9 მილიონით გაიზარდა და 1.850 მილიარდ ლარს მიაღწია, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში მისო-ების დაკრედიტება 1.6 მილიარდამდე შემცირებული. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებული 150 სესხის გამცემი სუბიექტის წმინდა მოგებამ 34.7 მლნ ლარს მიაღწია, რაც წლიურად 9.9 მილიონით გაზრდილი მაჩვენებელია.

სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად იზრდება – დავით ონოფრიშვილი

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი სექტორის ფინანსური შედეგებით კმაყოფილია. სექტორის ზედამხედველი ელის, რომ მოზიდული პრემია წელს პირველად გადააჭარბებს 1,5 მილიარდ ლარს.

2025 წლის 6 თვეში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება წლიურად 111 მილიონით შემცირდა. ჯამში წლის პირველ ნახევარში სადაზღვევო კომპანიებმა 56 მილიონი ლარის მოგება გამოიმუშავეს. გაზრდილია ინდუსტრიის მიერ მოზიდული პრემია.

საანგარიშო პერიოდში 19 სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 802 მილიონი ლარი შეადგინა. 6 თვეში წლიურად ზრდა 90 მილიონი ლარია. მოზიდული პრემიის მიხედვით პირველ ადგილზე 148 მილიონი ლარით „ჯიპიაი ჰოლდინგია“. ხუთეულში შედიან: „თიბისი დაზღვევა“, „ალდაგი“, „იმედი L“ და „ბენეფიტი“.

როგორც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში განაცხადეს, სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად იზრდება.

„ჩვენი პროგნოზული შეფასებით, წელს 1,5 მილიარდს გადააჭარბებს მოზიდული პრემია. რომ შევადაროთ, პანდემიამდელ 2018 წელს იყო 0,5 მილიარდზე მეტი, ახლა იქნება 1,5 მილიარდზე მეტი ანუ ზრდა საკმაოდ კარგია სექტორისთვის, თუმცა მომავალი ზრდის დიდი პოტენციალიც არსებობს“, – განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

სექტორის მარეგულირებელი წლის პირველ ნახევარში წმინდა მოგების შემცირებას კომპანიების საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით ხსნის.

„ბევრი ქართული ონლაინ მაღაზია უკვე დაიკეტა“ – ელ.კომერციის ასოციაცია Temu-ს ეფექტზე

ქართული ელექტრონული კომერცია ძალიან აქტიური კრიზისის ფაზაში შევიდა, რაც უცხოური ონლაინ მაღაზიების მხრიდან მზარდმა კონკურენციამ განაპირობა, – ამის შესახებ ელექტრონული კომერციის ასოციაციის თანადამფუძნებელმა თამარ გოგოლაშვილმა hm.ge-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ეს მეტწილად ჩინური პლატფორმა Temu-ს გააქტიურებამ გამოიწვია, რომელმაც ბაზრის დაახლოებით 2/3 დაიკავა.

„ქართველი მომხმარებლები Temu-სა და სხვა ჩინურ პლატფორმებზე ძალიან დიდი რაოდენობით პროდუქციას იძენენ. ამან განაპირობა ის, რომ ქართულ ონლაინ სივრცეში ბევრი მაღაზია უკვე დაიკეტა, დიდი მაღაზიებიც დიდ კრიზისში არიან, მათი გაყიდვები შემცირებულია. იმისთვის, რომ აქაური ონლაინ მაღაზიები შექმნილ ვითარებას მორგებოდნენ, ისინი იმ პროდუქციას, რომელიც Temu-ზე იყიდება უფრო მარტივად, ფაქტობრივად, აღარ სთავაზობენ მომხმარებელს. ისინი ცდილობენ, რომ პროდუქციის იმ კატეგორიებზე გადაერთონ, რომლის Temu-დან გამონერის შემთხვევაში, განბაყება საჭიროა. მაგალითად, ბალის ატრიბუტიკა, ავეჯი და ა.შ“, – განაცხადა თამარ გოგოლაშვილმა, თუმცა დასძინა, რომ კრიზისი იმდენად მწვავეა, რომ ახალ პროდუქციაზე გადართვაც ვერ აბალანსებს.

ამასთან, როგორც ელექტრონული კომერციის ასოციაციის თანადამფუძნებელმა განაცხადა, საბაჟო მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალოდ სამჯერ არის გაზრდილი 50 ლარის ღირებულების პროდუქციის შემოღინება.

„ძალიან მარტივად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არის Temu-ს საშუალო ჩეკი. ჩათვალეთ, რომ ეს რაოდენობა ქართული ონლაინ მაღაზიებიდან Temu-მ წაიღო. შესაბამისად, ამან გამოიწვია კრიზისი. ჩვენი ვარაუდით, Temu-ს თვეში 400 000 შეკვეთა მაინც აქვს“, – განაცხადა მან.

მისივე თქმით, საქართველოში ელ. კომერციის ბაზარი ზოგადად მზარდია უცხოური ონლაინ მაღაზიების ხარჯზე, მაგრამ უშუალოდ ქართული ელ. კომერციის ბაზარი მეორე წელია მცირდება, წელს კი სერიოზული შედეგებია დამდგარი.

„ქართული ელ. კომერციის წლიური ზრდა აქამდე საშუალოდ 20-24%-მდე იყო. ზუსტად რა მონაცემები გვექნება წლის ბოლომდე, არ ვიცით, მაგრამ ეს ზრდა აღარ დაფიქსირდება“, – დასძინა თამარ გოგოლაშვილმა.

როგორც ელექტრონული კომერციის ასოციაციის თანადამფუძნებელი აცხადებს, ტენდენციის შესაცვლელად აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება და ეს ზომები შეიძლება იყოს გადასახადის დაწესება.

საარბიტრაჟო დავების მომრავლება ქვეყნის რეპუტაციას აზიანებს – ვიქტორ ყიფიანი

„დავების ასეთი მომრავლება სხვა არაფერია, თუ არა რეპუტაციულად უარყოფითი საქმიანი ბიზნეს ბარათის შექმნა ქვეყნის თაობაზე“, – ამის შესახებ „საქმის კურსის“ ეთერში „ჯეოქეისის“ დამფუძნებელმა ვიქტორ ყიფიანმა საარბიტრაჟო დავებზე საუბრის დროს განაცხადა. მისი თქმით, ისეთი დავები, სადაც სახელმწიფო გამოდის

მოპასუხე ან მოსარჩელე აბსოლუტურად სხვა მოვლენაა, დავების სიმრავლე კი არამხოლოდ რეპუტაციული, არამედ ფისკალურ რისკებს შეიცავს და დავების წარუმატებლობის შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწევს გადასახადის გადამხდელებს.

გარდა რეპუტაციული და ფისკალური ეფექტისა, ყოფიანის შეფასებით, ნებისმიერი დავა არის ერთგვარი საზომი მათ შორის, როგორ იმართება ქვეყანა. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ის ამბობს, რომ არბიტრაჟის დავის მასალებში ჩანს დიაგნოსტიკა, თუ როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილებები, რა ხარისხის ჩართულობა იყო სახელმწიფო უწყებების და როგორი იყო კომპეტენცია.

როგორც ცნობილია, 2024 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო \$3.3 მილიარდის საარბიტრაჟო დავებში იყო ჩართული.

„ზოგადად დავა საქმიან პროცესში არ არის ტრაგედია. რა თქმა უნდა, ეს არ არის სასურველი მოვლენა, ვინაიდან ამან შეიძლება შეაყოვნოს კონტრაგენტებს შორის ურთიერთობა, დანახარჯები შემოიტანოს ურთიერთობებში, მაგრამ საინვესტიციო დავები, განსაკუთრებით ისეთი დავები, სადაც სახელმწიფო გამოდის მოპასუხე ან მოსარჩელე, ეს აბსოლუტურად სხვა მოვლენაა. როცა ჩვენ რეპუტაციაზე ვსაუბრობთ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი, მით უმეტეს ჩვენთვის, არა ბოლომდე თვითკმარი ეკონომიკისთვის, რომ ასეთი დავათა რაოდენობის მომრავლება სხვა არაფერი არ არის, თუ არა რეპუტაციულად უარყოფითი საქმიანი ბიზნეს-ბარათის შექმნა ქვეყნის თაობაზე“, – განაცხადა ყიფიანმა.

მისი თქმით, წარუმატებელი დავების შემთხვევაში ხარჯი ჯიბეზე აწვება გადასახადის გადამხდელებს და არა მმართველ პარტიას ან პოლიტიკურ ჯგუფს, ვინაიდან თანხას სახელმწიფო ბიუჯეტი იხდის.

„მნიშვნელოვანია, რომ დავების რაოდენობა გარკვეულ პროპორციაში იყოს ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბთან. ჩვენ მაინც მცირე მასშტაბის ეკონომიკა ვართ, ასე რომ ნებისმიერი ეკონომიკა შეიძლება იტანდეს დავების გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ როცა ეს რაოდენობა აღის დასაშვებობის მიღმა, ეს პირდაპირი ინდიკატორია, რაიმე უსწორობას ხომ არ ჰქონდა ადგილი ქართული მხრიდან, ეს უსწორობა იყო კომპეტენციის დანაკლისი, თუ სხვა განზრახვებით ნაკარნახევი“, – ამბობს ყიფიანი.

მისი თქმით, დავების რაოდენობის ზრდა გამომწვეულია ხელისუფლებაში არსებული ბუნდოვანებით, რაც მინიმუმ ემოციურ გულისწყრომას იწვევს.

„გულისწყრომასთან ერთად ეს არის უარყოფითი გზავნილი საერთაშორისო ბიზნეს-თემისადმი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ფულის მოზიდვა ასეთი კონკურენტული გახდა და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რეგიონზე, მცირე ზომის ქვეყნებზე, ჩვენთან ერთად ათობით სხვა ქვეყანა არის, რომ ეს ფული მოიზიდოს და საკუთარი ეკონომიკა და ბიზნესგარემო უფრო მიმზიდველი გახადოს, ამ რიგში ყოფნა ხდება რთული და გაუსაძლისი“, – განაცხადა ყიფიანმა „საქმის კურსის“ ეთერში.

საქართველოს მოქალაქეების საპენსიო დანაზოგმა 7.4 მილიარდს გადააჭარბა – აგვისტოს შედეგები

საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივებმა აგვისტოს ბოლოსთვის 7.4 მილიარდ ლარს, ხოლო დაგენერირებულმა ამონაგებმა – 1.9 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

ფონდის საინვესტიციო პორტფელების შედეგების თანახმად, აგვისტო საპენსიო ფონდის პორტფელებისათვის საკმაოდ კარგი თვე აღმოჩნდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე აქციების ფასების ზრდამ განაპირობა.

„აღნიშნული დადებითი დინამიკა კომპანიების ძლიერ კვარტალურ შედეგებს, გაუმჯობესებულ ეკონომიკურ გარემოსა და ფედერალური რეზერვის მიერ შერბილებული პოლიტიკის მოლოდინებს უკავშირდებოდა“, – აღნიშნავენ საპენსიო ფონდში.

აგვისტოში, ყველაზე მაღალი – 1.98%-იანი – ზრდა დინამიკურმა პორტფელმა აჩვენა, ხოლო დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელები შესაბამისად 1.51% და 1.22%-ით გაიზარდა.

წლის დასაწყისიდან დღემდე პორტფელების შემოსავლიანობა ასეთია:

- კონსერვატიული – 7.29%;
- დაბალანსებული – 8.11%;
- დინამიკური – 9.20%.

აღსანიშნავია, რომ დინამიკური პორტფელი გრძელვადიანი შემოსავლიანობის კუთხითაც ლიდერობს – პორტფელების შექმნიდან (2023 წლის 6 აგვისტო) დღემდე მისი განლიურებული ამონაგები 13.8%-ია, ხოლო დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელებისათვის შესაბამისი მაჩვენებლები 12.7% და 11.6%-ს შეადგენენ.

31 აგვისტოს მდგომარეობით, საპენსიო სქემაში მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 667 ათასი ადამიანია. დაგროვებითი პენსიით ისარგებლა 22,843-მა პირმა, მათზე პენსიის სახით გაიცა 100.3 მლნ ლარი.


ცნობისთვის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საპენსიო დანაზოგის მიღება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას;
- მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვისას;
- საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისთვის გადაცემა;
- საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

კითხვა-პასუხი

კითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს დირექტორის მოადგილე საგადასახადო აუდიტისა და კონსალტინგის დარგში ლევან ასანიძე.

კითხვა: ჩვენმა შპს-მ სხვა შპს-ისგან შეიძინა 10 ცალი ბანკნოტი (მინის ჩარჩოში ჩასმული ფულის კუბიურები). შემდეგ რაღაც ნაწილი გაჩუქდა, დანარჩენი ნაშთში გვაქვს. ეს შესყიდვა ჩვეულებრივ შემოსავალზე უნდა ავიღო და რაც გაჩუქდა, ის დავბეგრეთ?

პასუხი: მოცემულ შემთხვევაში, მინის ჩარჩოში ჩასმული ფულის კუბიურა არ უნდა იქნეს განხილული ფულად, რომელიც არ წარმოადგენს საქონელს სსკ 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. ის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობად უნდა ჩაითვალოს. დღგ-ის მიზნებისთვის, საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება არ იბეგრება დღგ-ით, გარდა სსკ 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა:

- „3. ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება:
ა) დასაბეგრი პირის მიერ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ამასთანავე, საქონლის გადაცემა/გამოყენება ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის სახით, არ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად.“
ამგვარად, ამ ფასეულობის უსასყიდლოდ გადაცემა დაიბეგრება დღგ-ით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის

შესყიდვაზე დღე გაქვთ ჩათვლილი. თუ გადაცემულ ფასეულობას მცირე ღირებულების საჩუქრად („რომლის ღირებულება, დღე-ის გარეშე, ერთ ფიზიკურ პირზე არ აღემატება კალენდარული წლის განმავლობაში 50 ლარს. მცირე ღირებულების საჩუქრად არ განიხილება სარეკლამო და წარმომადგენლობითი ხარჯი“) განიხილავთ, მაშინ მისი უსასყიდლოდ გაცემა არ იბეგრება დღე-ით, მაგრამ მაშინ მის შესყიდვაზე გადახდილი დღე არ უნდა ჩაითვალოს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაჩუქება, თუ ის ხდება ისეთ პირზე, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, არ წარმოშობს მოგების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს სსკ 98³ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ პუნქტის თანახმად, ხოლო თუ საჩუქრის მიმღები პირი ამ მოდელის მიხედვით არ იბეგრება, მაშინ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ამასთან, თუ საჩუქარი საქონლის მიმღები – არაინდემწარმე ფიზიკური პირია (გარდა დაქირავებული თანამშრომლისა) და გაჩუქებული ქონების ღირებულება ერთ ფიზიკურ პირზე კალენდარული წლის განმავლობაში 1000 ლარი ან მეტია, მაშინ უსასყიდლოდ გადაცემის დაბეგრვა მოხდება არა მოგების, არამედ საშემოსავლო გადასახადით, 20% განაკვეთით. თუ საჩუქარი საქონლის მიმღები – დაქირავებული თანამშრომელია, მაშინ მასზე გაჩუქებული ქონება, მისი ღირებულების მიუხედავად, ჩაითვლება ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად და დაიბეგრება შესაბამისად.

პიიხ ვა: ჩვენს კომპანიაში (ღვინის ქარხანა) 2140 ბუღალტრულ ანგარიშზე „ნაგებობები“ აღრიცხული გვაქვს სასწორის ნაგებობა მასში დიდი ხნის წინ დამონტაჟებული 30-ტონიანი საავტომობილო სასწორით. ცალკე სასწორი – ბალანსზე არ გვაქვს.

ღვინის ეროვნული საავტოს მითხონით, უნდა დამონტაჟდეს ახალი ელექტროსასწორი, ძველი სასწორი უნდა ჩანაცვლდეს ევროპული სტანდარტით. გვიწევს როგორც დემონტაჟის ხარჯის გაწევა, ასევე მონტაჟის.

- 1) დემონტაჟის ხარჯები როგორ აღვრიცხოთ?
 - 2) დემონტაჟის შედეგად მოხსნილი ძველი სასწორი, როგორ გამოვყოთ 2140 ანგარიშიდან და რომელ ანგარიშზე ავსახოთ?
 - 3) ახალ სასწორზე გაწეული ხარჯი წავა მის თვითღირებულებაში და ცალკე ანგარიშზე აისახება? თუ კი, რომელ ანგარიშზე?
- აღრიცხვისთვის ვიყენებთ მს ფასს-ს.**

პასუხი: 1) მოცემულ შემთხვევაში, ხდება ახალი ძირითადი საშუალების შექმნა (ახალი სასწორის შეძენა და მონტაჟი). მს ფასს-ის 17.10 მუხლის თანახმად, „17.10. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებელ გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, აქტივის ადგილზე მიტანისა და ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დანახარჯებს, მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს, ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან“.

ამ დებულებიდან გამომდინარე, როგორც ძველი სასწორის დემონტაჟის ხარჯი, ასევე ახალი სასწორის ღირებულება და მისი მონტაჟი – ეს ყველაფერი ახალი ძირითადი საშუალების თვითღირებულების კომპონენტებია.

2) რაც შეეხება ცალკე გამოყოფილი ძველი სასწორის ღირებულებას, როგორც ჩანს, თქვენს კომპანიას არ მოეპოვება მისი შესყიდვის თავდაპირველი ღირებულება. ამიტომ ის უნდა შეფასდეს გონივრული განსჯის გზით. მს ფასს-ის 17.6 მუხლის მიხედვით:

„17.6. ზოგიერთი ძირითადი საშუალების ელემენტები საჭიროებს რეგულარულ შეცვლას... შეცვლილი ნაწილების საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება 17.27-17.30 პუნქტების შესაბამისად, იმის მიუხედავად, მათ ცალკე ერიცხებოდა თუ არა ცვეთა. თუ საწარმოსათვის შეუძლებელია შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა, მას ჩანაცვლების ღირებულების გამოყენება შეუძლია საორიენტაციოდ, იმის დასადგენად, როგორი ღირებულება ჰქონდა შეცვლილ ნაწილს შეძენის მომენტში ან მშენებლობის დროს“.

აღნიშნული ნიშნავს შემდეგ: საწარმომ უნდა ჩათვალოს, რომ ძველი სასწორი თუ ეღირებოდა მისი შეძენის

მომენტში იმდენი, რამდენიც ამჟამად ახალი სასწორი ღირს, და გაცვდებოდა იმ პერიოდში და იმ ცვეთის მეთოდოლოგიით, რაც გამოიყენებოდა მის მიმართ, მაშინ რა საბალანსო ღირებულებაც ექნებოდა დღეის მდგომარეობით ამ ძველ სასწორს, სწორედ ეს არის ცალკე გამოყოფილი ძველი სასწორის ახალი საბალანსო ღირებულება. თუ ესეც ვერ ხერხდება (ვთქვათ, უცნობია, როდის შეიძინეს თავის დროზე ის ძველი სასწორი), მაშინ შემფასებელი უნდა მოიწვიოს და ცალკე გამოყოფილი ძველი სასწორის ახალი საბალანსო ღირებულება ამ შეფასების გზით უნდა დაადგინოს.

გამოყოფილი დემონტირებული ძველი სასწორი მოიხსნება 2140 ანგარიშიდან (მისი შესაბამისი ცვეთა – 2240 ანგარიშიდან), მაგრამ თუ რომელ ანგარიშზე აისახება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აპირებთ ამ დემონტირებული ძირითადი საშუალების შემდგომ გამოყენებას, ანუ, რად განიხილავთ მას თქვენთვის – ეს არის ძირითადი საშუალება (მაგალითად, ის შეიძლება გამოიყენოთ სხვა წონადი ტვირთების ასაწონად), გასაყიდი ფასეულობა, ჯართი თუ რა? თუ ის გასაყიდად არის გამიზნული (ვინდ როგორც სასწორი, ვინდ როგორც ჯართი), მაშინ 16** ბუღალტრულ ანგარიშებზე უნდა აისახოს.

2140 და 2240 ანგარიშებზე რაც დარჩება ამ გამოყოფის შემდეგ, მათი სხვაობა იქნება ძველი ნაგებობის საბალანსო ღირებულება. სასურველია, რომ ამ თანხით ხელახლა აღიარდეს ეს ნაგებობა (სასწორის გარეშე) ბალანსზე, შეფასდეს მისი სასარგებლო სამსახურის ვადა დღეის მოცემულობით და მისი ცვეთის დარიცხვა დაიწყოს ამ ახალი ღირებულებისა და სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

3) ძირითადი საშუალებების რომელ ანგარიშზე უნდა აღრიცხოს ახალი სასწორი, ეს განსჯის საგანია. შესაძლებელია, ის აისახოს ცალკე (მაგალითად: 2150 ანგარიშზე), მისი თვითღირებულებით, რომელშიც შევა შეძენის, მონტაჟისა და ძველი სასწორის დემონტაჟის ხარჯები. ასევე დასაშვებია ალტერნატიული ვარიანტიც, რომ ამ ახალი სასწორის თვითღირებულება გაერთიანდეს ძველი სასწორის მოხსნის (გამოყოფის) შემდეგ დარჩენილი ნაგებობის საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდეს ახალი ერთიანი ძირითადი საშუალება (ნაგებობა მასში დამონტაჟებული ახალი სასწორით), რომლის სასარგებლო სამსახურის ვადის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა დაიწყება ახალი სასწორის დამონტაჟების შემდეგ.

კითხვა: 1) თუ კომპანიას ჰყავს ხანდაზმული მეგალები (3 წელი და მეტი) და აქამდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის აღნიშნული დაგალიანების ამოღების მიზნით, ხოლო ხანდაზმულობიდან გამომდინარე უკვე აზრიც არ აქვს სასამართლოზე მიმართვას, მიუღებელი თანხები მაინც ჩაითვლება დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ ხელფასად და დაექვემდებარება შესაბამის დაბეგვრას, როგორც „დებიტორული დაგალიანების შესახებ“ 2024 წლის მეთოდურ მითითებაშია აღწერილი? რამდენად აქვს აზრი აღნიშნული თანხის ამოღებაზე სასამართლოსთვის მაინც მიმართვას და აგვაცილებს თუ არა აღნიშნული ქმედება ამ მიუღებელი თანხის დაბეგვრას?

2) გონივრულ ვადაში მიუღებელი დებიტორული დაგალიანების ნაშთის დაბეგვრა ხორციელდება ყველა შემთხვევაში, თუ მხოლოდ საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში? თუ კომპანია ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას გადის, ამ შემთხვევაშიც ვალდებული იქნება კომპანია დაბეგროს ეს თანხა?

3) იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ მიმართა სასამართლოს დებიტორული დაგალიანების ამოღების მიზნით (რომელსაც ვერ არ გასვლია ხანდაზმულობის ვადა), მაგრამ თანხა მაინც ვერ ამოიღო (კომპანიის გაკოტრების ან სხვა მიზეზით), აღნიშნული მიუღებელი თანხა მაინც დაიბეგრება როგორც გაცემული ხელფასი?

პასუხი: 1) თუ ეს დებიტორული დაგალიანებები ასეთი ხანდაზმულია, მაშინ, ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით, ვერ კიდევ წლების წინ უნდა მოგეხდინათ მათი გაუფასურება ან ჩამოგეწერთ თქვენს ბუღალტრულ აღრიცხვაში, მაგრამ საგადასახადო თვალსაზრისით, სიტუაცია სხვაგვარადაა. უიმედო ვალების განმარტება მოცემულია სსკ მე-8 მუხლის 29-ე ნაწილში (იხ. ამონარიდი ქვემოთ). თუ ამ განმარტებაში მოყვანილი პირობები არ კმაყოფილდება, მაშინ დებიტორული დაგალიანებების ჩამოწერა დაბეგვრის გარეშე შესაძლებელია იმ შემთხვევებში, რომლებიც აღწერილია შემოსავლების სამსახურის მიერ 2020 წლის მაისში გამოცემულ №2657 სიტუაციურ სახელმძღვანელოში (ე.წ. „მენუალი“) „დებიტორული დაგალიანების ჩამოწერა“. ეს სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2020 წლის 6 მაისისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და დღეის მდგომარეობით, გაუქმებული არ არის. მასში განხილულია ორი ვარიანტი, რომლიდანაც პირველის შინაარსი შემდეგია:

„საწარმო, დებიტორული დაგალიანების მქონე პირ(ებ)ს ვალდებულების შესრულებას სთხოვს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით. საწარმომ დებიტორული დაგალიანების ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი არ გამოიყენა, ვინაიდან დებიტორული დაგალიანების ამოსაღებად გასაწევი დროის, ადამიანური რესურსის ან/და ფინანსური ხარჯების ოდენობა, აღემატება მისაღები შემოსავლის/სარგებლის ოდენობას.“

საწარმოს მხრიდან საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდებას ადგილი არ აქვს, რამდენადაც ვარიეტების მიზანს წარმოადგენდა საქონლის/მომსახურების სასყიდლიანი მიწოდება და ამასთან, დებიტორული დავალიანების ამოსაღებად გასაწევი დროის, ადამიანური რესურსის ან/და ფინანსური ხარჯების ოდენობა, აღმატება მოთხოვნის დაკმაყოფილებით მისაღები შემოსავლის/სარგებლის ოდენობას.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებით საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება“.

ამ „მენუალის“ პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს პოზიციაა, რომ გადახდის ვადას გადაცილებული მცირეთანხიანი დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა, თუნდაც ის იმ პირების მიმართ განხორციელდეს, ვინც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“, არ წარმოადგენს ფულის/ქონების ჩუქებას და ამიტომ არ დაიბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98³ მუხლის მიხედვით.

ამ სიტუაციური სახელმძღვანელოში მოყვანილი მე-2 შემთხვევაა, როცა „საწარმომ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმს დებიტორული დავალიანების ამოსაღებად, თუმცა, აღსრულების ორგანოს მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა“.

შესაბამისად, თუ დებიტორული დავალიანებების თანხები არსებითია, მაშინ აქვს აზრი, ახლა მაინც უჩივლოთ ამ დებიტორებს. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, დიდი ალბათობით ამ დავებს წააგებთ, მაგრამ ჯერ ერთი, სასამართლო განხილვის შედეგად შეიძლება დადასტურდეს, რომ დებიტორული დავალიანების თანხა მართლაც არ არის გადახდილი (რაც შეიძლება აღმოჩნდეს თქვენი მხარდამჭერი არგუმენტი საგადასახადოსთან დავის დროს) და მეორეც, არის შანსი, რომ მოპასუხე მხარემ არ (ან ვერ) დააყენოს შესაგებელი სარჩელი და ამის გამო, თქვენი სარჩელი დაკმაყოფილდეს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახურმა „დებიტორული დავალიანების შესახებ“ 2024 წლის მეთოდური მითითება გამოაქვეყნა (შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №23106, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე 04.11.2024 წ.), ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსთვის მიმართვიანობა (როცა სასამართლო დავა ვერ მოიგეთ) შეიძლება არ ჩაითვალოს საწარმოს მხრიდან შესაბამის ქმედებად და საგადასახადო ორგანომ ამ ახალგამოცემული მეთოდური მითითების მიხედვით იმოქმედოს.

სხვა საკითხია, რომ იმ დებიტორებთან მიმართებაში, რომლებიც არიან დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, შემოსავლების სამსახურის „დებიტორული დავალიანების შესახებ“ 2024 წლის მეთოდური მითითება შეუსაბამოა სსკ 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტთან. აღნიშნულის გამო, შემოსავლების სამსახურის მხრიდან გადასახადის გადამხდლებთან შეხვედრაზე შარშან გაცემული იქნა ზეპირი დაპირება, რომ ამ მეთოდურ მითითებას არ გამოიყენებდნენ ამგვარ პირთა მიმართ და ამ მეთოდურ მითითებაში აუცილებლად შეიტანდნენ შესაბამის ცვლილებებს. მართალია, დაპირებული ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ დღეის მდგომარეობით საგადასახადო პრაქტიკა ისეთია, რომ „დებიტორული დავალიანების შესახებ“ 2024 წლის მეთოდურ მითითებას არ იყენებენ დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირების მიმართ.

2) აქ, როგორც ჩანს, „ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებაში“ გულისხმობთ თქვენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო დაბეგვრა/არდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად, არ აქვს მნიშვნელობა, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია თუ არა. აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება აღიარებულია თუ გაუფასურებულია, ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი არგუმენტი ან კონტრარგუმენტი საგადასახადო დავის დროს, მაგრამ არა გადამწყვეტი.

ამდენად, ამგვარი დებიტორული დავალიანებები იბეგრება ან საგადასახადო შემოწმების დროს, ან გადამხდელი ბეგრავს საკუთარი ინიციატივით და მეთოდური მითითების შესაბამისად, თუმცა არცერთ შემთხვევაში დაბეგვრა ფინანსური ანგარიშგების ყოველწლიურ აუდიტთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის.

3) სსკ მე-8 მუხლის 29-ე ნაწილში მოცემული განმარტების თანახმად:

„29. უიმედო ვალი – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის ან აღნიშნულის ფარგლებში წინასწარი გადახდის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე, ამასთანავე, არსებობს ერთ-ერთი შემდეგი ღოკუმენტი:

ა) სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) აღსრულების ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან ვაკოტრების რეჟიმის განხრის თაობაზე, თუ მოსამართლის მიერ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული;

დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა“.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში დებიტორული დავალიანება აღიარდება უიმედო ვალად. აქ განსახილველია 3 ქვეშემთხვევა: 1) დებიტორი დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი იურიდიული პირია; 2) დებიტორი ან რეზიდენტი ფიზიკური პირია, ან დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ არმყოფი რეზიდენტი იურიდიული პირი; 3) დებიტორი არარეზიდენტი.

1-ლ ქვეშემთხვევაში – დასაბეგრი ობიექტი არ წარმოიშობა.

მე-2 ქვეშემთხვევაში – დასაბეგრი ობიექტი ასევე არ წარმოიშობა, რადგან დებიტორული დავალიანების წარმოშობის მომენტში კომპანიას არ ჰქონია საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდების განზრახვა, ვალი რეალურად არ არის გადახდილი და საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ეს დამტკიცებადია. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს რაღაც გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საგადასახადო ორგანო შეძლებს საპირისპიროს დამტკიცებას (მაგალითად, გამოვლინდა პირთა ურთიერთდამოკიდებულება, ან დაფარული ბარტერული შეთანხმება ან დებიტორის ბულალტრულ აღრიცხვაში ვალის გადახდის ასახვის ფაქტი) და მაშინ, დაიბეგრება საშემოსავლო ან მოგების გადასახადით.

მე-3 ქვეშემთხვევაში, ამჟამად არსებული საგადასახადო პრაქტიკა ისეთია, რომ არარეზიდენტის მიერ გადაუხდელი ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება საგადასახადო შემოწმების მხრიდან დაბეგვრის მიზნით პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში განიხილება გადახდილად (ანუ იბეგრება მეთოდური მითითების თანახმად), თუმცა სასამართლო პროცესის (მით უმეტეს, მოგებული პროცესის) არსებობა შეიძლება იყოს გადამხდელისთვის მნიშვნელოვანი არგუმენტი საგადასახადო დავის დროს. თუმცა, არსებული მეთოდური მითითებიდან გამომდინარე, არის რისკი, რომ საგადასახადო შემოწმების მიერ ეს არგუმენტი არ იქნას გაზიარებული, თუ ის არ ენდობა კონკრეტული იურისდიქციის სასამართლოს.

კითხვა: ჩვენი კომპანია ახალ სავაჭრო სასაქონლო ნიშნებს არეგისტრირებს ევროპაში, რისთვისაც შევიცარიულ პატენტბიუროს ვურიცხავთ თანხას შევიცარიულ ფრანკებში. ხელშეკრულება არ გვაქვს. რა გადასახადებით უნდა დაიბეგროს?

პასუხი: აღნიშნული საკითხი განსახილველია უკუდაბეგვრის დღე-ისა და არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის კუთხით.

დღე-ის თვალსაზრისით, სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ეს მომსახურება ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად, ვინაიდან ამ მომსახურების მიმღები არის საქართველოს კომპანია. შესაბამისად, ის უნდა დაიბეგროს უკუდაბეგვრის დღე-ით, სსკ 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით: „1. დღე-ით უკუდაბეგვრის წესით იბეგრება:

ა) საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა დასაბეგრი პირის მიერ, რომელიც არ არის დაფუნდებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში, ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ამ მომსახურების გაწევაში“.

რაც შეეხება არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის საკითხს, მიგვაჩნია, რომ შევიცარიული პატენტბიუროს მიერ გაწეული სავაჭრო ნიშნების რეგისტრაციის მომსახურება არ არის როიალტი (როიალტი იქნებოდა მაშინ, თუ უკვე არსებული სავაჭრო ნიშნების გადაცემასთან ან გამოყენების უფლებასთან გვექნებოდა საქმე), ამიტომ ის არ ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და არ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების გადამხდელი საქართველოს რეზიდენტი კომპანიაა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ მომსახურებას არ ესადაგება არც სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.თ“ პუნქტი: „მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ზორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევა საქართველოში გასწია მომსახურება“; და არც ამ მუხლის რომელიმე სხვა პუნქტი.

კითხვა: ქართულ კომპანიას აქვს განზრახვა, შეიძინოს ტყის მასივი დანიაში, დანიური კომპანიისგან. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანიას ჰყავს ერთი და იგივე დამფუძნებელი — ფიზიკური პირი, რომელიც არის დანიაში რეზიდენტი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგთან დაკავშირებით: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რა საგადასახადო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას საქართველოში აღნიშნული გარიგების განხორციელებისას? გთხოვთ, განმარტოთ საკითხი ორი განსხვავებული სცენარისთვის:

I ვარიანტი: ტყის შექმნა ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის (მაგალითად, ხე-ტყის მოპოვება, გასხვინება, იჯარა და ა.შ.) მიზნით;

II ვარიანტი: ტყის შექმნა ხდება მხოლოდ ფლობის მიზნით, მისი გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლის მიღების გარეშე.

ასევე ვთხოვთ, მოუთითოთ, არსებობს თუ არა კონკრეტული შეზღუდვები, სიფრთხილის წესები ან საინფორმაციო განცხადების წარდგენის მოთხოვნა მსგავსი გარიგებების შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო სამსახურის მხრიდან?

პასუხი: კითხვის მოცემულობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს მხარეთა შორის (ანუ, ტყის მყიდველ საქართველოს კომპანიასა და გამყიდველ დანიურ კომპანიას შორის) ურთიერთდამოკიდებულებას.

ზოგადად, საქართველოს კომპანიის მიერ საზღვარგარეთ უძრავი ქონების შექმნა არ წარმოშობს საქართველოში გადასახდელ რამე გადასახადს, გარდა ერთი გამონაკლისისა: თუ მხარეები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები (როგორც მოცემულ შემთხვევაშია) და საქართველოს კომპანიამ, რომელიც მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით იბეგრება, გადაუხადა არარეზიდენტ კომპანიას შექმნილი ქონებისთვის მის საბაზრო ფასზე უფრო მეტი თანხა. თუ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ სხვაობა ფაქტობრივად გადახდილ თანხასა და საბაზრო ფასს შორის მყიდველმა კომპანიამ საქართველოში უნდა მოგების გადასახადით, სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად. რა სამომავლო მიზნით არის შექმნილი უძრავი ქონება, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ II ვარიანტის შემთხვევა, როცა ტყის შექმნა ხდება მხოლოდ ფლობის მიზნით, მისი გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლის მიღების გარეშე (რა მიზნით ხდება შესყიდვა მაშინ?!), ეჭვის გამოიწვევია. შესაძლოა, ამან გამოიწვიოს შესაბამისი ორგანოების დაინტერესება, ხომ არ ხორციელდება ამ ფორმით სხვა დაფარული გარიგება ან, ან საერთოდ ფიქტიური გარიგება ხომ არ არის, ან რაღაც სხვა საქმიანობაში ხომ არ გამოიყენება ეს ტყის მასივი და ა.შ.

თუ როგორ უნდა დაადგინოს საქართველოს კომპანიამ დანიაში არსებული ტყის მასივის საბაზრო ფასი, ჩვენთვის ძნელი სათქმელია. სასურველია, მას მოეპოვებოდეს დანიაში უძრავი ქონების სერტიფიცირებული რეპუტაციული შემფასებლის (ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო აუდიტორული ფირმაც, რომელიც სპეციალიზდება ე.წ. ტრანსფერპრაისინგის მომსახურებაზე) სათანადო სამეფასებლო აქტი (დასკვნა) დამკვეთის კომპანიიდან შესყიდულ ქონებაზე, შესყიდვის თარიღთან ახლოს მდებარე თარიღით.

მოცემული გარიგების განსახორციელებლად, საქართველოს საგადასახადო სამსახურის წინასწარი ინფორმირება ან მისგან რამე ნებართვის/თანხმობის მიღება არ მოითხოვება.

დამატებით აღვნიშნავ, რომ საქართველოს კომპანიის მიერ სხვა ქვეყანაში უძრავი ქონების შესყიდვა და მისი გამოყენება ეკონომიკურ საქმიანობაში, დიდი ალბათობით, წარმოშობს ამ ქვეყანაში საქართველოს კომპანიის ბუღალტერი დაწესებულების რეგისტრაციის ვალდებულებას.

პითხვა: ჩვენს კომპანიას აქვს როგორც დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვები, პროპორციით 15/85. როდესაც მე დავარიცხავ დღგ-ს ძირითადი საშუალების რემონტზე სსკ 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რემონტის შესაბამის ნაწილზე, რა მოსდის ამ დარიცხულ დღგ-ის თანხას შემდგომში: არ ვითვლი საერთოდ, თუ მას ნაწილობრივ ჩაავითვლი 5 წლის განმავლობაში ყოველი წლის დასაბეგრი და ჩათვლის უფლების გარეშე გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციების პროპორციის მიხედვით დეკემბრის თვის დღგ-ის დეკლარაციაში, როგორც ეს სსკ 177-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ პუნქტით არის განსაზღვრული?

პასუხი: როგორც ცნობილია, სსკ 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციას მიეკუთვნება:

„ბ) დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტი მისი საქმიანობის მიზნისთვის, თუ იგი დღგ-ის ჩათვლას სრულად ვერ მიიღებდა, ამ მომსახურების სხვა პირისგან შექმნის შემთხვევაში.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტის მიზნისთვის დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებულად განიხილება ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტი, საკუთარი ძალებით ან/და სარემონტო მომსახურების/სამუშაოების იმ პირისგან შექმნის გზით, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად“.

ზოგადად, შენობა-ნაგებობის რემონტი შეიძლება იყოს მიმდინარეც (როცა ის პერიოდის ხარჯებს მოიკუთვნება) და კაპიტალურიც (როცა ის ძირითად საშუალებად განიხილება). პირველ შემთხვევაში, მასზე დარიცხული დღგ-ის თანხა ექვემდებარება ჩათვლას პროპორციის მიხედვით, როგორც ეს სსკ 177-ე მუხლის მე-4 ნაწილშია აღნიშნული:

„4. საანგარიშო პერიოდის მიხედვით ჩასათვლელი დღე-ის თანხა განისაზღვრება:

ა) წინა საგადასახადო წელს ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაფიქსირებული წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, ამავე წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში;

ბ) ყოველ საანგარიშო პერიოდში, ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაფიქსირებული თვის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში, წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, თუ წინა საგადასახადო წლის შესაბამისი წლიური პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირებული არ არის“.

თუმცა, სსკ მე-8 მუხლის 32-ე ნაწილში მოყვანილია რემონტის შემდეგი განმარტება:

„32. ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობის ელემენტების მოდიფიკაცია (რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა-დანადგარის ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით“.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, სსკ 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტში სწორედ ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც შენობა-ნაგებობის რემონტის ხარჯი კაპიტალიზდება. ამ შემთხვევაში, უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ 177-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, რომლის თანახმად:

„8. ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება იმ ფარგლებში, როგორც ის გავრცელდებოდა შესაბამისად, შენობის/ნაგებობის ან სარემონტო მომსახურების სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში“.

იგივეა აღნიშნულია (და უფრო მკაფიოდაც) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-8 და მე-10 ნაწილებში. ეს დებულებები ნიშნავს, რომ შენობა-ნაგებობის კაპიტალიზებული რემონტის ხარჯზე დარიცხული დღე-ის თანხა უნდა ჩაითვალოს (ან არ ჩაითვალოს) ნაწილ-ნაწილ 5 წლის განმავლობაში, ყოველი წლის ბოლო თვეს, ისე როგორც ეს განსაზღვრულია სსკ 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ პუნქტით და მე-6 ნაწილის „ბ“ პუნქტით:

„5. თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამოიზნულია გამოსაყენებლად ისეთი ოპერაციებისთვის, რომელზეც აქვს დღე-ის ჩათვლის მიღების უფლება, ასევე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამოიყენება შეუძლებელია, დღე-ის ჩათვლა ხორციელდება შემდეგი წესით:...

ბ) დასაბეგრი პირს, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უფლება აქვს ძირითად საშუალებაზე მიიღოს დღე-ის ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას აქვს დღე-ის ჩათვლის მიღების უფლება.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისთვის ყოველწლიურად გასაუქმებელი (ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი (ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღე-ის თანხა გაიანგარიშება:...

ბ) სხვა ძირითად საშუალებებზე – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღე-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით“.

კითხვა: ინდემქარმესთან მუშაობს მისი ძმა, მეუღლე და შვილი. მათ ხელფასს არ უხდის. მაინტერესებს, ვალდებულია თუ არა ინდემქარმე შეიფხანოს ისინი დაქირავებულ პირთა რეესტრში?

პასუხი: როგორც ცნობილია, დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია დამქირავებელმა უნდა ასახოს დაქირავებულ პირთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური. ამასთან, სსკ მე-12 მუხლის თანახმად, „1. დაქირავებით მუშაობად ითვლება:

ა) ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით;

ბ) ფიზიკური პირის მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს თავდაცვის ძალებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და მათთან გათანაბრებულ ორგანოებში მის სამსახურთან;

გ) ფიზიკური პირის მიერ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება.

2. დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი ამ კოდექსის მიზნებისთვის იწოდება დაქირავებულად, პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი ფიზიკური პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს, – დამქირავებლად, ხოლო ასეთი

ანაზღაურება – ხელფასად“.

შესაბამისად, თუ ინდემწარმე საერთოდ არ უხდის ხელფასს თავის ძმას, მეუღლეს და შვილს და არც ბუღალტრულ აღრიცხვაში აჩვენებს მათი მუშაობის შედეგად დარიცხულ სახელფასო ვალდებულებებს (მომავალში გადასახდელს), მაშინ მას შეუძლია განაცხადოს, რომ ისინი არ არიან მისი დაქირავებული პირები (იტყვიან, ოჯახის წევრები არიან და უბრალოდ მეზმარებიანო) და ამით ახსნას დაქირავებულ პირთა რეესტრში მათი არჩართვის მიზეზი. თუმცა, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება არ აღმოჩნდეს ოპტიმალური ამ ინდემწარმისთვის, რადგან ამ შემთხვევაში, ის ვერ ჩათვლის მათ ანგარიშვალდებულ პირებად, ვერ გაუშვებს სამსახურებრივ მივლინებაში, ვერ დანიშნავს მატერიალურად პასუხისმგებელ პირად და ა.შ.

თუ ინდემწარმისთვის ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია, მას შეუძლია ასე მოიქცეს: მიიჩნიოს დასახელებული პირები მის დაქირავებულ პირებად და ჩართოს დაქირავებულ პირთა რეესტრში, მაგრამ კვლავ არ გადაუხადოს მათ ხელფასი იმ მოტივით, რომ მათთვის ხელფასის გადახდას აპირებს მომავალში. თუმცა, ნაკლებსავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანომ ეს დაიჯეროს. დიდი ალბათობით, ის ჩათვლის, რომ ინდემწარმე უბრალოდ არ აჩვენებს მათზე გაცემულ ხელფასებს გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით და დაბეგრავს მას რალაც ლოგიკით, მაგალითად შესაბამის სემენტში საშუალო ხელფასის სიდიდან გამომდინარე.

პიიხვა: 1) ჩვენს კომპანიას, რომელიც არის შპს, ინდემწარმე მცირე ბიზნესის სტატუსით გვიწევს საშუაშაგლო მომსახურებას. გვაქვს მხოლოდ ხელშეკრულება, არ გვაქვს არც ინვოისი და არც მიღება-ჩაბარების აქტი. გთხოვთ მიბასუნოთ, რა საგადასახადო რისკები არსებობს, თუ არ შექნება ინვოისი?

2) ჩვენს კომპანიას, რომელიც არის შპს, ინდემწარმე მცირე ბიზნესის სტატუსით გვიწევს საშუაშაგლო მომსახურებას, რომელსაც, როგორც ვიცი, არ ადეკლარირებს და არ იხდის გადასახადს. არსებობს რამე რისკი ჩვენი შპს-ისთვის?

პასუხი: 1) თუ თქვენი შპს მოგების გადასახადით დაბეგრის „ესტონურ მოდელზე“ (ასე ვიგულისხმებთ პასუხში) და ინდემწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამება შპს-ის ეკონომიკური საქმიანობის მიზნებს, მაგრამ არ გექვთ მიღება-ჩაბარების აქტი ან ინვოისი გაწეული მომსახურების შესრულებაზე, მაშინ საგადასახადო რისკი ისაა, რომ არ არსებობს მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი. ხელშეკრულება (ყოველ შემთხვევაში, მათი უმეტესობა, გარდა მცირე გამოწაკლისებისა) ამ მიზნით ვერ გამოდგება, რადგან ის არის მხარეთა განზრახულობის დამადასტურებელი და არა ფაქტობრივად მომხდარი გარემოების ანუ მომსახურების შესრულების). ამგვარი დოკუმენტის გარეშე, გადახდილი თანხა „დაიკიდება“ ავანსების ქვეანგარიშზე და შესაძლოა ამის გამო ის გადაკვალიფიცირდეს ან გაცემულ სესხად, რაც დაიბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის მიხედვით, ან ფიზიკური პირისთვის ნაჩუქარ თანხად, რაც ასევე იბეგრება მოგების გადასახადით სსკ 98³ მუხლის თანახმად.

2) თუ ეს ინდემწარმე – არ არის თქვენთვის ურთიერთდამოკიდებული პირი, მაშინ, წესით, რამე საგადასახადო რისკი არ არსებობს, რადგან შპს არ არის ვალდებული იზრუნოს მისი კონტრაგენტი პირების მიერ შესასრულებელ საგადასახადო ვალდებულებებზე. თუმცა, ამ ინდემწარმის მცირე ბიზნესის სტატუსიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანო აუცილებლად დაიწყებს იმის შესწავლას, ხომ არ ჰქონდა ამ პირს თქვენს კომპანიასთან შინაარსობრივად არა მომსახურების გაწევის (როგორც ინდემწარმე), არამედ შრომითი ურთიერთობები. ამ უკანასკნელი შემთხვევის დადგენის შემთხვევაში, ის საგადასახადო ორგანოს თვალსაზრისით ჩაითვლება დაქირავებულ ფიზიკურ პირად, ხოლო მისთვის გაცემული ანაზღაურება – დასაბეგრ ხელფასად.

თუ ინდემწარმე – თქვენი შპს-ისთვის ურთიერთდამოკიდებული პირია, ხოლო მისთვის შპს-ის მიერ გადახდილი ანაზღაურება – უფრო მეტია, ვიდრე გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაშინ სხვაობა ფაქტობრივ ანაზღაურებასა და საბაზრო ფასს შორის შპს-მ უნდა დაბეგროს მოგების გადასახადით, სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „აბ“ პუნქტის შესაბამისად:

„4. მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული ვარიეტების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება ვაკლენას ახდენს ვარიეტების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:...

ა.ბ) ვარიეტების შედეგად გაწეულ ხარჯსა და ვარიეტების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ ვარიეტების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება ვარიეტების საბაზრო ფასს“.

პიიხვა: ჩვენმა კომპანიამ შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფის უვადო არაექსკლუზიური უფლება. გთხოვთ მიბასუნოთ, როგორ დაგარიცხო ამორტიზაცია და როგორ გაგატარო ბუღალტრულად?

პასუხი: პასუხი დამოკიდებულია გამოყენებულ სააღრიცხვო მეთოდოლოგიაზე და განსხვავებულია, მს ფასს-ს იყენებს საწარმო თუ სრულ ფასს-ებს. კერძოდ, მსს ფასს-ის მიხედვით:

„18.19. ამ სტანდარტის მიზნებისთვის, ყველა არამატერიალურ აქტივს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული მომსახურების ვადა...“

18.20. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს“.

ამგვარად, მსს ფასს მიიჩნევს, რომ ყველა არამატერიალურ აქტივს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა ამორტიზაციის დარიცხვის მიზნებისათვის, მათ შორის იმათაც კი, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა საიმედოდ ვერ ღვინდება (ე.წ. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს). თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ზოგიერთი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება საიმედოდ იქნეს შეფასებული როგორც უვადო ან ძალიან ხანგრძლივადიანი, ოღონდ პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში ასეთი შეფასება არაგონივრულია). ეს არის მსს ფასს-ის მნიშვნელოვანი განსხვავება ფასს-ების სრული ვერსიისაგან, რომლის თანახმად, განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ! ეს აღნიშნულია ბასს 38 „არამატერიალური აქტივების“ 88-89-ე მუხლებში:

„88. ...საწარმომ უნდა შეაფასოს, განუსაზღვრელია თუ შეზღუდული არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და, თუ შეზღუდულია, რამდენია მისი ხანგრძლივობა. საწარმოს მიერ არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მიიჩნევა განუსაზღვრელად, თუ ყველა მიმდინარე ფაქტორის გაანალიზების შემდეგ ვერ განისაზღვრება იმ პერიოდის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის მიერ საწარმოში ფულადი ნაკადების შემოსვლის გამოქმუნება.“

89. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა დამოკიდებულია მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალური აქტივი შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება (იხ. პუნქტები 97-106), ხოლო არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება (იხ. პუნქტები 107-110-ე)“.

რაც შეეხება მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს, ის პირდაპირ არ ეხება დასმულ საკითხს, თუმცა მისი მიდგომა მსს ფასს-ის (და არა სრული ფასს-ების) მიდგომის მსგავსია. ეს გამოდინარეობს ამ სტანდარტის 7.14 მუხლიდან, სადაც აღნიშნულია:

„7.14. მიწას ცვეთა არ ერიცხება, გარდა იმ იშვიათი გარემოებებისა, როდესაც მისი მომსახურების პოტენციური მცირდება შესაბამისი დანიშნულებით გამოყენებისას. საწარმომ ცვეთა/ამორტიზაცია უნდა დაარიცხოს ყველა სხვა გრძელვადიან აქტივს“.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის დარიცხვის სტანდარტული ბუღალტრული გატარებაა: დ-ტი 7456 კ-ტი 26** [თანხა].

კითხვა: „ა“ კომპანიამ ჩინეთიდან ჩამოიტანა ნივთი, რომლის ღირებულებაა პირობითად 1000 ლარი და მიყიდა „ბ“ კომპანიას განუბაჟებლად 1200 ლარად. ეს ტვირთი განაბაჟა „ბ“ კომპანიამ და საბაჟო ორგანომ დღგ იანგარიშა 1000 ლარიდან. „ა“ კომპანიას არ დაუბეგრავს მიწოდება და 1200 ლარი პირდაპირ აიღო შემოსავალში, ხოლო „ბ“ კომპანიამ სხვაობა 200 ლარი დაბეგრა უკუდაბეგვრის დღგ-ით (დეკლარაციის მეორე გვერდი) და იგივე ოდენობით ჩაითვალა დღგ, დარიცხული უკუდაბეგვრის წესით (დეკლარაციის მესამე გვერდი). რამდენად სწორია კომპანიების ქმედებები?

პასუხი: საქონლის განბაჟება თუ განუბაჟებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როდის მოიპოვა ამ საქონელზე საკუთრების უფლება მყიდველმა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, „ა“ კომპანიამ ჩინეთიდან საქართველოში ჩამოიტანა საქონლის განბაჟებამდე მოიპოვა საკუთრების უფლება მასზე და შემდეგ გაყიდა ის მანამ, სანამ მოხდებოდა მისი იმპორტი (თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში გაშვება) საქართველოში. სავარაუდოდ, ეს მოხდა მაშინ, როდესაც ეს ჩინეთიდან ჩამოიტანა საქონელი მოქცეული იყო საბაჟო საწყობის რეჟიმში. ასეთი საქონლის მიწოდება კი, გათავისუფლებულია დღგ-ისგან სსკ 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „რ“ პუნქტის თანახმად:

„4. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია...
რ) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის მიწოდება, გარდა ამ კოდექსის 164¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა“.

ამ შემთხვევაში, ცხადია, 1200 ლარი „ა“ კომპანიისათვის ამონაგებია, ხოლო 1000 ლარი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

რაც შეეხება „ბ“ კომპანიას, მან სავსებით მართებულად დაბეგრა უკუდაბეგვრის დღგ-ით 1200-1000=200 ლარი, რადგან იმოქმედა სსკ 164¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად:

„4. საბაჟო საწყობში მიწოდებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში, თუ:

ა) საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისგან გათავისუფლებული, იმპორტისას გადასახდელი დღგ-ის თანხის გადახდა ხორციელდება იმპორტის თანხიდან გამოძინარე, ხოლო იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით იბეგრება უკუდაბეგვრის წესით“.

რაც შეეხება ამ დარიცხული უკუდაბეგვრის დღგ-ის ჩათვლას იმავე თვის დღგ-ის დეკლარაციით, ეს ნებადართულია სსკ 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად და „ბ“ კომპანიის ეს ქმედებაც ასევე სწორია, თუ შესყიდული საქონელი მის მიერ გამოყენებული იქნება დღგ-ით დასაბეგრი (ან ჩათვლის უფლების მქონე) ოპერაციის განხორციელებისთვის.

კითხვა: დაბეგვრის „ექსტონურ მოდელზე“ მყოფი შპს აშენებს საკუთარ მიწაზე მრავალბინიან კორპუსს, შემდგომი გაყიდვის მიზნით. ეკუთვნის თუ არა შპს-ს მიწის გადასახადის გადახდა? და თუ ეკუთვნის, როდემდე? როდის წყდება მიწის გადასახადის გადახდის ვალდებულება ამ მიწაზე?

პასუხი: სსკ 203-ე მუხლის თანახმად, „მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე...“.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ეს შპს არის მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი, რადგან სსკ 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 3¹ პუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათი ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს:

„1. შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია:...

3¹) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი)“.

მოცემულ შემთხვევას ასევე არ ეხება ამავე მუხლის 1-3² პუნქტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში; სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში უნდა გაეცნოთ ადგილობრივი საკრებულოების შესაბამის დადგენილებებს):

„3²) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში“.

აღნიშნულის დასადასტურებლად, მოვიყვანთ ამონარიდს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ მე-5 მუხლიდან:

„5. ქონების გადასახადისგან თავისუფლდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე:...

ბ) საცხოვრებელ სახლებზე (გარდა მრავალბინიანი სახლებისა) მიმაგრებული მიწის ნაკვეთის სრული ფართობი;

გ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის სრული ფართობი (გარდა იმ ავტოფარეხებისა, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის)“.

ამგვარად, ეს შპს ამ მიწაზე სრულად იხდის ქონების (მიწის) გადასახადს, სანამ დაიწყებს ბინების გაყიდვას. მას შემდეგ კი, რაც ბინების გაყიდვა დაიწყება, ის ვალდებულია ყოველი წლის 1 აპრილის მდგომარეობით გადაამოწმოს, თუ რამდენია მის საკუთრებაში დარჩენილი ბინების და სხვა ინდივიდუალიზებული ფართების ფართობის მიხედვით პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი – მიწის ნაკვეთი და დაადეკლარა/გადაიხადოს გადასახადი შესაბამისად. ცხადია, მიწის გადასახადის სიდიდე მას ყოველ წელს შეუმცირდება ამ მიზეზის (ფართობის გაყიდვის) გამო. ეს ვალდებულება შპს-ს გაყვება მანამ, სანამ სრულად არ გაყიდის ყველა ფართს მის მიერ აშენებულ კორპუსში.

კითხვა: ვთქვათ, თანამშრომელმა ითხოვა კუთვნილი შვებულება 08.08.2025-დან 15.08.2025-მდე. მაქსიმუმ რამდენი დღით ადრე არის შესაძლებელი, რომ ჩაფურცნოთ მას შვებულების თანხა?

პასუხი: არც საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ და არც შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტი ასეთ ვადას კონკრეტულად არ განსაზღვრავს. როგორც წესი, შვებულების თანხა გაიცემა დასაქმებულის შვებულებაში გასვლამდე, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს თანხა შვებულებიდან მისი დაბრუნების შემდეგ გაიცემა. ვინაიდან საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის „დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება“ მიხედვით, „დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო შრომის ანაზღაურებიდან“, ამიტომ თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ ლოგიკურია, რომ შვებულების თანხა ამ თანამშრომელზე გასცეთ მას შემდეგ, რაც წინა თვე დასრულდება, ანუ 1 აგვისტოდან 8 აგვისტომდე პერიოდში.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafccapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / ტვილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბები

საზღვარგარეთის ამბები - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახის ამბებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

კასპიის ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და ეკონომიკური პოტენციალი

ხელოვნური კუნძულების ბუმი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის პარლამენტმა ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე დაიწყო კასპიის ზღვაზე ხელოვნური კუნძულების გაშენების საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე ზრუნვა. კანონის თანახმად საკუთარი კუნძულების შექმნის უფლება იურიდიულ პირსაც აქვს და ფიზიკურსაც. აქაური სპეციალისტების რწმუნებით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მაშინ, როცა ზღვის დონე ხან იკლებს და ხან მატულობს, საშუალო პერსპექტივაში მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფისთვის მყარი ეკონომიკური საძირკვლის მომზადებას უფრო ემსახურება.

მეტწილად ნავთობის მოპოვებითა და გემების მეშვეობით მიღებული მაღალი შემოსავლებით შეიძლება აიხსნას, რატომ არ ჩქარობენ ზღვისპირა ქვეყნები (ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანი) ეკოლოგიური პრობლემების სწრაფად გადაწყვეტას. არ შეიძლება მათ მმართველებს არ ესმოდეთ, რომ ეკოლოგიური ზარალის უგულებელყოფა ძალიან ძვირი დაუჯდებათ - თუნდაც იმიტომ, რომ მაგალითისთვის, კასპიის ზღვის დონის შემდგომი კლება საფრთხეს შეუქმნის სატრანსპორტო მრეწველობას და ნანსშირწყალბადოვანი საწვავის მოპოვებას.

არალის ზღვის სინდრომი - რით არის საშიში კასპიის დაშრობა

კასპიის ზღვა (ყველა სტანდარტით იგი ტბაა, მაგრამ დაკავებული ფართობის (371 ათასი კვ. კმ) გამო ზღვად იწოდება - ფ.კ.) - მსოფლიოს უდიდესი გაუდინარი წყალსატევი - წლიდან წლამდე შრება. წყლის დონემ კლება 1995 წლიდან დაიწყო, ხოლო 2006-2024 წლების შუალედში 2 მეტრით შემცირდა. შედეგად, კასპიის ზღვამ მსოფლიო ოკეანის დონეზე 29 მეტრით ნაკლები შეადგინა. ექსპერტთა კვლევებით, მიმდინარე საუკუნის ბოლოსთვის, მისი საშუალო სიღრმე (ამჟამად 211 მეტრი) კიდევ 9-18 მეტრით შემცირდება, რაც საერთო ფართის თითქმის მეოთხედით კლებას გამოიწვევს.

არახელსაყრელ კლიმატთან ერთად, 80 ათას კმ³-მდე მოცულობის წყალსატევის დაშრობას ხელს ხელოვნური პრობლემებიც უწყობენ. მდინარე ვოლგაზე რუსეთის მიერ კაშხლების მშენებლობა, ამ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს. საუკუნისხმო ისაა, რომ კასპიის

ზღვის სანაპირო ზონაში წყლის კლება პირველ რიგში მის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებს (რუსეთი და ყაზახეთი) დააზარალებს. პრობლემები აისახება პორტების მუშაობაზე, გემების მოძრაობაზე, ასევე ეკოლოგიურ ზემოქმედებაზე - კერძოდ, დაშრება დაცული ტერიტორიები.

ექსპერტთა მტკიცებით, კასპიის ზღვის დაშრობის გამოწვევ ძირითად ფაქტორებად ჩამდინარე მდინარეების რეგულირება, წლის გამტკნარება (ეს მასში მარილის მოპოვების გაზრდილი ტემპების „დამსახურებაა“ - ფ.კ.) და ნავთობით დაბინძურებაა. თუმცა, უმთავრეს მიზეზად მაინც გლობალური დათბობა მიიჩნევა. როგორც წესი, ეს ფაქტორი ზღვის დონეს პირაქით, უნდა ზრდიდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კასპიის ზღვა მხოლოდ ჩამდინარე მდინარეებით მოსარგებლე დახურული წყალსატევაა. სწორედ ამიტომ, დათბობით გამოწვეული მოსალოდნელი ეფექტი მასზე საპირისპირო გავლენას ახდენს.

ერთ-ერთი პირველი, რაც კასპიის დაშრობით დაზარალებდა, ყაზახეთის მეჩხერწყელიანი ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი იქნება. აქ გემების მოძრაობა საკმაოდ განვითარებული და სასარგებლო წიაღისეულსაც აქტიურად მოიპოვებენ. კასპიის ზღვაში ამჟამად არსებული მოსაპოვებელი მარაგიდან ნავთობზე 48 მილიარდი ბარელი მოდის, ხოლო ბუნებრივ აირზე 292 ტრილიონი მ³. მათგან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ყაზახეთზეა - 31,2 მილიარდი ბარელი ნავთობი და 104 ტრილიონი მ³ ბუნებრივი აირი.

ყაზახეთის სექტორში ნავთობის 2 ძირითადი საბადოა - თენგიზი (ხმელეთზე) და კაშაგანი (ზღვაში). უცხოურ კომპანიებთან ერთად წარმოებული მოპოვებითი სამუშაოები ეკოლოგიური გადაცდომებს გვერდს ვერ უვლის. მოკლედ რომ ვთქვათ, ყაზახეთში ყველაზე მეტად ირღვევა კასპიის საზღვაო გარემოს ჩარჩო-კონვენცია და მისი ოქმები. სწორედ ამიტომ, გარემოსთვის მიყენებული ზარალი პრაქტიკულად დაუსჯელი რჩება.

ჩრდილო-აღმოსავლური სექტორის დაბინძურების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საზღვაო გადაზიდვებია, რომელზეც გლობალურად ნანსშირორჟანგის ანთროპოგენური გამონაბოლქვის 2,2% მოდის. ამას გარდა, ეკოლოგიას თხევადი საწვავის პერიოდული



დაღვრები აზიანებს.

ყოველწლიურად, დაახლოებით 15 მილიონი ტონა ნავთობი გადაიზიდება აქტაუსა და კურიკის გავლით, რომლებიც კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გადაზიდვების მთავარი პორტებია და ეს მაჩვენებელი მხოლოდ იზრდება. ოფიციალურად, 2013-2024 წლებში ამ პორტების უშუალო სიახლოვეს ნავთობის დაღვრის 25 შემთხვევა დაფიქსირდა; დამოუკიდებელი კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი შემთხვევები 10-ჯერ მეტი მინცაა. ექსპერტების თქმით, კასპიის ზღვის ამ ნაწილში ნავთობით დაბინძურების მთავარ წყაროდ საზღვაო ტრანსპორტი იქცა. დაღვრის ფორმები იმაზე მიუთითებს, რომ ისინი გამოწვეული იყო გემებიდან ზღვაში ბალასტური წყლის ან ნარჩენების ჩაშვებით.

აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია ტვირთების მოცულობის მკვეთრი ზრდა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით (*Trans-Caspian International Transport Route, TITR* – „შუა დერეფნის“ სახელით ცნობილი – ფ.კ.). ჩინური პროდუქცია რკინიგზით აქტაუმიდე გადაიზიდება, იტვირთება გემებზე და იგზავნება ბაქოში, ხოლო იქიდან – ევროპაში, საქართველოს ან თურქეთის გავლით. კასპიის მარშრუტის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის დაწყების შემდეგ, რადგან ის ჩრდილოეთის დერეფნის ალტერნატივაა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გადიოდა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის „შუა დერეფნით“ გადაზიდული ტვირთის მოცულობამ შეიძლება 11 მილიონ ტონას მიაღწიოს, საიდანაც 4 მილიონი კასპიის ზღვის გავლით ტრანსპორტირებას მოითხოვს. ეს კიდევ უფრო გაზრდის ნახშირორჟანგის გამოყოფას და, შედეგად, წყლის აორთქლების მაჩვენებელს.

ამჟამად, „შუა დერეფანი“ ძირითადად ყაზახური ექსპორტისთვის გამოიყენება. ცნობისთვის, „თენგიზშევეროილმა“, რომელიც თენგიზის საბადოს ავითარებს, 2024 წელს ყაზახეთის ხაზინას 8,4 მილიარდი დოლარი გადაუხადა. ნახშირწყალბადების

მოპოვებიდან და გადაზიდვებიდან მიღებული უკიდურესად მაღალი შემოსავალი დიდწილად ხსნის, თუ რატომ არ ჩქარობენ კასპიისპირა სახელმწიფოები გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებას. ექვევარეშეა, გარემოზე მიყენებული ზიანის იგნორირება შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს – თუნდაც იმიტომ, რომ კასპიის ზღვის დონის შემდგომი ვარდნა საფრთხეს შეუქმნის როგორც სატრანსპორტო ინდუსტრიას, ასევე ნახშირწყალბადების მოპოვება-წარმოებას.

საქართველოს ადგილი და როლი „შუა დერეფანში“

რუსეთის აგრესორული მადის „გაღვიძების“ ფონზე TITR-მა ახალი გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა. აზიიდან, განსაკუთრებით ჩინეთიდან ევროპისაკენ მიმავალმა გზამ რუსეთს გვერდი აუარა და დანიშნულების ადგილს უმოკლესი მარშრუტით 12-15 დღეში (სრულად საზღვაო გზაზე ბევრად სწრაფად) აღწევს.

ყაზახეთი, კასპიის ზღვა, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი – ასეთია ე.წ. „შუა დერეფნის“ გეოგრაფიული შემადგენლობა. რაც შეეხება, უფრო კონკრეტულ გაშიფვრას, იგი ასე გამოიყურება: ჩინეთი (ლიანიუნგანგის პორტიდან სიანის გავლით ურუმჩიმდე) – ყაზახეთი (ხორგოსისა და დოსტიკის მშრალი პორტებიდან აქტაუს და კურიკის პორტებამდე) – აზერბაიჯანი (ალათის პორტი) – საქართველო. აქედან ორი ალტერნატივაა: 1. თბილისიდან ფოთამდე და შავი ზღვის გავლით ევროპის სიღრმეში; 2. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით თურქეთამდე (ყარსი, იზმიტი, მერსინი, ჩერქეზქოი) და იქიდან ევროპის ქვეყნებში.

როგორც ხედავთ, საქართველო TITR-ში მოიხსენიება. თუმცა საინტერესოა, რამდენად მყარია იქ მისი ადგილი მარშრუტის ყველაზე დაინტერესებული სუბიექტი ჩინეთისთვის. ამიტომ, მოდით „შუა დერეფანში“ საქართველოს როლს მოკლედ შევხვით.

საქართველო TITR-ის ერთ-ერთი ყველაზე „სუსტი“ (კრიტიკული) რგოლია. აქ მეტწილად ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურულ-ლოჯისტიკურ პრობლემურ

ფუნქციაზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი. მისი როლი განსაკუთრებით 2022 წლიდან გაიზარდა. ტვირთების იაფი ტრანზიტისთვის რუსული ვარიანტის გამორიცხვამ, მოქმედების ვექტორი სამხრეთისკენ გადმოსწია და შესაბამისად ქართული ჰაბი უფრო ღირებულები გახდა.

გეოგრაფიული მდებარეობა ხელს კი გვიწყოფს, მაგრამ შესაბამისი ინფრასტრუქტურის საიმედოობა მარშრუტის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია. მწყობრში 2017 წლიდან შესული ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა TITR-ის ძირითად სარკინიგზო მონაკვეთს შეადგენს. შავი ზღვის მიმართულებით მარშრუტის საზღვაო კვანძებში ხვდება ფოთისა და ბათუმის პორტები. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ჯერ კიდევ პროექტის დონეზეა და ვიდრე ის რეალობაში არ აისახება, ტვირთბრუნვის დამკვეთისთვის მისაღებ მასშტაბებამდე გაზრდის უზრუნველყოფა ქართული მხარისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

იდეალურ სიტუაციაში, ანაკლიის პორტის აშენების და გაშვების შემდეგ 100 მილიონ ტონამდე ტვირთის გამტარობას აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (E60/E70) იმ დონეზე მოდერნიზაცია დასჭირდება, ჩინურმა ტვირთმა შეუფერხებლად რომ იმოძრაოს. ამას გარდა, აუცილებელია რეგიონის სხვა ქვეყნებთან უკეთესი ინტეგრაცია და ჯერ მხოლოდ იდეაში მყოფი ციფრული საბაჟო პლატფორმების დანერგვა.

ნახსენებ „იდეალურ სიტუაციაში“ რომ თავი დავანებოთ, ჩრდილო მარშრუტზე გვერდის აქცევის პირველსავე წელს (2022) საქართველოს ტვირთბრუნვამ 14 მილიონ ტონას მიაღწია; მეორე წელს იგი 15,6 მილიონი გახდა, ხოლო წლევეანდელი პროგნოზი 20-22 მილიონი ტონაა. ანაკლიის პორტის აშენება-ამოქმედების შემთხვევაშიც კი, საავტომობილო ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი საბაჟო გამტარობის გათვალისწინებით, 2030 წლის ბოლოს მაქსიმალური ციფრი 30 მილიონი იქნება.

ეს ყველაფერი რომ ასრულდეს, საამისოდ დამკვეთის ზოგი ისეთი სტრატეგიული რეკომენდაციაა, ქვეყნის მმართველ ძალას ახლო პერსპექტივაში მისი შესასრულებელი პოლიტიკური რესურსი არ გააჩნია. უმთავრესი და დღევანდელი გადასახედიდან პრაქტიკულად შეუსრულებელია დასავლეთთან და აზიასთან ერთობლივი პარტნიორობა. დავუშვათ, ჩინეთი ისე „მოვთაფლეთ“, ანაკლიის პორტი ააშენა, აღჭურვა და ისე ამოქმედა, რომ მიაღწია მაქსიმალურ საპროექტო ნიშნულს (100 მილიონი ტონა). ქვეყნის შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც ხომ ამ რიცხვის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს? საამისოდ კი უკვე დასავლური ინვესტიციები იქნება აუცილებელი. დღევანდელი და შორიანლო პერსპექტივის მიხედვით, დასავლეთისგან ინვესტიციების მოლოდინი კი არა, რაც გვაქვს (მათგან ყველაზე სათუთად საფრთხილო ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის გამარტივებული პოლიტიკაა), იმის დაკარგვის საფუძვლიანი შიშია.

ხელოვნური კუნძულების პასპიისპირა პრაქტიკა

2025 წლის 29 ივლისს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა კანონს, რომლითაც ცვლილებები შევიდა მთელ რიგ მანამდე მოქმედ საკანონმდებლო აქტში. ამ კანონის ყველაზე „რევოლუციური“ ნაწილი ეხება კაზინოების გამართვის ექსკლუზიურ ადგილებს. დოკუმენტის თანახმად, აზერბაიჯანში კაზინოს თამაშების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ მიწის ნაკვეთებზე და მხოლოდ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ხელოვნურად მოწყობილ მიწის ნაკვეთებზე კაზინოების გამართვა, აზერბაიჯანში ახალი ეკონომიკური ეტაპის დასაწყისი იქნება. ნახსენები დოკუმენტი ქვეყნის ეკონომიკაში ცვლილებებს გვპირდება, განსაკუთრებით ტურიზმისა და მომსახურების სექტორში. კაზინოს საქმიანობა, კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ ნაწილში მხოლოდ ხელოვნურ მიწის ნაკვეთებზე იქნება დაშვებული.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს შეიძლება მხოლოდ გასართობი ინდუსტრიის ინიციატივად მოგეჩვენოთ, სინამდვილეში პროექტს მრავალმხრივი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ამ ნაკვეთებზე კაზინოების გახსნა ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ტურიზმის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ეს ასევე ხელს შეუწყობს ჩრდილოვანი სათამაშო ბიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას (ასე მიაჩნიათ დარგის აზერბაიჯანელ ექსპერტებს – ფ.კ.).

საიდუმლო არაა, რომ კაზინოები მრავალი ქვეყნისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ბოლო წლებში სულ უფრო მეტმა ქვეყანამ დააკანონა კაზინოების საქმიანობა. მათ შორისაა უზბეკეთი, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროები 2027 წელს პირველი კაზინოს გახსნას გეგმავს. სხვა მაგალითებია მონაკო, სინგაპური და ფილიპინები. აზერბაიჯანის უახლოესი მეზობლები, როგორცაა საქართველო და ყაზახეთი, ასევე მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ კაზინოების ბიზნესიდან.

ვიდრე კაზინოები იმ ტემპითა და პირობებით ამუშავდება, როგორც აზერბაიჯანის მმართველს აქვს ჩაფიქრებული, მანამდე შესაბამისი ტერიტორიები უნდა მოეწყოს, სადაც სტუმარ-მასპინძელი დიდი ფულის მოსაგებად ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს. ქვეყნის მილი მეჯლისმა (პარლამენტი) მიმდინარე წლის გაზაფხულზე პირველივე მოსმენით მიიღო კანონი, რომელიც ხელოვნური კუნძულების აშენების უფლებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ანიჭებს. გონივრულად მოფიქრებულია – სახელმწიფო კუნძულის მოწყობაში არაფერს ხარჯავს (პირიქით, ნებართვის გაცემაში გარკვეულ თანხასაც მიიღებს), მერე მხოლოდ ამ კუნძულებზე იქნება ნებადართული სარფიანი ბიზნესის

(კაზინოები) გამართვა, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტი გრანდიოზულ შემოსავლებს მიიღებს.

ხელოვნური კუნძულების აშენება უკიდურესად ძვირადღირებული პროცესია. მაგალითად, ჰონგ-კონგმა 2019 წელს გამოაცხადა, რომ საბინაო კრიზისის გადასაჭრელად 10 კვადრატული კილომეტრის ფართობის ხელოვნური კუნძულის აშენებას 80 მილიონი დოლარი დასჭირდებოდა. დუბაიმ ხელოვნური კუნძულების აშენებაზე 14 მილიარდი დოლარი დახარჯა.

ხელოვნური კუნძულების მშენებლობის მიზნის მიუხედავად, მათი მთავარი დანიშნულება დამატებითი სივრცის უზრუნველყოფაა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ხელოვნური კუნძულების რაოდენობით მსოფლიო ლიდერი იაპონიაა. ქვეყანამ ხელოვნური სანაპიროების მშენებლობა სერიოზულად 1960-იან წლებში დაიწყო და დღეს ის ამ სფეროში ლიდერია. იაპონია იყო პირველი, ვინც ხელოვნურ კუნძულზე აეროპორტი ააშენა: ოსაკას მახლობლად კანსაის საერთაშორისო აეროპორტი 1994 წელს გაიხსნა და მომდევნო წელს წარმატებით გადაურჩა მიწისძვრას. იაპონია კუნძულებს ნავიგაციას აშენებს. იუმენოშიმას კუნძული, ანუ ოცნების კუნძული, 1974 წელს ტოკიოს ყურეში ნავაგსაყრელის ადგილას აშენდა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური კუნძული ნიდერლანდებში მდებარე ფლევეპოლდერია. მისი საერთო ფართობი 970 კვადრატული კილომეტრია და მშენებლობა 1969 წელს დასრულდა. ფლევეპოლდერი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა პროვინციის ნაწილია, რომლის მოსახლეობა 416 ათასზე ოდნავ მეტია. შედარებისთვის, დუბაიში მდებარე პალმის კუნძულების ფართობი მასზე 16-ჯერ ნაკლებია.

საბინაო საკითხის გადაჭრის გარდა, ნიდერლანდები ასევე ქმნის ხელოვნურ არქიპელაგის ნაკრძალს მარკერმერის ტბაში. პირველი კუნძული 2016 წელს გაიხსნა. მომავალი ნაკრძალის ფართობი 100

კვადრატულ კილომეტრზე მეტი იქნება და მისი მიზანია რეგიონის ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა.

თავის მხრივებელია დაკავებულია კუნძულის შექმნით, რომელზეც ქარისგან ელექტროენერჯის გამოიმუშავებს. მომავალი კუნძული „პრინცესა ელისაბედი“ ბელგიის სანაპიროდან 45 კილომეტრში, ჩრდილოეთის ზღვაში განთავსდება. ხელოვნურ კუნძულზე ქარის ტურბინების მიერ გამოიმუშავებული 3,5 გიგავატი ელექტროენერჯის გადაცემისთვის მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურა განთავსდება.

ბოლოს ისევ აზერბაიჯანს მიუბრუნდეთ. პირველად ხელოვნური კუნძულების შექმნა აქ 2011 წელს, ნავთობის ბუშისა და ეკონომიკური აღმავლობის დროს, გარადაღის რაიონში გადაწყვიტეს. პროექტს Khazar Island-ი ერქვა და მთელი ქალაქის აშენება იგეგმებოდა. მისი შეჩერების მიზეზები სხვადასხვა სახელდებოდა – განაცხადის დაგვიანებით შეტანიდან და მფლობელის მიერ სესხის თანხების მითვისებიდან დაწყებული, ბიზნესის წამგებიანობით დამთავრებული. რაც არ უნდა ყოფილიყო, დაუმთავრებელი მშენებლობა ახლა სახელმწიფო ბალანსზეა.

რაც ვერ განახორციელა კომპანია „ავესტას“ მფლობელმა იბრაგიმოვამ (იგი 57 მილიონი დოლარის გადაუხდელობის გამო 2015 წელს დააპატიმრეს – ფ.კ.), მას შეძლეს ილჰამ ალიევის ყოფილი სიძე ემინ აგალაროვი. ცნობილმა აზერბაიჯანელმა ბიზნესმენმა და სახალხო არტისტმა, Instagram-ის საკუთარ გვერდზე მიმდინარე წლის 1 აგვისტოს დაწერა, რომ ნარდარანში Sea Breeze Resort-ის ჯანმრთელობის კომპლექსის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად შეიქმნება უნიკალური არქიტექტურული ფორმის მქონე ხელოვნური კუნძული. მისი თქმით, ნახევარმთვარის კონტურის მქონე კუნძულისთვის საბოლოო სახის მინიჭება 3 მილიარდი აშშ დოლარი ეღირება.

ფრიდონ კერვალიშვილი

ევროპაში პირველ მცირემასშტაბიან ატომურ ელექტროსადგურს პოლონეთი ააშენებს

პოლონეთი ევროპაში პირველ BWRX-300-ს, მცირე ზომის მოდულარულ ბირთვულ რეაქტორს (SMR) ააშენებს, რაც ქვანახშირიდან უფრო სუფთა ენერჯიაზე გადასვლისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს – ამის შესახებ პოლონურმა სახელმწიფო ელექტროკომპანია Orlen-მა განაცხადა.

სიახლეს წინ უსწრებდა Orlen-სა და Synthos Green Energy-ს შორის შეთანხმება; პოლონეთის უმსხვილესი ენერჯოკომპანია მიზნად ისახავს, რომ სულ მცირე ორი SMR – ჯამური სიმძლავრით 0.6 გიგავატი – 2035 წლისთვის ამოქმედდეს.

შეთანხმების ფარგლებში, ორი კომპანია საერთო საწარმოს დააარსებს, სახელწოდებით Orlen Synthos Green Energy, რომელშიც თითოეულს 50%-იანი წილი ექნება. ახალ საწარმოს სრული წვდომა ექნება BWRX-300-ის ამერიკულ ტექნოლოგიაზე. როგორც პრესრელიზშია აღნიშნული, ამით კომპანიას საშუალება ეძლევა, პროცესში წინ წაიწიოს, რისი კულმინაციაც პოლონეთში პირველი SMR-ის ბირთვული რეაქტორის აშენება იქნება, Orlen-ისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე – ვლოცლავეკში.

პოლონეთმა 6 ლოკაციაზე 24 SMR-ის მშენებლობის ნებართვა 2023 წელს გასცა. ვლოცლავეკის რეაქტორი კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი იქნება წიაღისეული საწვავიდან მის მწვანე ალტერნატივაზე გადასასვლელად. Forum Energii-ის ანგარიშის თანახმად, 2019 წელს ევროკავშირის მასშტაბით შინამეურნეობების მიერ მოხმარებული ქვანახშირის 87% სწორედ პოლონეთზე მოდიოდა.

Orlen-ის განცხადებით, BWRX-300 მცირე ბირთვული რეაქტორის ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული პროექტია მსოფლიოში, თავად Orlen Synthos Green Energy კი ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც ამ ტექნოლოგიას გამოიყენებს.

რუსეთის ბიუჯეტში დეფიციტი იზრდება

რუსეთის სამთავრობო ბიუჯეტი ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას – ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2025-27 წლებში სამთავრობო დეფიციტის საერთო მოცულობა 133 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც თანამედროვე რუსეთის არსებობის ისტორიაში დაფიქსირებული ანტირეკორდი იქნება.

2025 წელთან მიმართებით არსებობს მოლოდინი, რომ დეფიციტი \$30 მილიარდი იქნება, ხოლო 2026 და 2027 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები \$51-52 მილიარდის ფარგლებშია.

შემოსავალს რაც შეეხება, ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, 2025 წელს საერთო საბიუჯეტო შემოსავალი \$376 მილიარდი იქნება, ხოლო გასავალი – \$406 მილიარდი. ანუ მთავრობა იმაზე მეტს დახარჯავს, ვიდრე შემოსავალს მიიღებს, ხოლო არსებული დეფიციტი მომავალში გაზრდილი გადასახადებით და სამთავრობო ვალით იქნება შევსებული.

რუსეთის ბიუჯეტისთვის ყველაზე დიდი ხარჯი სამხედრო ძალების მომსახურებაა, რაც წლიურად \$135 მილიარდი ჯდება და თან ეს მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება. ცხადია, ამ თანხის უდიდესი ნაწილი უკრაინის წინააღმდეგ ომში იხარჯება.

ვალის საკითხს რაც შეეხება, რუსეთის მთავრობა კერძო ინვესტორების, ბანკების და ეროვნული სიმდიდრის ფონდის წინაშე \$60 მილიარდის შიდა ვალის აღებას აპირებს, რაც ასევე მკვეთრად გაზრდილი მაჩვენებელი იქნება.

აშშ-ის ზენოლის შემდეგ, EU რუსული ენერგორესურსების შესყიდვის აკრძალვაზე მსჯელობს

აშშ-ის ზენოლის შემდეგ, ევროკავშირი განიხილავს რუსული ნავთობისა და გაზის შესყიდვის აკრძალვა დააჩქაროს. კერძოდ, Reuters-ი წერს, რომ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ დააჩქარებენ რუსული ნიაღვრის სანავთობის აკრძალვის პროცესს.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ზღვით გადაზიდული რუსული ნავთობის შესყიდვა აკრძალვა, მისი წილი ევროპის იმპორტში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა უნგრეთი და სლოვაკეთი კვლავ აგრძელებენ რუსული ნავთობის იმპორტს. რაც შეეხება გაზს, ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა სანქციების საპასუხოდ, Nord Stream-ის გაზადენი გააჩერა, რომლითაც მისი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი – გერმანია იღებდა გაზს. ამან ევროპაში რუსული გაზის იმპორტი მნიშვნელოვნად შეამცირა. Reuters-ის ინფორმაციით, წელს ევროპაში რუსული გაზის წილი დაახლოებით 13% იქნება, მაშინ როცა ომამდე დაახლოებით 45% იყო.

ამ ეტაპზე აშშ რუსეთის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ სანქციებს განიხილავს და ევროპას სთხოვს, აღარ იყიდოს რუსული ნავთობი. ამას გარდა, აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი ევროპელი მოკავშირეებისგან ითხოვს რუსული ნავთობის მთავარ შემსყიდველებს ჩინეთსა და ინდოეთს ტარიფები დაუწესონ.

აშშ-ის ენერგეტიკის მდივანმა კრის რაიტმა Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნებმა რუსული ნავთობისა და გაზის იმპორტი უნდა შეწყვიტონ. მისი თქმით, ამერიკა უფრო აგრესიული იქნება რუსეთის წინააღმდეგ ენერგეტიკული სანქციების კუთხით თუ ევროპული ქვეყნები რუსული ენერგორესურსების ყიდვას შეწყვეტენ და სანაცვლოდ ამერიკულ გათხევადებულ გაზს (LNG) და სანავთობის იყიდონ.

ტრამპი უკვე დიდი ხანია ევროპას ამერიკული ენერგორესურსების ყიდვისკენ მოუწოდებს. მიმდინარე წლის დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტმა ევროკავშირს მოსთხოვა 350 მილიარდი დოლარის სავაჭრო დეფიციტის აღმოსაფხვრელად ამერიკული ენერგორესურსები იყიდოს.

ევროსტატის ინფორმაციით, 2024 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა ამერიკაში თითქმის 532 მილიარდი ევროს პროდუქტი გაყიდეს, ევროკავშირმა კი ამერიკისგან 333 მილიარდი ევროს ღირებულების პროდუქტი იყიდა. შესაბამისად, დეფიციტი მთლად 350 მილიარდს არა, მაგრამ 232 მილიარდ დოლარს შეადგენს.

თავის მხრივ, ევროკავშირს გაცხადებული აქვს, რომ 2027 წლიდან რუსულ ნიაღვრის სანავთობის აღარ იყიდოს.

რუსეთი ობლიგაციებს ჩინეთის დახმარებით გამოუშვებს

დასავლური საფინანსო სისტემიდან იზოლირებულ რუსეთს კაპიტალის ბაზრის გადარჩენის მიზნით, ჩინეთთან თანამშრომლობის დაწყება უწევს.

როგორც ჩანს, სანაყის ეტაპზე, მსხვილი რუსული კომპანიები, მათ შორის „გაზპრომი“, „რუსალი“ და „როსატომი“ ჩინურ საფონდო ბირჟაზე იუანში დენომინირებულ კორპორაციულ ობლიგაციებს გამოუშვებენ, რომელთა შექმნა შეეძლებათ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინვესტორებს.

აქ გასათვალისწინებელი ის არის, რომ ობლიგაციები ექსკლუზიურად ჩინურ ბირჟაზე იქნება განთავსებული და მათი შექმნა, გაყიდვა, პროცენტის მომსახურება და დაფარვა მხოლოდ ჩინურ ეროვნულ ვალუტაში იქნება დასაშვები.

ეს ოფიციალური პეკინის მთავარი მოთხოვნაა, რომელსაც ამერიკული დოლარის გლობალური ჰეგემონიის დასრულება სურს.

კორპორაციულ ობლიგაციებთან ერთად, განიხილება რუსული სახაზინო ობლიგაციების გამოშვებაც, ანუ კრემლი ფინანსური რესურსების მოზიდვას ჩინური კაპიტალის ბაზრიდან გეგმავს, რაც გასაკვირი არ არის.

ფონ დერ ლაიენი: ევროკავშირმა გაყინული რუსული აქტივებიდან მიღებული თანხა უკრაინას უნდა ასესხოს

ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, ევროკავშირმა გაყინული რუსული აქტივებიდან მიღებული თანხა უკრაინას გრძელვადიანი სესხის სახით უნდა გადასცეს.

როგორც ფონ დერ ლაიენი რეპარაციის სქემასთან დაკავშირებით ამბობს, რუსული აქტივების ძირი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, თუმცა გენერირებული სარგებელი პირდაპირ შეიძლება უკრაინას გადაეცეს.

ევროკავშირის და „დიდი შვიდეულის“ წევრი სახელმწიფოების მიერ რუსეთის ცენტრალური ბანკის კუთვნილი 300 მილიარდი დოლარის აქტივებია გაყინული, რომელთან წვდომა მოსკოვს არ აქვს.

მართალია, G7-მა უკრაინას უკვე გადასცა \$50 მილიარდის მოცულობის სესხი ამ აქტივებიდან, რომლის გაქვითვა აქტივების მიერ გენერირებული სარგებლით მოხდება, ანუ ის ფაქტობრივად გრანტი იქნება, თუმცა ეს ცალკეული შემთხვევა იყო და დასავლურ სახელმწიფოებს რუსულ აქტივებთან დაკავშირებით საერთო ხედვა ჯერაც არ აქვთ, რაც, ფონ დერ ლაიენის შეფასებით, პრობლემას წარმოადგენს და ის მალევე უნდა მოგვარდეს.

აშშ-ში ელექტრომობილების გაყიდვები რეკორდულად გაიზარდა

აშშ-ის ბაზარზე ელექტრომობილების (EV – Electric Vehicle) გაყიდვების მაჩვენებელი რეკორდულად იზრდება. აგვისტოს განმავლობაში ქვეყანაში ჯამურად 146,000-ზე მეტი ელექტრომობილი გაიყიდა.

საერთო ჯამში, EV-ებზე ავტომობილების ბაზრის 9.9% მოდის, ანუ ყოველი 10 ავტომობილიდან 1 ელექტროა.

ანალიტიკოსების შეფასებით, 2025 წლის მესამე კვარტალი ელექტრომობილების გაყიდვების მიმართულებით რეკორდული პერიოდი იქნება, რადგან პირველი ოქტომბრიდან ქვეყანაში დასრულდება EV-ების სუბსიდირების ფედერალური პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს ახლა ბოლო შანსი აქვთ, ამ შესაძლებლობით ისარგებლონ.

მართალია, გასული თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ელექტრომობილის გაყიდვა Tesla-მ შეძლო, თუმცა მისი ბაზრის წილი 38%-მდე შემცირებული, რაც ახალი ანტირეკორდია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლების წინ ეს მაჩვენებელი 80%-ს აჭარბებდა, ეს საგანგაშო მოცემულობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

ექსპერტების შეფასებით, Tesla-ზე მოთხოვნის შემცირება კონკურენტების გააქტიურებით და კომპანიის იმიჯის შელახვით არის განპირობებული, რასაც, თავის მხრივ, ილონ მასკის პოლიტიკური აქტიურობა იწვევს.

EU-ს წევრი ქვეყნები რუსეთისთვის დაწესებული სანქციების 6 თვით გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ

ევროკავშირის წევრი ქვეყნები უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით რუსეთისთვის დაწესებული სანქციების 6 თვით გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ. ინფორმაცია გამოცემა Reuters-მა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაზე, დანიაზე დაყრდნობით გაავრცელა.

Reuters-ის ცნობით, ევროკავშირის სანქციების სიაში 2 500-ზე მეტი რუსული ორგანიზაცია და ფიზიკური პირია შეყვანილი. სანქციების ფარგლებში დაბლოკილია მათი საბანკო ანგარიშები და აკრძალული აქვთ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები სანქციების გახანგრძლივების საკითხს ყოველ ექვს თვეში ერთხელ განიხილავენ, თუმცა, ხშირად პროცესი ჩიხში შედის, რადგან უნგრეთი გარკვეული პირების სიიდან ამოღებას ითხოვს. ამჯერად ბუდაპეშტს განსხვავებული პოზიცია არ დაუფიქსირებია.

ოქროს ფასმა მორიგ რეკორდს მიაღწია

საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს ფასი ახალ რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა. 10 სექტემბრის მდგომარეობით, უნცია მეტალის ლირებულებამ 3,675 დოლარს მიაღწია, რაც ერთწლიან პერიოდში 46%-ით გაზრდილი მაჩვენებელია, ხოლო ერთთვიან პერიოდში ზრდა 9.5%-ს შეადგენს.

ბოლო დროის განმავლობაში ოქროს გაძვირება დოლარის გაუფასურებით, ამერიკულ სახაზინო ობლიგაციებზე მოთხოვნის შემცირებით და გეოპოლიტიკური რისკების დაგროვებით არის განპირობებული.

ამასთან, ინვესტორებს აქვთ მოლოდინი, რომ მიმდინარე თვეს აშშ-ის ფედერალური რეზერვი რეფინანსირების განაკვეთს შეამცირებს, რაც, თავის მხრივ, დოლარის გაუფასურებას და მის წინააღმდეგ ოქროს გაძვირებას შეუწყობს ხელს.

უცხოური ვალუტის კურსები

ავვისტოს თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,1367** ლარი

ვალუტა	ავვისტო, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,5821	1,5785	1,5785	1,5785	1,5977	1,5944	1,6010	1,6090	1,6041	1,6041	1,6041	1,6047	1,5990	1,6317	1,6292
10 დანიური კრონი	4,1456	4,1370	4,1370	4,1370	4,1881	4,1786	4,1970	4,2163	4,2027	4,2027	4,2027	4,2046	4,1917	4,2758	4,2708
1 ევრო	3,0936	3,0872	3,0872	3,0872	3,1254	3,1184	3,1317	3,1466	3,1367	3,1367	3,1367	3,1381	3,1282	3,1909	3,1870
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5775	3,5606	3,5606	3,5606	3,5905	3,5906	3,5944	3,6059	3,6223	3,6223	3,6223	3,6261	3,6269	3,6943	3,7034
100 ისლანდიური კრონი	2,1757	2,1650	2,1650	2,1650	2,1875	2,1869	2,1931	2,2034	2,1967	2,1967	2,1967	2,1943	2,1876	2,2313	2,2257
100 სერბიული დინარი	2,6401	2,6345	2,6345	2,6345	2,6669	2,6615	2,6727	2,6852	2,6769	2,6769	2,6769	2,6781	2,6700	2,7231	2,7200
10 ნორვეგიული კრონი	2,6222	2,6120	2,6120	2,6120	2,6291	2,6313	2,6424	2,6446	2,6303	2,6303	2,6303	2,6323	2,6305	2,6735	2,6738
10 პოლონური ზლოტი	7,2474	7,2203	7,2203	7,2203	7,3067	7,2931	7,3183	7,3862	7,3797	7,3797	7,3797	7,3757	7,3397	7,4916	7,4843
10 რუმინული ლეი	6,0941	6,0840	6,0840	6,0840	6,1598	6,1452	6,1704	6,2016	6,1840	6,1840	6,1840	6,1932	6,1733	6,3017	6,2940
100 უნგრული ფორინტი	0,7733	0,7721	0,7721	0,7721	0,7850	0,7812	0,7865	0,7933	0,7923	0,7923	0,7923	0,7923	0,7933	0,7901	0,8076
10 შვედური კრონი	2,7697	2,7541	2,7541	2,7541	2,7945	2,7908	2,7989	2,8088	2,8064	2,8064	2,8064	2,8084	2,7942	2,8619	2,8494
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3261	3,3154	3,3154	3,3154	3,3423	3,3333	3,3444	3,3457	3,3359	3,3359	3,3359	3,3277	3,3225	3,3884	3,3838
10 ჩეხური კრონა	1,2582	1,2560	1,2560	1,2560	1,2719	1,2670	1,2745	1,2830	1,2829	1,2829	1,2829	1,2805	1,2781	1,3045	1,3028
1 აშშ დოლარი	2,7061	2,7050	2,7050	2,7050	2,7029	2,7013	2,6993	2,6970	2,6964	2,6964	2,6964	2,6948	2,6942	2,7226	2,7263
1 კანადური დოლარი	1,9536	1,9498	1,9498	1,9498	1,9608	1,9568	1,9616	1,9646	1,9636	1,9636	1,9636	1,9573	1,9540	1,9788	1,9793
1 ავსტრალიური დოლარი	1,7427	1,7380	1,7380	1,7380	1,7499	1,7448	1,7543	1,7601	1,7591	1,7591	1,7591	1,7575	1,7496	1,7847	1,7800
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5558	0,5562	0,5562	0,5562	0,5579	0,5578	0,5571	0,5556	0,5555	0,5555	0,5555	0,5557	0,5561	0,5639	0,5649
1 თურქული ლირა	0,0667	0,0665	0,0665	0,0665	0,0664	0,0664	0,0664	0,0663	0,0663	0,0663	0,0663	0,0662	0,0661	0,0668	0,0668
100 იაპონური იენი	1,8043	1,7991	1,7991	1,7991	1,8296	1,8301	1,8284	1,8302	1,8241	1,8241	1,8241	1,8245	1,8151	1,8477	1,8599
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7,3675	7,3646	7,3646	7,3646	7,3588	7,3543	7,3490	7,3428	7,3411	7,3411	7,3411	7,3368	7,3351	7,4125	7,4227
10000 ირანული რიალი	0,6443	0,6440	0,6440	0,6440	0,6435	0,6432	0,6427	0,6421	0,6420	0,6420	0,6420	0,6416	0,6415	0,6482	0,6491
10 ისრაელის შეკელი	7,9930	7,9036	7,9036	7,9036	7,9317	7,8506	7,8195	7,8903	7,8420	7,8420	7,8420	7,8807	7,8523	8,0320	8,0598
1 სინგაპურული დოლარი	2,0856	2,0829	2,0829	2,0829	2,0982	2,0965	2,0978	2,1005	2,0982	2,0982	2,0982	2,0976	2,0945	2,1275	2,1286
1 ქუვეითური დინარი	8,8435	8,8370	8,8370	8,8370	8,8417	8,8393	8,8299	8,8282	8,8262	8,8262	8,8262	8,8181	8,8132	8,9119	8,9270
10 ჩინური იუანი	3,7605	3,7506	3,7506	3,7506	3,7664	3,7587	3,7564	3,7569	3,7534	3,7534	3,7534	3,7515	3,7475	3,7946	3,8017
10 ჰონკონგური დოლარი	3,4473	3,4459	3,4459	3,4459	3,4432	3,4412	3,4387	3,4358	3,4349	3,4349	3,4349	3,4329	3,4321	3,4683	3,4754
100 ინდური რუპია	3,0892	3,0898	3,0898	3,0898	3,0833	3,0766	3,0767	3,0751	3,0760	3,0760	3,0760	3,0742	3,0716	3,1137	3,1137
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5966	1,5862	1,5862	1,5862	1,5977	1,5921	1,6004	1,6058	1,6060	1,6060	1,6060	1,6015	1,5958	1,6303	1,6224
100 რუსული რუბლი	3,3761	3,3681	3,3681	3,3681	3,3961	3,3726	3,3669	3,3874	3,3786	3,3786	3,3786	3,3786	3,3789	3,3717	3,4120
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5913	1,5906	1,5906	1,5906	1,5894	1,5890	1,5878	1,5859	1,5861	1,5861	1,5861	1,5846	1,5843	1,6010	1,6031
1 ბელარუსული რუბლი	0,8952	0,9036	0,9036	0,9036	0,9025	0,9028	0,9003	0,8969	0,9017	0,9017	0,9017	0,9020	0,9039	0,9143	0,9164
10 თურქმენული მანათი	7,7317	7,7286	7,7286	7,7286	7,7226	7,7180	7,7123	7,7057	7,7040	7,7040	7,7040	7,6994	7,6977	7,7789	7,7894
10 მოლდოვური ლეი	1,5763	1,5710	1,5710	1,5710	1,5806	1,5848	1,5864	1,5989	1,5983	1,5983	1,5983	1,6052	1,6044	1,6293	1,6337
1000 სომხური დრამი	7,0471	7,0454	7,0454	7,0454	7,0410	7,0346	7,0270	7,0211	7,0195	7,0195	7,0195	7,0177	7,0198	7,0923	7,1029
10 ტაჯიკური სომონი	2,8016	2,8113	2,8113	2,8113	2,8171	2,8213	2,8248	2,8261	2,8310	2,8310	2,8310	2,8308	2,8722	2,8630	2,8677
1000 უზბეკური სუმი	0,2132	0,2128	0,2128	0,2128	0,2141	0,2156	0,2164	0,2142	0,2135	0,2135	0,2135	0,2140	0,2154	0,2179	0,2167
10 უკრაინული გრივნა	0,6486	0,6472	0,6472	0,6472	0,6468	0,6479	0,6482	0,6507	0,6517	0,6517	0,6517	0,6500	0,6495	0,6556	0,6570
100 ყაზახური ტენგე	0,5009	0,4981	0,4981	0,4981	0,5004	0,5021	0,5023	0,5004	0,4993	0,4993	0,4993	0,4960	0,4979	0,5057	0,5066
100 ყირგიზული სომი	3,1024	3,1030	3,1030	3,1030	3,1005	3,0960	3,0938	3,0911	3,0904	3,0904	3,0904	3,0886	3,0853	3,1210	3,1265
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,4928	1,4765	1,4765	1,4765	1,4989	1,4974	1,5158	1,5192	1,5215	1,5215	1,5215	1,5211	1,5220	1,5551	1,5528
1 ზრახილიური რიალი	0,4857	0,4830	0,4830	0,4830	0,4877	0,4913	0,4901	0,4936	0,4971	0,4971	0,4971	0,4959	0,4950	0,5052	0,5051
10 კატარული რიალი	7,4239	7,4207	7,4207	7,4207	7,4156	7,4108	7,4053	7,3992	7,3977	7,3977	7,3977	7,3933	7,3921	7,4698	7,4804
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9401	1,9268	1,9268	1,9268	1,9522	1,9426	1,9445	1,9509	1,9388	1,9388	1,9388	1,9377	1,9384	1,9763	1,9662

უცხოური ვალუტის კურსები

ავგისტოს თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7015** ლარი.

ვალუტა	ავგისტი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,6136	1,6136	1,6136	1,6113	1,6120	1,6080	1,6130	1,6043	1,6043	1,6043	1,6123	1,6044	1,5977	1,5977	1,6073	1,6073
10 დანიური კრონი	4,2276	4,2276	4,2276	4,2211	4,2240	4,2130	4,2244	4,2020	4,2020	4,2020	4,2250	4,2063	4,1847	4,1847	4,2118	4,2118
1 ევრო	3,1553	3,1553	3,1553	3,1507	3,1530	3,1450	3,1532	3,1366	3,1366	3,1366	3,1366	3,1536	3,1398	3,1237	3,1237	3,1438
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6607	3,6607	3,6607	3,6525	3,6486	3,6437	3,6455	3,6275	3,6275	3,6275	3,6275	3,6399	3,6345	3,6226	3,6226	3,6264
100 ისლანდიური კრონი	2,2035	2,2035	2,2035	2,2002	2,1988	2,1932	2,1989	2,1874	2,1874	2,1874	2,1874	2,1992	2,1925	2,1813	2,1813	2,1984
100 სერბიული დინარი	2,6928	2,6928	2,6928	2,6887	2,6909	2,6837	2,6906	2,6767	2,6767	2,6767	2,6767	2,6917	2,6793	2,6657	2,6657	2,6828
10 ნორვეგიული კრონი	2,6527	2,6527	2,6527	2,6486	2,6463	2,6304	2,6584	2,6452	2,6452	2,6452	2,6674	2,6517	2,6489	2,6489	2,6766	2,6766
10 პოლონური ზლოტი	7,4106	7,4106	7,4106	7,4116	7,4262	7,4029	7,4112	7,3626	7,3626	7,3626	7,3943	7,3669	7,3136	7,3136	7,3677	7,3677
10 რუმინული ლეი	6,2334	6,2334	6,2334	6,2267	6,2322	6,2139	6,2340	6,2066	6,2066	6,2066	6,2397	6,2105	6,1706	6,1706	6,1973	6,1973
100 უნგრული ფორინტი	0,7987	0,7987	0,7987	0,7966	0,8010	0,7974	0,7965	0,7918	0,7918	0,7918	0,7933	0,7910	0,7873	0,7873	0,7918	0,7918
10 შვედური კრონი	2,8261	2,8261	2,8261	2,8216	2,8300	2,8165	2,8227	2,8055	2,8055	2,8055	2,8317	2,8120	2,8117	2,8117	2,8438	2,8438
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3511	3,3511	3,3511	3,3422	3,3504	3,3449	3,3583	3,3433	3,3433	3,3433	3,3612	3,3462	3,3418	3,3418	3,3586	3,3586
10 ჩეხური კრონა	1,2892	1,2892	1,2892	1,2880	1,2891	1,2843	1,2856	1,2759	1,2759	1,2759	1,2851	1,2794	1,2731	1,2731	1,2849	1,2849
1 აშშ დოლარი	2,7010	2,7010	2,7010	2,6968	2,6981	2,7000	2,7068	2,7051	2,7051	2,7051	2,6984	2,6974	2,6968	2,6968	2,6946	2,6946
1 კანადური დოლარი	1,9580	1,9580	1,9580	1,9549	1,9533	1,9462	1,9499	1,9436	1,9436	1,9436	1,9506	1,9473	1,9471	1,9471	1,9594	1,9594
1 ავსტრალიური დოლარი	1,7573	1,7573	1,7573	1,7567	1,7508	1,7375	1,7391	1,7359	1,7359	1,7359	1,7510	1,7487	1,7440	1,7440	1,7588	1,7588
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5592	0,5592	0,5592	0,5575	0,5569	0,5550	0,5578	0,5580	0,5580	0,5580	0,5566	0,5551	0,5544	0,5544	0,5548	0,5548
1 თურქული ლირა	0,0660	0,0660	0,0660	0,0660	0,0660	0,0660	0,0661	0,0660	0,0660	0,0660	0,0658	0,0657	0,0657	0,0657	0,0655	0,0655
100 იაპონური იენი	1,8382	1,8382	1,8382	1,8295	1,8266	1,8314	1,8304	1,8190	1,8190	1,8190	1,8303	1,8271	1,8211	1,8211	1,8307	1,8307
10 არაბეთის გაერთიანებული სამიროების დირჰამი	7,3539	7,3539	7,3539	7,3422	7,3458	7,3511	7,3697	7,3648	7,3648	7,3648	7,3468	7,3441	7,3422	7,3422	7,3364	7,3364
10000 ირანული რიალი	0,6431	0,6431	0,6431	0,6421	0,6424	0,6429	0,6445	0,6441	0,6441	0,6441	0,6425	0,6422	0,6421	0,6421	0,6416	0,6416
10 ისრაელის შეკელი	7,9944	7,9944	7,9944	7,9601	7,9837	7,9426	7,9195	7,9541	7,9541	7,9541	7,9825	8,0094	8,0542	8,0542	8,0701	8,0701
1 სინგაპურული დოლარი	2,1060	2,1060	2,1060	2,1029	2,1028	2,1005	2,1032	2,0981	2,0981	2,0981	2,1020	2,0975	2,0914	2,0914	2,0966	2,0966
1 ქუვეითური დინარი	8,8412	8,8412	8,8412	8,8275	8,8289	8,8322	8,8544	8,8402	8,8402	8,8402	8,8327	8,8237	8,8188	8,8188	8,8174	8,8174
10 ჩინური იუანი	3,7626	3,7626	3,7626	3,7568	3,7580	3,7623	3,7707	3,7678	3,7678	3,7678	3,7706	3,7672	3,7652	3,7652	3,7776	3,7776
10 ჰონკონგური დოლარი	3,4522	3,4522	3,4522	3,4493	3,4586	3,4552	3,4644	3,4596	3,4596	3,4596	3,4546	3,4579	3,4644	3,4644	3,4566	3,4566
100 ინდური რუპია	3,0848	3,0848	3,0848	3,0874	3,1029	3,1008	3,1017	3,0905	3,0905	3,0905	3,0810	3,0762	3,0756	3,0756	3,0548	3,0548
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5998	1,5998	1,5998	1,6019	1,5981	1,5733	1,5767	1,5698	1,5698	1,5698	1,5810	1,5774	1,5701	1,5701	1,5860	1,5860
100 რუსული რუბლი	3,3833	3,3833	3,3833	3,3507	3,3399	3,3636	3,3525	3,3509	3,3509	3,3509	3,3370	3,3468	3,3173	3,3173	3,3406	3,3406
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5888	1,5888	1,5888	1,5858	1,5866	1,5877	1,5922	1,5907	1,5907	1,5907	1,5873	1,5861	1,5858	1,5858	1,5845	1,5845
1 ბელარუსული რუბლი	0,9071	0,9071	0,9071	0,9063	0,9058	0,9069	0,9102	0,9095	0,9095	0,9095	0,9058	0,9044	0,9058	0,9058	0,9052	0,9052
10 თურქმენული მანათი	7,7171	7,7171	7,7171	7,7051	7,7089	7,7143	7,7337	7,7289	7,7289	7,7289	7,7097	7,7069	7,7051	7,7051	7,6989	7,6989
10 მოლდოვური ლეი	1,6178	1,6178	1,6178	1,6180	1,6147	1,6103	1,6131	1,6080	1,6080	1,6080	1,6158	1,6145	1,6243	1,6243	1,6156	1,6156
1000 სომხური დრამი	7,0405	7,0405	7,0405	7,0348	7,0375	7,0423	7,0762	7,0698	7,0698	7,0698	7,0293	7,0531	7,0510	7,0510	7,0355	7,0355
10 ტაჯიკური სომონი	2,8891	2,8891	2,8891	2,8790	2,8814	2,8835	2,8975	2,8909	2,8909	2,8909	2,8818	2,8790	2,8427	2,8427	2,8545	2,8545
1000 უზბეკური სუმი	0,2147	0,2147	0,2147	0,2155	0,2156	0,2159	0,2182	0,2171	0,2171	0,2171	0,2184	0,2183	0,2176	0,2176	0,2162	0,2162
10 უკრაინული გრივნა	0,6542	0,6542	0,6542	0,6539	0,6521	0,6523	0,6566	0,6546	0,6546	0,6546	0,6507	0,6511	0,6527	0,6527	0,6516	0,6516
100 ყაზახური ტენგე	0,4986	0,4986	0,4986	0,5002	0,5013	0,5014	0,5034	0,5032	0,5032	0,5032	0,5038	0,5045	0,5001	0,5001	0,5002	0,5002
100 ყირგიზული სომი	3,0926	3,0926	3,0926	3,0944	3,0959	3,0981	3,1032	3,0999	3,0999	3,0999	3,0945	3,0913	3,0914	3,0914	3,0853	3,0853
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5363	1,5363	1,5363	1,5318	1,5331	1,5250	1,5286	1,5328	1,5328	1,5328	1,5385	1,5283	1,5182	1,5182	1,5177	1,5177
1 ბრაზილიური რიალი	0,4986	0,4986	0,4986	0,4993	0,4963	0,4904	0,4937	0,4940	0,4940	0,4940	0,4973	0,4984	0,4965	0,4965	0,4977	0,4977
10 კატარული რიალი	7,4106	7,4106	7,4106	7,3994	7,4024	7,4078	7,4263	7,4218	7,4218	7,4218	7,4034	7,3991	7,3976	7,3976	7,3920	7,3920
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9447	1,9447	1,9447	1,9461	1,9423	1,9304	1,9352	1,9445	1,9445	1,9445	1,9444	1,9316	1,9284	1,9284	1,9365	1,9365